

# ნაკოლეონის მამლუქი

რუსტამ რაზას მემუარები

ფრანგულიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები  
დაურთეს ალექსანდრე მიქაბერიძემ და ნიკა ხოფერიამ



გამომცემლობა არტანუჯი  
თბილისი

**რეცენზენტი** ისტორიის დოქტორი, პროფესორი  
**მერაბ კალანდაძე**

**ISBN 978-9941-421-58-7**

**© გამომცემლობა არტანუჯი, 2012.**

## წინასიტყვაობა

ზაფხულის ცხელი დღე იდგა, როდესაც ძღვეამოსილი ფრანგი მხედართმთავარი ნაპოლეონ ბონაპარტი ეგვიპტის დედაქალაქში ჩავიდა. მასთან მისული მამლუქი შეიხები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დამპყრობლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ერთ-ერთმა მათგანმა ნაპოლეონს მართლაც ჩინებული საჩუქარი – თვრამეტი წლის მამლუქი მიართვა თავისი ბედაურითურთ. ნაპოლეონს მოსწონებია საზრიანი ქაბუკი და მალე პირად მცველადაც დაუნიშნავს. სწორედ ასე აღმოჩენილა ახალგაზრდა რუსტამი სახელგანთქმული ფრანგი იმპერატორის სამსახურში.

რუსტამ რაზა (Roustam Raza) (ხშირად რუსტანის (Roustan) სახელითაც მოიხსენიება) ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნებაა.<sup>1</sup> თბილისში დაბადებულმა რუსტამმა ტრაგიკული ბავშვობა გადაიტანა. იგი სომეხი ვაჭრის – რუსტამ ჰონანისა და მისი მეუღლის – ბუჯი-ვარის მრავალშვილიან ოჯახში 1782 წელს დაიბადა. 1795 წელს, ალა-შაჰმად-ხანის საქართველოში შემოსევის დროს, რუსტამის ოჯახი სომხეთში გაიქცა, სადაც მამის მშობლიურ ქალაქ აპერკანს აფარებდა თავს. მაგრამ აქ ყოფნისას ცამეტი წლის რუსტამი

---

რუსტამის ბიოგრაფია ვრცლად არის განხილული H. Fleischmann, *Roustam, mamelouk de Napoléon* (Paris, 1910); J. Savant, *Les mamelouks de Napoléon* (Paris, 1949); В. А. Погосян, *Армяне – сподвижники Наполеона: история и мифы* (Ереван, 2009). მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებია წარმოდგენილი *Grand dictionnaire universel du XIXe siècle* (Paris, 1875), XIII, 1469; B. Melchior-Bonnet, *Dictionnaire de la Révolution et de l'Empire* (Paris, 1965), 274; David Chandler, *Dictionary of the Napoleonic Wars* (London, 1979), 385; Owen Connelly, *Historical Dictionary of Napoleonic France* (Westport CT, 1985), 426; Jean Tulard, *Dictionnaire Napoléon* (Paris, 1989), 1481-1482; A. Fierro, A. Palluel-Guillard, J. Tulard. *Histoire et dictionnaire du Consulat et de l'Empire* (Paris, 1995), 1067.

მონებით მოვაჭრეებმა მოიტაცეს და ჯერ დალესტანში, ხოლო შემდეგ სტამბოლში გაყიდეს. ბოლოს რუსტამი ეგვიპტეში აღმოჩნდა, სადაც იგი ერთმა ქართული წარმოშობის მამლუქმა ბეიმ იყიდა. განათლების მიღებისა და სამხედრო წერტნის შემდეგ რუსტამი თითქმის ორი წლის განმავლობაში მსახურობდა ეგვიპტეში, არაბეთსა და სირიაში. 1798 წელს ეგვიპტეში ნაპოლეონ ბონაპარტის ფრანგული ჯარი შემოიჭრა, დაამარცხა მამლუქები და ქვეყანა სრულად დაიკავა. მომდევნო წელს კი<sup>1</sup> რუსტამი ნაპოლეონ ბონაპარტის სამსახურში აღმოჩნდა და თექვსმეტი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა იმპერატორს.

რუსტამი არ იყო ერთადერთი მამლუქი, რომელიც საფრანგეთის სამსახურში აღმოჩნდა. ეგვიპტიდან ნაპოლეონმა რამდენიმე მამლუქი წაიყვანა, რითაც პარიზული საზოგადოება გააოცა და მამლუქებზე ერთგვარ ხიბლწარეე წარმოდგენას დაუდო საფუძველი. 1801 წელს, როდესაც ფრანგული ჯარი ეგვიპტიდან დაბრუნდა, თან მრავალი მამლუქიც გამოჰყვა. მალე მამლუქი მსახურები გაიჩინეს ნაპოლეონის შეილობილმა ეჟენ დე ბოგარნემ, მისმა ძმამ ჟოზეფმა, გენერლებმა – მარმონმა, ლანმა, სულტმა, ბესიერმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა. ფრანგები მამლუქებისადმი დიდ აღტაცებას გამოხატავდნენ, ხაზს უსვამდნენ მათ ფიზიკურ აღწაგობას, ცხენზე ჯირითის ოსტატობას. ნაპოლეონიც მაღალი აზრის იყო მამლუქთა შესაძლებლობებზე და 1801 წლის მინურულს ხელი მოაწერა მამლუქთა 240 კაციანი ესკადრონის შექმნის შესახებ ბრძანებას, რომელსაც სათავეში ნაპო-

---

გაუგებარია, ზუსტად როდის მოხდა რუსტამის გაჩუქება. ზოგიერთი თანამედროვე აცხადებს, რომ ეს მოხდა 14 ივნისს, როდესაც ბონაპარტი კაიროში დაბრუნდა და მას ადილობრივი ხელისუფლება დიდი ზარ-ზეიმით დახვდა. დეტალებისათვის იხილეთ *Traditions et souvenirs touchant le temps et la vie du général Auguste Colbert 1793-1809* (Paris, 1882), I, 396-397; *Journal d'un officier de l'armée d'Égypte. L'armée française en Égypte. 1798-1801*. (Paris, 1883), 136; *Journal d'un dragon d'Égypte (14<sup>e</sup> dragons)* (Paris, 1899), 98. მაგრამ ბონაპარტის პირადი მდივანი ბურიენი აცხადებს, რომ ეს 20 აგვისტოს მოხდა. *Mémoires de Bourrienne, ministre d'État sous Napoléon, le Directoire, le Consulat, l'Empire et la Restauration* (Paris, 1829), II, 134. თავად რუსტამი წერს, რომ ევიპტეში ფრანგ გენერალთან ერთად მან მხოლოდ ექვსი დღე გაატარა და შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრა. იმის გათვალისწინებით, რომ ბონაპარტმა ეგვიპტე 23 აგვისტოს დატოვა, რუსტამი მასთან 17 აგვისტოს უნდა მოხვედრილიყო.

ლეონის ერთგული გენერალი ჟან რაპი ჩაუდგა.<sup>1</sup> ესკადრონის შემადგენლობაში შევიდა ეგვიპტიდან ფრანგულ ჯართან ერთად დაბრუნებული რამდენიმე ასეული მამლუქი, თუმცა რაპის პირველმა შემონმებამ ცხადყო, რომ საფრანგეთში ჩამოსულ მამლუქთა დიდი ნაწილი ხანშიშესული და სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი იყო. ამიტომ 1802 წლის იანვარში ნაპოლეონმა შემადგენლობა 150 კაცამდე შეამცირა.<sup>2</sup> 1802 წლის აპრილის განკარგულებამ განსაზღვრა მამლუქთა ესკადრონის ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელფასი, შეიარაღება და ტანისამოსი. ესკადრონი შედგებოდა ორი ასეულისგან (თითოეულ მათგანში 5 ოფიცერი და 76 მამლუქი მსახურობდა), რომელთაც ფრანგი და მამლუქი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ.<sup>3</sup> 1804 წელს, ნაპოლეონის ბრძანებით, მამლუქთა ესკადრონი იმპერიული გვარდიის ნაწილად გამოცხადდა და მამლუქთა ასეულის (125 კაციანი შემადგენლობით) სტატუსი მიენიჭა.

თავდაპირველად მამლუქთა ესკადრონში უმეტესწილად სირიელი და ეგვიპტელი არაბები, სომხები და ბერძნები მსახურობდნენ, მაგრამ მოგვიანებით ესკადრონის შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა (განსაკუთრებით 1812-1813 წლებში გაცდილი დანაკარგების შედეგად) და ნაპოლეონის ომების მიწურულს მამლუქთა ესკადრონი თითქმის მთლიანად ფრანგებით იყო დაკომპლექტებული. აღსანიშნავია, რომ მამლუქთა შორის რამდენიმე ქართული წარმოშობისაც იყო. მამლუქი ჰასანი წარმოშობით სამეგრელოდან იყო და, მამლუქთა ესკადრონთან ერთად, წარჩინებით მსახურობდა ნაპოლეონის თითქმის ყველა კამპანიაში. 1815 წლის შემდეგ იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ჟანდარმერიაში. სამეგრელოდან იყო ასევე მამლუქი მუსაჰა გიორგი, ხოლო თბილისში იყვნენ დაბადებული მამლუქები – დაუდ გურჯი, რუსტამ გურჯი და გიორგი ჩერკესი. ქართველი იყო ასევე

---

<sup>1</sup> *Arrêté d'organisation des Mameloucks du Premier Consul*, 21 Vendémiaire an X (1801 წ. 13 ოქტომბერი), Jean Savant, *Les Mameloucks de Napoléon* (Paris, 1949), 428.

*Second arrêté d'organisation des Mameloucks du Premier Consul*, 17 nivôse an X (1802 წ. 7 იანვარი), *Ibid.*, 428-429.

*Indemnités et Armement des Mameloucks du Premier Consul*, 11 germinal an X (1802 წ. 1 აპრილი); *Nouvel arrêté d'organisation des Mameloucks du Premier Consul*, 25 Germinal an X (1802 წ. 15 აპრილი); *L'encadrement des Mameloucks du Premier Consul*, 25 Germinal an X (1802 წ. 15 აპრილი), *Ibid.*, 429-433.

მამლუქი ანანია, რომელმაც თავი გამოიჩინა ესპანეთში 1810-1811 წლებში და შემდეგ რუსეთში ლაშქრობის დროს 1812 წლის 20 ნოემბერს დაიღუპა. თბილისში დაბადებულ მამლუქთა შორის ყველაზე გამორჩეულ სამხედრო კარიერას მამლუქმა შაჰინმა (Chahin) მიაღწია. 1798 წელს ეგვიპტეში ფრანგების შემოჭრიდან ორი კვირის თავზე შაჰინმა ზურგი შეაქცია თავის თანამემულეებს, ფრანგებს შეუერთდა და მალევე დანიანურდა. მან თავი გამოიჩინა 1800 წელს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში: ჰელიოპოლისთან განსაცვიფრებელი ვაჟაკობა გამოავლინა და ოცდათხუთმეტი (!) ჭრილობა მიიღო, მაგრამ გადარჩა და ბრძოლის შემდეგ ლეიტენანტის ნოდებით დაჯილდოვდა. 1801 წელს საფრანგეთში ჩასულმა შაჰინმა განაგრძო ფრანგულ ჯარში მსახურობა და თავზეხელაღებული ვაჟაკის სახელიც მოიპოვა. 1805 წლის 2 დეკემბერს აუსტერლიცთან ბრძოლის დროს იგი მამლუქებს მიუძღოდა წინ, სიკვდილს გადაარჩინა გენერალი ჟან რაპი და ხელთ იგდო მონინააღმდეგის ქვემეხი. 1807 წლის თებერვალში, ეილაუსთან ბრძოლაში, იგი კვლავ ბრძოლის ეპიცენტრში იყო, რამდენჯერმე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ კვლავ ისახელა თავი და იმპერატორისგან კაპიტნის ნოდება მიიღო. მომდევნო სამი წელი ესპანეთში გაატარა, სადაც ავაღსახსენებელ დოს დე მაიოს (1808 წლის 2 მაისს) აჯანყების დროს კვლავ გამოიჩინა თავი. ამას მოჰყვა კამპანიები გერმანიასა და საფრანგეთში. თხუთმეტწლიანი სამხედრო კარიერის დასასრულს შაჰინის სახე და სხეული ორმოცზე მეტი ნაიარევით იყო დასერილი! ნაპოლეონის დაცემა და ბურბონთა დინასტიის დაბრუნება შაჰინისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ვაჟაკი მამლუქი იდევნებოდა ახალი ხელისუფლების მიერ და გაჭირვებაში ცხოვრობდა. შემდგომში მან, ნაპოლეონის ყოფილი გენერლების ხელშეწყობით, შესძლო საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება და სამხედრო სამსახურში დაბრუნება. 1830 წელს ორმოცდაათობეტი წლის შაჰინმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის მიერ ალჟირის დაპყრობაში, რის შემდეგაც გამოემშვიდობა სამხედრო ასპარეზს და 1838 წლის 12 მაისს მელუნში გარდაიცვალა.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> *Etas des Services, Campagnes & Blessures de M. Jean Chahin, capitaine Ex-Garde Imperiale, Dossiers de titulaires de la Légion d'Honneur (1800-1976), dossier LH/467/102, Archives Nationales de France; Ordonnance du Roi qui accorde des Lettres de declaration de naturalité au Jean Chahin, No. 5631, Bulletins des Lois du Royaume de France (Paris, 1819) 810.*

შაჰინისგან განსხვავებით, რუსტამს ბრძოლებში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა იგი ნაპოლეონის თითქმის ყველა კამპანიაში (იტალიის 1800 წლის კამპანიის გარდა) პირადი მცველის და მოსამსახურის მოვალებებს ასრულებდა. რუსტამი პარიზის მაღალ საზოგადოებაში პირველად 1799 წლის 5 ნოემბერს გამოჩნდა, როდესაც პარიზის ოპერის თეატრმა ახალი წარმოდგენის – „კაიროს ქარავანის“ პრემიერა მოაწყო. წარმოდგენის სანახავად მისულ ბონაპარტს თან ახლდა რუსტამიც. მისმა გამოჩენამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. გაზეთი *Moniteur Universel* გვაუწყებს, რომ „მამლუქმა ყველას მზერა მიიპყრო, თუმცა თვითონ მხოლოდ სცენას უყურებდა. გაკვირვებული იყო იმით, რომ სცენაზე თავისი მშობლიური ქვეყნის ტანისამოსს და წეს-ჩვეულებებს ხედავდა...“<sup>1</sup> შემდგომში რუსტამი და ნაპოლეონის პირადი მოსამსახურე ლუი კონსტანტ ვარი (ცნობილია კონსტანტის სახელით) ყოველ დილას იმპერატორს ჩაცმა-დაბანაში ეხმარებოდნენ. დღის განმავლობაში – ბრძოლის ველზე, საზეიმო შეხვედრასა თუ ნადიმზე რუსტამი მუდამ ნაპოლეონის გვერდით იმყოფებოდა. მას თან დაჰქონდა ვერცხლის მათარა, რომელშიც ესხა კონიაკი ნაპოლეონის წყურვილის დასაკმაყოფილებლად. ლამით, როგორც რუსტამი ამბობს: „მეძინა იმპერატორის საძინებელი ოთახის წინ მდებარე მოსაცდელში, სადაც ჩემთვის ყოველდღამე შლიდნენ პატარა სანოლს. თუ არსებობდა შეთქმულების საშიშროება, იმპერატორის კარის წინ ვწებოდი“. მამლუქის გამოჩენას უფრო დიდი ეფექტი რომ ჰქონოდა, ნაპოლეონმა მისთვის რამდენიმე ძვირფასი ტანისამოსი პარიზში საუკეთესო მკერავებს შეაკერინა. რუსტამის პირველი ტანისამოსი ბერძნულ-თურქულ სტილში იყო შესრულებული და მისი შეკერვა 742 ფრანკი დაჯდა, რაც რიგითი მამლუქის წლიურ ხელფასს თითქმის ორჯერ აღემატებოდა. 1804 წელს თავისი კორონაციისათვის ნაპოლეონმა რუსტამისათვის კიდევ უფრო მდიდრული ორი ხელი ტანისამოსი შეაკერინა, რომელიც მას 8,000-ზე მეტი ფრანკი დაუჯდა.<sup>2</sup> რუსტამი თვითონ შენიშნავს: „სახალხო აღლუმებისთვის არაბული ბედაური მყავდა, ოქროთი მორთული აღკაზმულობითა და

---

*Gazette nationale ou le Moniteur universel*, No. 44 (1799 წ. 5 ნოემბერი).  
Alphonse Maze-Sencier, *Les fournisseurs de Napoléon I et des deux impératrices* (Paris, 1893), 79-80.

თურქული უნაგირით. ჩვეულებრივი მგზავრობისა და სეირნობის დროს კი ფრანგულ ცხენებზე ვიჯექი და ჰუსართა მოოქროვილ უნაგირს ვიყენებდი". როგორც კონსტანტი აღნიშნავს, „იმპერატორის ყოველი საჯარო გამოჩენის დროს რუსტამი მისი შეუცვლელი თანამგზავრი იყო. იგი ყველა მგზავრობის, ცერემონიისა თუ ბრძოლის დროს თან ახლდა მას. თავის მდიდრულ აღმოსავლურ ტანსაცმელში გამონყობილი რუსტამი ყველაზე თვალწარმტაცი ფიგურა იყო იმპერატორის ისედაც ბრწყინვალე გარემოცვაში. მისი გამოჩენა საოცარ ზეგავლენას ახდენდა, განსაკუთრებით უბრალო ხალხზე და პროვინციებში".<sup>1</sup> თანამედროვის აღწერით, „თავის მდიდრულ ტანისამოსში გამონყობილი, მკერდზე საპატიო ლეგიონის ოფიცრის ორდენით და ათასი სხვა სიკეთით დაჯილდოებული რუსტამი თავისი მფარველისადმი უზომო ერთგულებას იჩენდა“.<sup>2</sup>

იმპერატორი ერთგული სამსახურისათვის გულუხვად აჯილდოებდა რუსტამს. მისი წლიური ხელფასი 4,800 ფრანკს შეადგენდა (2,400 ფრანკი იმპერატორის პირადი მამლუქის მოვალეობებისათვის და 2,400 ფრანკი იმპერატორის მესაჭურველის), მაგრამ ხელფასის გარდა, რუსტამი თითქმის ყოველ წელიწადს ლებულობდა ფულად პრემიებს. ყოველ ახალ წელს იმპერატორი მას 3,000-6,000 ფრანკს ჩუქნიდა, ხოლო თითოეული სამხედრო კამპანიის შემდეგ – დამატებით 3,000 ფრანკს. 1806 წელს იმპერატორმა მას 1,341 ფრანკი უბოძა პრემიის სახით, 1810 წელს – 5,000-ზე მეტი, 1811 წელს – 4,000, 1813 წელს – 6,000, 1814 წელს – 6,000. საინტერესოა შედარებისათვის, რომ რიგითი მამლუქის წლიური ხელფასი 457, მამლუქთა კაპიტნის – 4,000, ამავე დროს, ფრანგული ჯარში პოლკოვნიკის საშუალო წლიური ხელფასი 6,000, ბრიგადის გენერალის კი 10,000 ფრანკს შეადგენდა.<sup>3</sup> 1806 წელს, როდესაც რუსტამმა გადაწყვიტა ცოლად შეერთო

---

<sup>1</sup> Louis Constant Wairy, *Mémoires de Constant, premier valet de chamber de l'empereur* (Bruxelles, 1830), I, 52

*Biographie nouvelle des contemporains* (Paris, 1825), XVIII, 263.

Reorganization de la Garde des Consuls pour l'an XI, 9 vendémiaire an XI (1802 წ. 1 ოქტომბერი), Savant, *Les Mameloucks de Napoléon*, 434; Georges Blond, *La Grande Armée* (London, 1995), 512.



ალექსანდრინე-მარი-მარგარიტა დუვილი, რომლის მამა ალექსანდრე-ნიკოლა დუვილი უოზეფინას პირადი მოსამსახურე იყო, ნაპოლეონმა ქორწინების ყველა ხარჯი (1,341 ფრანკი) თავის თავზე აიღო.

მრავალწლიანი ერთგული მსახურების შემდეგ, 1814 წლის გაზაფხულზე, რუსტამმა საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო. როგორც თანამედროვე აღწერს, „იმპერატორისადმი მისმა ერთგულებამ, რომლითაც რუსტამს მუდამ მოჰქონდა თავი, ვერ გაუძლო ჭეშმარიტ განსაცდელს და ვერ გამოიჩინა ის თავდადება, რომლითაც აღმოსავლეთის მკვიდრნი ასე სახელგანთქმულნი არიან“.<sup>1</sup> 1814 წლის აპრილში, საფრანგეთში მოკავშირეთა შემოჭრის დროს, რუსტამმა თანდათანობით ზურგი შეაქცია ნაპოლეონს. თავის მემუარებში ის წერს: „ერთხელ სხვათა თანდასწრებით და საქმიანი ტონით მკითხეს, განზრახული მქონდა თუ არა იმპერატორთან ერთად წასვლა. ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი მისი უდიდებულესობის აზრი, ამიტომ არ შემეძლო საბოლოო პასუხის მიცემა“. გაურკვეველია, თუ რატომ იყო საჭირო იმპერატორის აზრის გაგება მამლუქისათვის, რომელიც იმპერატორს მუდამ თავდადებას ეფიცებოდა. ეს პასუხი რუსტამის წინდახედულობაზეც მეტყველებს – ბუნებრივია, იგი ხვდებოდა, რომ ნაპოლეონის დამარცხება უკვე აშკარა და გარდაუვალი იყო და მის გვერდით დარჩენა წამგებიანი იქნებოდა. თავის მოგონებებში რუსტამი ამბობს, რომ მას მიუღებელი პირობები ნაუყენეს, რომ კუნძულზე იმპერატორს მამლუქი არ დასჭირდებოდა და თუ მაინც წავიდოდა, დერეფნის სამსახურით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რის გამოც მეუღლის რჩევის მიღება გადაწყვიტა. რუსტამი ფონტენბლოს სასახლიდან დაეთხოვა ნაპოლეონს და მეუღლესთან ორდღიანი საუბრის შემდეგ ისევ დაბრუნდა იმპერატორთან. მაგრამ ამ დროისათვის, ეტყობა, მას უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, რადგან მემუარებში მოცემული განმარტება მეტად უმწეო და აბსურდულია. 13 აპრილს ნაპოლეონმა თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ შხამმა უმტყუნა და გადარჩა. იმავე საღამოს ამბებს რუსტამი ასე აღწერს:

„იმპერატორმა თავისი დამბაჩები მომთხოვა. რადგან იმპერატორის იარაღზე პასუხს ვაგებდი, სხვა დროს

სწრაფად ვასრულებდი მის ბრძანებას, მაგრამ არსებული გარემოებების გამო გადავწყვიტე, არ შემესრულებინა ეს დავალება... ერთ-ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელთან ურთიერთობასაც ვერიდებოდი, ასევე გამაფრთხილა იმპერატორის შესაძლო თვითმკვლელობაზე. ვუპასუხე, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. „თქვენ იცით, ძვირფასო რუსტამ, – განაგრძო მან – თქვენი მდგომარეობა ყველაზე რთულია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს უბედური შემთხვევა ღამით მოხდეს, საზოგადოების გადარწმუნება ადვილი არ იქნება, რომ არ ხართ მოსყიდული უცხო ხელისუფლების მიერ და იმპერატორი თქვენი ხელით არ მომკვდარა“. როცა ეს წარმოვიდგინე, იმედი გამამენურა და გაქცევა დავაპირე“.

ცოტა არ იყოს, გასაოცარია, თუ როგორ შეეძლებოდა პიროვნებას, რომლის ნაპოლეონისადმი თავდადებასა და ერთგულებაზე წლების განმავლობაში აღტაცებით საუბრობდა ხალხი, ასე წამიერად მიელო გადაწყვეტილება და მხოლოდ ვილაცის მიერ გამოთქმული ეჭვის საფუძველზე მიეტოვებინა თავისი მწყალობელი! მაგრამ რუსტამმა მიიღო გადაწყვეტილება და იმავე ღამით ფონტენბლოდან პარიზში გაემგზავრა ისე, რომ იმპერატორისათვის ერთი სიტყვა (თუნდაც მადლობის) არ უთქვამს. რუსტამი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი იმათგან, ვინც იმ დღეებში ნაპოლეონს უღალატა, მაგრამ „მამლუქ რუსტამის ღალატმა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარტყმა მიაყენა იმპერატორს“ – აცხადებს თანამედროვე. ერთგული პიროვნება უნდა გაპყლოდა მას „არამარტო კუნძულ ელბაზე, არამედ წმ. ელენეს კუნძულზეც და, თუ საჭირო იქნებოდა, უფრო შორეულ გადასახლებაშიც“.<sup>1</sup> მაგრამ, როგორც ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსი მანფრედი აღნიშნავდა, „ვის სჭირდებოდა ყოფილი იმპერატორი?“ მანფრედს ეხმაურება ფრანგი ისტორიკოსი ჟან სავანიც, რომელიც წერს, „[ნაპოლეონი] აღარ იყო ფრანგთა იმპერატორი, იტალიის მეფე და ა. შ. რა სარგებლობას მიიღებდა რუსტამი, რომ დარჩენილიყო ადამიანთან, რომელიც კუნძულზე იყო გადასახლებული? [...] რუსტამი ემსახურა თავის პატრონს მანამ, სანამ ის ძლიერი და მდიდარი

<sup>1</sup> Amédée Pichot, *Napoleon à l'île Elbe* (Paris, 1873), 276.

იყო".<sup>1</sup> რუსტამისგან განსხვავებით, ნაპოლეონის მეორე მამულეტი ფრანგი სენ-დენი, რომელმაც არაბული სახელი – ალი დაირქვა, გაჰყვა იმპერატორს ორივე გადასახლებაში, ერთგულად ემსახურა მას სიცოცხლის უკანასკნელ ნუთებამდე და მადლობელი იმპერატორის ანდერძიდან 150,000 ფრანკი მიიღო. რუსტამს თავისუფლად შეეძლო დარჩენილიყო სწორედ ასეთი ერთგულების მაგალითად, მაგრამ მან სხვა გზა არჩია და შორეულ გადასახლებაში წასვლას ოჯახურ იდილიაში მშვიდად და კომფორტულად ცხოვრება ამჯობინა.<sup>2</sup>

იმპერატორის მხარდამჭერებმა არ აპატიეს რუსტამს ეს ლალატი. თანამედროვე გაზეთებში გამოქვეყნდა არაერთი სტატია, რომლებშიც რუსტამის საქციელი დაიგმო, ხოლო პარიზში მალე დაიბრუნდა ჟორი, რომ ფონტენბლოდან რუსტამის წასვლასთან ერთად, სასახლიდან დიდძალი ფულადი თანხა გაქრა. ეჭვი, ბუნებრივია, რუსტამზე მიიტანეს. მაგალითად, მაღამ დე ავრილონი პირდაპირ წერს თავის მემუარებში, რომ „ფონტენბლოდან გამგზავრებისას რუსტამმა თან წაიღო ყველა თავისი ნივთი და 25,000 ფრანკი, რომელიც იმპერატორმა მას ანდო“.<sup>3</sup> სინამდვილეში თანხა საგრძნობლად მეტი იყო, 50,000 ფრანკს ალემატებოდა. ასეთმა ბრალდებებმა აიძულა რუსტამი, დაენერა საპასუხო სტატია, რომელიც 1814 წლის 29 აპრილის *Gazette de France*-ში გამოქვეყნდა. „მსურს სიმართლე გაცხადდესა – ამბობს რუსტამი, – და დამტკიცდეს, რომ მონანილეობა არ მიმიღია ჩემნაირი მამაცი ადამიანისათვის შეუფერებელ ქმედებაში. თექვსმეტი წლის განმავლობაში ერთგულად ვემსახურებოდი ნაპოლეონს, ჩემი საქციელი მუდამ უმნიკველო იყო და ეს თავისთავად საკმარისი უნდა იყოს იმისთ-

---

<sup>1</sup> J. Savant. Op. cit. P. 334. აღსანიშნავია ფრანგი ისტორიკოსის – ფლეიშმანის შეფასება: „რუსტამის სახელი გახდება უმადურობის სიმბოლო, ისევე როგორც [მარშალ] მარმონის სახელი გახდა ლალატის სიმბოლო“ Fleischmann. Op. cit., 234.

<sup>2</sup> სწორედ ოჯახისადმი ერთგულებით ამართლებენ რუსტამის საქციელს თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები B. Kasbarian-Bricout, *L'Odyssee tamelouke a l'ombre des armées Napoléoniennes* (Paris, 1988); A. Бахчинян, *Наполеон и армяне* (Ереван, 2003). მათგან განსხვავებით, ბევრად უფრო კრიტიკულ შეფასებას გვთავაზობს В.А. Погосян, *Армяне – сподвижники Наполеона: история и мифы* (Ереван, 2009).

<sup>3</sup> *Mémoires de mademoiselle Avrillion*, 392.

ვის, რომ ჩემ წინააღმდეგ აღძრული შეურაცხმყოფელი ბრალდებები გაქარწყლდეს". რუსტამი აცხადებდა, რომ ქალაქ არსის-სურ-ობთან მან გმირულად იბრძოლა საკუთარი პატრონის თვალწინ და ამისათვის მან თავისი ქმედების შესაფერისი ფულადი ჯილდოც მიიღო, თუმცა არასოდეს უთქვამს, რა ოდენობის. რუსტამის თავის გასამართლებელი არგუმენტი უსუსური აღმოჩნდა, რადგან მალე გამოვლინდა, რომ იმპერატორის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ხსენებულ პერიოდში, რუსტამის სახელზე მხოლოდ 196 ფრანკი გაიცა. გამქრალი 50,000 ფრანკის ბედი კი უცნობი დარჩა. სავსებით შესაძლებელია, რომ რუსტამს კავშირი არ ჰქონია ამ თანხის დაკარგვასთან და ნაპოლეონის იმპერიის უკანასკნელი დღეების ორომტრიალში ეს თანხა იმპერატორის კარის რომელიმე სხვა პირს მიეთვისებინა. მაგრამ ამ ამბით მიყენებული ლაქა რუსტამს ცხოვრების ბოლომდე მიჰყვებოდა.

იმპერატორისადმი ზურგის შექცევის მიუხედავად, ახალი ხელისუფლება – ჯერ დროებითი მთავრობა და შემდეგ ბურბონთა დინასტია – ეჭვის თვალთ უყურებდა მამლუქს და იმპერატორის გადადგომისთანავე იგი პოლიციის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ მოექცა.<sup>1</sup> ფონტენბლოდან რუსტამის გაქცევა მოულოდნელი აღმოჩნდა არა მარტო ნაპოლეონისათვის, არამედ ახალი ხელისუფლებისათვისაც, რომელიც ეჭვის თვალთ უყურებდა მამლუქის უეცარ ლაღატს და მას იმპერატორის ჯაშუშად მიიჩნევდა. 1814 წლის 18 აპრილს პოლიციის აგენტი აღნიშნავდა: „ჩემი წყაროები მარწმუნებენ, რომ რუსტამი არ გაჰყვება იმპერატორს კუნძულ ელბაზე და ეს უთუოდ ასე იქნება, მაგრამ ჩემთვის ეს გარემოება საკვირველია, თუ გავითვალისწინებთ მის ერთგულებას [ნაპოლეონისადმი] და იმასაც, რომ მას პარიზში დარჩენის არავითარი იმედი არ უნდა გააჩნდეს“. 25 აპრილის პოლიციის აგენტის მოხსენება გვაუწყებს, რომ ორი სანდო პიროვნება დაუდგა რუსტამს თავდებად, რომლებიც მისი „კეთილგონივრული საქციელის“ გარანტიას იძლეოდნენ. როგორც რუსტამი გვატყობინებს, „პოლიციის უფროსმა, რომელსაც ვიცნობდი, მირჩია, დამეტოვებინა პარიზი მეფის [ლუი XVIII-ის] დაბრუნებამდე. ის ფიქრობდა, რომ ჩემი მხრიდან მეტად გონივრული იქნებოდა, სადმე პროვინციაში წყნარად მეცხოვრა

---

<sup>1</sup> პოლიციის აგენტების მიერ მომზადებული მოხსენებები ინახება საფრანგეთის ეროვნულ არქივში: AN, série F7, carton 6955.

და არა პარიზში, განდევნის მოლოდინში. ეს ჩემთვის მეტად მოულოდნელი სიახლე იყო. თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ ვინმესთვის საშიშ პიროვნებას ნარმოვადგენდი. პოლიციელმა ამიხსნა, რომ პარიზში ეჭვის თვალით მიყურებდნენ”.

რუსტამი თავდაპირველად მართლაც დასახლდა თავისი მეუღლის მშობლიურ ქალაქ დროში, ოთხი თვის შემდეგ კი მიიღო პარიზში დაბრუნების ნებართვა.

1815 წლის მარტში ნაპოლეონმა კუნძულ ელბიდან გამოქცევა და საფრანგეთის ტახტის დაბრუნება შეძლო. 20 მარტს იგი ტრიუმფალურად დაბრუნდა პარიზში და კვლავ ტიულრის სასახლეში დასახლდა. ხუთი დღის შემდეგ სასახლეს რუსტამმა მიაკითხა და იმპერატორს პატიება და სამსახურში აყვანა სთხოვა, მაგრამ ნაპოლეონმა უარი განაცხადა მამლუქთან პირისპირ შეხვედრაზე. ხოლო როდესაც რუსტამის წერილი გადასცეს, მან მოკლედ უბრძანა თავის მოსამსახურეს: „ეს ლაჩრის წერილია, დაუყოვნებლივ დანვით და არასოდეს ახსენოთ მისი სახელი ჩემთან“. ელბიდან დაბრუნების შემდეგ ნაპოლეონი, ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ყველას ყველაფერს პატიობდა, რუსტამის მიმართ მისი ასეთი მოპყრობა კი მხოლოდ ხაზს უსვამს, თუ რამდენად მტკივნეული გამოდგა მისთვის მამლუქის ღალატი. ამის კიდევ ერთი მაგალითი ისიცაა, რომ იმავე დღეს ნაპოლეონმა გასცა ბრძანება: „მუსივ დუვილს [რუსტამის სიმამრს] აყვანილი ჰყავს ერთი კარისკაცი [რუსტამი]. არ მსურს არცერთი ისეთი კარისკაცის ყოლა, რომელიც მეფეს ემსახურებოდა. ამიტომ ჩემი განზრახვაა, ნებისმიერი პირი, რომელიც მე მემსახურებოდა და შემდეგ მეფეს შეეკედლა, გაძევდეს აქედან“. ასე მკაცრად, სახელის უხსენებლად, გადანყვითა იმპერატორმა თავისი ყოფილი მამლუქის ბედი. სამი დღის შემდეგ ნაპოლეონმა მოკლე წერილი მისწერა კოლენკურს: „მსურს გავაუქმო მესაჭურველს თანამდებობა [რომელიც რუსტამს ეკავა]. ამიტომ მასთან დაკავშირებული ყველა ნივთი დაუყოვნებლივ გადაყარეთ“.<sup>1</sup>

იმპერატორისგან შერისხული რუსტამი დასახლდა დროში (Dreux), პარიზის დასავლეთით, 80 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქში. მან პატარა ბინა დაიქირავა და იმპერატორის ხშირი ნადირობის

---

ნაპოლეონი კოლენკურს, 28 მარტი 1815 წ., Leonce de Brotonne, *Lettres inédites de Napoléon Ier* (Paris, 1898), 554.

დროს შეძენილი გამოცდილება გამოიყენა კურდღლების მოსაშენებლად. 1823 წელს, როდესაც მან თხოვნით მიმართა ორლეანის პერცოგს, მის ტერიტორიაზე ნადირობის ნება დაერთო, მომავალმა შეფემ ლუი ფილიპმა ნერილის კიდეზე მოკლედ მიანერა: „ნუთუ ეს მამლუქი რუსტამია? შესაძლებელია“. 1824 წელს რუსტამმა ინგლისში გამგზავრება გადაწყვიტა და ადგილობრივი პოლიციის უფროსთან მიწერილ წერილში მოკლედ აღნიშნა, რომ ამ მგზავრობის მიზანი „პირადი საქმეების მოგვარება“ იყო. ადგილობრივი პოლიცია არ დაკმაყოფილდა ასეთი მოკლე განმარტებით და უფრო საფუძვლიანი გამოძიება ჩაატარა. პოლიციის 1824 წლის 16 მარტით დათარიღებული მოხსენება გვაუწყებს: „ბატონ რუსტამ რაზას პარიზში ყოფნისას გართობის, ძალღების და ნადირობის გარდა არაფერი აინტერესებს, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ლონდონში მგზავრობისას მას, გართობის გარდა სხვა მიზანი არ გააჩნდეს. იგი ნაპოლეონს ემსახურებოდა, რამაც მას ხელი შეუწყო, ეჭვი არ გვეპარებოდეს მის ბონაპარტისტულ შეხედულებებში. იგი პირადად არ არის საშიში პიროვნება და არც შესაფერისი საშუალებები აქვს, ასეთად იქცეს, თუმცა სწორედ ამიტომ იგი შეიძლება დათანხმდეს ისეთ მისიაზე, რომელიც ჩვენი ხელისუფლებისათვის საზიანო იქნება“.

ბოლოს პოლიციის მოხელეებმა რუსტამის თხოვნა დააკმაყოფილეს და მის სახელზე პასპორტი გასცეს. პოლიციის უფროსმა მისი მგზავრობის შესახებ საფრანგეთის სამეფო პოლიციის უფროსს აცნობა და ქალაქ კალეს მერს სთხოვა, საფრანგეთში დაბრუნებისთანავე გაეჩხრიკათ. მხოლოდ ცნობილი ბანკირის – ტუფე დე ლა ბესნერას თავდებობის შემდეგ დარწმუნდა სამეფო პოლიცია, რომ რუსტამი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა და მისი გაჩხრეკა სრულიად ზედმეტი იყო. ამის მიუხედავად, ზედამხედველობის მოთხოვნა მაინც დარჩა ძალაში. პოლიციის მოხელეების მიმონერა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი ეჭვით უყურებდა ბურბონთა ხელისუფლება მამლუქს, მიუხედავად იმისა, რომ მან ზურგი შეაქცია იმპერატორს.

1824 წლის 29 მარტს რუსტამმა ქალაქი დუერი დატოვა და პატარა გემით – „le duc de Bordeaux“-ით თავისი ყოფილი მწყალობლის ყველაზე დიდი მტრის ნაპირებისკენ გაემშურა. მკითხველს ალბათ დაებადება კითხვა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა რუსტამის ეს

მგზავრობა. ათი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც იგი ნაპოლეონს დაშორდა. 1821 წელს, გარდაცვალების შემდეგ, იმპერატორი პოპულარულ პიროვნებად იქცა ბრიტანეთში. რუსტამმაც ამ პოპულარობის გამოყენება და ფულის შოვნა მოინდომა. ლონდონში ყოფნისას რამდენიმე კვირის განმავლობაში ის ინგლისური საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა: მაღალ საზოგადოებაში ნაპოლეონის მიერ ნაჩუქარი მამლუქის მდიდრული ტანისამოსით დადიოდა, ესწრებოდა ზეიმებსა და წვეულებებს. ბუნებრივია, ყოველივე ეს რუსტამისათვის სარფიანი იყო და საფრანგეთში დაბრუნებისთანავე მან ახალი პასპორტის თხოვნით მიმართა ხელისუფლებას, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა მისდამი ეჭვები. 1825 წლის 25 მარტის პოლიციის მოხსენება გვაუწყებს, რომ რუსტამი „საკუთარი შემოსავლით ცხოვრობს, მაგრამ რადგან მისი ქონების ოდენობა ჩვენთვის უცნობია, ძნელია დავიჯეროთ, რომ ცოლ-შვილის პატრონს შეუძლია საკუთარი გართობის მიზნით [ინგლისში] გამგზავრება, მით უმეტეს, რომ მისი საცხოვრებელი სახლის მდგომარეობიდან გამომდინარე, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ იგი შეძლებული პირია“. ასეთი შეფასების მიუხედავად, ხელისუფლებამ მაინც მისცა რუსტამს ახალი პასპორტი. ამასთანავე, თხოვნით მიმართა ბრიტანეთში საფრანგეთის სრულუფლებიან ელჩს, ყურადღებით ედევნებია თვალი მამლუქის ქმედებებისთვის, ხოლო ადგილობრივ პოლიციას უბრძანა, დეტალურად გაეჩხრიკათ რუსტამის საცხოვრებელი სახლი და ნივთები. 22 ივლისის პოლიციის მორიგი მოხსენება აღნიშნავდა, რომ რუსტამი „უხმაურო ცხოვრებას ეწევა, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით. ის უამრავი რამის გამო იწვევს დიდ უნდობლობას. ხასიათით ცივია და ურთიერთობას ცუდად აწყობს. არაფერი გვსმენია მის მეგობარ-ნაცნობზე... იგი თითქმის არ იცნობს თავის სამეზობლოს, ყველაზე ახლო მეზობლებსაც კი“. ასეთი შეფასებები, ბუნებრივია, კიდევ უფრო დიდ დაინტერესებას იწვევდა შინაგან საქმეთა მინისტრის ჟაკ ჟოზეფ გიომ პიერის თვალში და სწორედ ამის გამო ბურბონთა დინასტიის მეფობის უკანასკნელი ხუთი წელი რუსტამმა ზედმინეწითი ზედამხედველობის ქვეშ გაატარა.

1830 წლის ივლისში პარიზში ახალმა რევოლუციამ იფეთქა და ბურბონთა დინასტია იმსხვერპლა. მის ნაცვლად საფრანგეთის ტახტზე ორლეანელთა დინასტიის წარმომადგენელი სწორედ ის ლუი ფილიპე ავიდა, შვიდი წლით ადრე რუსტამის ნადირობის თხოვნას რომ

იხილავდა. ახალმა ხელისუფლებამ მოხსნა მამლუქზე ზედამხედველობა და მას უფრო თავისუფლად ცხოვრების საშუალება მისცა. 1831 წელს მეფემ წყალობა გაიღო და რუსტამის მეუღლე ქალაქ დურდანში ფოსტის მოხელედ დანიშნა. რუსტამი, თავის მეუღლესთან და სიმამრ-სიდედრთან ერთად, დასახლდა ქალაქის მერის მუსიე დიარის სახლის პირველ სართულზე. ადგილობრივი მკვიდრნი შემდგომში იხსენებდნენ რუსტამს როგორც თავაზიან და ჭამის მოყვარულ პიროვნებას. თუმცა ზოგიერთს 1814 წლის ამბები ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა. დურდანში ცხოვრობდა ვინმე ტურგარტი, ყოფილი ჯარისკაცი, რომელიც ნაპოლეონს აღმერთებდა და რუსტამის ყოველ დანახვაზე გაიძახოდა: „იმპერატორის მოლალატევე, საკუთარი ქვეყნის მოლალატევე, ნაძირალავე!“<sup>1</sup> „რუსტამი ძალზე კეთილი ადამიანი იყო – აცხადებს დურდანის ერთ-ერთი მკვიდრი – ისეთივე კეთილი, როგორც ის დიდი ძალები არიან, დამცინავი გულგრილობით რომ დაჰყურებენ მათ ფეხქვეშ მყეფარე პატარა მანანწალა ძუკნებს. იგი ჰერკულესივით ძლიერი აღნაგობის იყო და თუ მოისურვებდა ერთი მოსმით მოუღებდა ბოლოს ოთხ ტურგარტს. რუსტამი არასოდეს აქცევდა ყურადღებას ტურგარტის პროვოკაციებს. თუმცა აშკარა იყო, რომ სიმწრისგან თავის ხელკეტს უფრო ძლიერ ეჭიდებოდა. არადა, ეს რა ხელკეტი იყო, ჩემო მეგობრებო, ეს იყო დიდი ჯოხი, რომლის ნეერში ზანგის დიდი თავი იყო გამოსახული. რუსტამს უყვარდა საუზმის შემდეგ მასზე ნიკაპის ჩამოდება და ცოტა ხნით მიძინება“. ერთ დღეს ტურგარტმა თავისი შეძახილებით ისე გამოიყვანა იგი მწყობრიდან, რომ მამლუქმა ხელკეტი თავზე გადაატეხა, რის შემდეგაც დურდანის მკვიდრს ხმა აღარ ამოუღია.

ცხოვრების უკანასკნელი თოთხმეტი წელი რუსტამმა დურდანში გაატარა. იგი ხშირად ნადირობდა რამბულიეს ტყეში, ჰქონდა მიმონერა სხვადასხვა მწერალსა თუ საზოგადო მოღვაწესთან, რომლებიც ნაპოლეონის ეპოქით იყვნენ დაინტერესებულები. ამ პერიოდში რუსტამი ხშირად წერილებს ასე აწერდა ხელს: „იმპერატორ ნაპოლეონის ყოფილი პირველი მამლუქი“. 1840 წელს, როდესაც მეფე ლუი ფილიპემ ნაპოლეონის ცხედარი ჩამოასვენა წმ. ელენეს კუნძულიდან, რუსტამს საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ მიეგო პატივი

---

Francisque Sarcey, *Souvenirs de jeunesse* (Paris, 1885), 10.



თავისი ყოფილი მფარველისათვის. დეკემბრის ერთ მეტად ცივ დღეს მამლუქის მდიდრულ ტანისამოსში გამოწყობილმა რუსტამმა მონანილობა მიიღო პარიზში იმპერატორის ცხედრის ჩამოსვენების ცერემონიალში. საინტერესოა, მიაქცია თუ არა მან ყურადღება გზაზე ერთ დიდ ტრაფარეტს ასეთი წარწერით: „ფარისეველებო და გულგრილებო, შენდობა ითხოვეთ იმპერატორისგან, რომელსაც უღალატეთ და შეუბრალებლად დაგლიჯეთ! სწორედ თქვენ უნდა დაისაჯოთ!“<sup>1</sup>, მაგრამ იმ დღეს რუსტამისათვის არავის არაფერი უთქვამს, პირიქით, ხალხი მასში სწორედ წარსულის სიმბოლოს, ნაპოლეონის დიადი ეპოქის უკანასკნელ გაელვებას ხედავდა და შესაფერის პატივსაც მიაგებდა.

1845 წლის 7 დეკემბერს, დილის ექვსის ნახევარზე, სამოცდაოთხი წლის რუსტამი ავადმყოფობით გარდაიცვალა. მისი ცხედარი ადგილობრივ სასაფლაოზე დაკრძალეს, სადაც დღემდე დგას მისი საფლავის ქვა. რუსტამის ქვრივი დიდხანს არ დარჩენილა დურდანში, მალე გადავიდა საცხოვრებლად ვერსალში, სადაც თავის პატარა ბინაში, მეუღლის ნივთების გარემოცვაში, კიდევ თორმეტი წელი იცოცხლა. ალექსანდრიონი დუვილი გარდაიცვალა 1857 წლის 24 ივლისს და თავისი მეუღლის გვერდით განისვენებს.

რუსტამს ჰყავდა ორი შვილი: ვაჟი – აშილი, მუშაობდა პარიზში გაზეთ „Journal Officiel“-ს რედაქციაში, მაგრამ ახალგაზრდობაში გარდაიცვალა და შთამომავლობა არ დაუტოვებია. რუსტამის ქალიშვილი გათხოვილი იყო ვინმე არმან ბონარზე, რომლისგან შეეძინა ვაჟი, მაგრამ ამ ბავშვის შესახებ არაფერია ცნობილი.

რუსტამის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი დახასიათებები არსებობს და მისი პორტრეტებიც კი განსხვავებულ პიროვნებას წარმოგვიდგენს. 1806 წელს შექმნილ ფაჟ-ნიკოლა პაილო დე მონაბერტის ნახატში რუსტამი წამოგვიდგება როგორც სქელტანიანი და პირმრგვალი მამლუქი, თბილი მზერით, მრგვალი ნიკაპითა და სახის ნაზი ნაკვთებით. მონაბერტისეული რუსტამია ასევე წარმოდგენილი შარლ შეინიერის ნახატში „ნაპოლეონი ლობაუს კუნძულზე“, პიერ გოთეროს „ნაპოლეონის ქრილობა რატისბონთან“ და „ნაპოლეონი ამხნეებს დიდი არმიის მე-2 კორპუსს“, შარლ თევენინის „ულმის კაპიტულაცია“, ან ლუი ჟიროდეს „ნაპოლეონი იბარებს ქალაქ ვე-

<sup>1</sup> E.M. Laumann, *L'Épopée napoléonienne: Le retour des cendres* (Paris, 1904), 151.

ნის გასაღებს", და ვან ბრი მატეო იგნასის ჩანახატში, თუმცა აქ მას პატარა უღვაშიც ამშვენებს. 1810 წელს კი ცნობილმა ფრანგმა მხატვარმა ჰორაციო ვერნემ საესეებით სხვაგვარი რუსტამი დახატა – მკაფიო სახის ნაკვებით, ძლიერი ნიკაპით, გადანკეპილი უღვაშებითა და გამჭრიახი მზერით. კიდევ უფრო განსხვავებულადაა რუსტამი გამოსახული ჟან-ბატისტ დებრეს დიდებულ ნახატში – „საპატიო ლეგიონის ორდენით პირველი დაჯილდოვება“ (შესრულებულია 1812 წელს) – ნაპოლეონის ტახტთან მდგომ მამლუქს დიდი ცხვირი და გრძელი უღვაში უმშვენებს სახეს.

უცხოელი ისტორიკოსები, როგორც წესი, მეტად კრიტიკულად აფასებენ რუსტამის პიროვნებას. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის ქრისტოფერ ჰეროლდის აზრით, „რუსტამი იყო ცბიერი და გაუნათლებელი პიროვნება“, ხოლო სახელგანთქმული ფრანგი ისტორიკოსი ფრედერიკ მასონი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ნაპოლეონის პირადი ცხოვრება, აღნიშნავს, რომ რუსტამი იყო „ძალზე გაუნათლებელი [brute ignare] და ხარბი ადამიანი, რომელმაც ნაპოლეონის ეპოქით „სარფიანად ისარგებლა“.<sup>2</sup> თანამედროვეთა მოგონებები უფრო კოლორიტულ ფიგურას გვიხატავს. 1807 წელს გენერალ პოლინის პირველი შთაბეჭდილება რუსტამზე ასეთი იყო: „უხეში, მაგრამ, ამავე დროს, მეტად დამჯერი ადამიანი“.<sup>3</sup> იმავე წელს დაწერილ სხვა დახასიათების მიხედვით, რუსტამს „ლამაზი სახე და სასიამოვნო გამომეტყველება ჰქონდა, რაც იშვიათია მის თანამემამულეთა შორის. იგი არც ისე შეეგვრემანი, მაგრამ დიდი და ტლანქი აღნაგობისა იყო“. ლუი გარნიე, ლუი ბონაპარტის უფროსი მდივანი, ალბათ ბევრი ბონაპარტისტის შეხედულებას გამოხატავდა, როდესაც რუსტამს აღწერდა როგორც „უმაღურ ბედუნს“.<sup>4</sup> 1811 წელს, ამსტერდამში ნაპოლეონის მონახულებისას, ბუშერ დე პერტე აგდებით შენიშნავდა, „ზოგიერთ კეთილშობილი წარმოშობის პიროვნებას ეგონა, რომ მამლუქი რუსტამი მაღალი თანამდებობის ან იმპერიის წარჩინებული პირი იყო

<sup>1</sup> Christopher Herold, *Bonaparte in Egypt* (New York, 1962), 359.

<sup>2</sup> *Souvenirs de Roustam, mamelouck de Napoléon Ier*, introduction et notes de Paul Cottin, preface de Frédéric Masson (Paris, 1011), xii, xv.

Jules Antoine Paulin, *Les souvenirs du general baron Paulin* (Paris, 1895), 63.

*Mémoires sur la cour de Louis-Napoléon et sur Hollande* (Paris, 1828), 143-144.

და ამიტომ გასწიეს თავიანთი ცხენებითურთ მისკენ, რომ მის გვერდით მგზავრობის პატივი ჰქონოდათ... მაგრამ ამ რუსტამს კაპარალის ნოდებაც კი არ გააჩნდა, ის, როგორც ბევრი სხვა, ჩვეულებრივი მოსამსახურე იყო“.<sup>1</sup>

თანამედროვენი რუსტამის გულკეთილობაზეც საუბრობდნენ, მაგრამ, ამავე დროს, მის ნუნურაქ და ხელმომჭირნე ხასიათსაც უსვამდნენ ხაზს. ზოგიერთი, მაღამ ავრილონის მსგავსად, აღნიშნავდა, რომ რუსტამს „არავითარი განათლება არ გააჩნდა“.<sup>2</sup> ოფიციალური განათლება რუსტამს მართლაც არ ჰქონდა მიღებული და მისი მემუარის რთულად გასაგები ხელით და უხეში შეცდომებით შესრულებული ხელნაწერი ამის ნათელი მაგალითია. მიუხედავად ამისა, იგი ბუნებით საზრიანი პიროვნება იყო და რამდენიმე ენას ფლობდა. ახალგაზრდობაში მას ქართული სცოდნია. როგორც რუსტამი თავის მემუარში აღწერს, ეგვიპტეში ჩასვლისას მისმა პატრონმა, ქართული წარმოშობის მამლუქმა სალა ბეიმ რამდენიმე კითხვა დაუსვა ქართულად. მაგრამ რადგან ადრეული ასაკიდან იყო წამოსული საქართველოდან, იგი ამ ენაზე ცუდად საუბრობდა. რუსტამის მემუარებიდან ისიც ჩანს, რომ იცოდა სომხური ენა, ეგვიპტეში ყოფნისას ისწავლა არაბული, ხოლო საფრანგეთში ჩასვლისას ფრანგულსაც დაეუფლა. კონსტანტი აღნიშნავს, რომ რუსტამი ბერძნულადაც საუბრობდა: „ვენეციაში სხვადასხვა რჯულის ვაჭრები იყვნენ – აღწერს კონსტანტი – მათ შორის ძალიან ბევრი ებრაელი და ბერძენი იყო. რუსტამს კარგად ესმოდა ბერძნული ენა და ამიტომ მისით ყველაზე მდიდარი ვაჭრებიც კი ინტერესდებოდნენ“.<sup>3</sup> რუსტამი მოხერხებული პიროვნება იყო და იმპერატორთან ურთიერთობას საკუთარი გამდიდრების საშუალებად და სხვებთან კეთილგანწყობის მოსაპოვებლად იყენებდა. თავის მემუარებში ის იხსენებს რამდენიმე შემთხვევას, როდესაც სხვათა საქმეების მოგვარებას სთხოვდა ნაპოლეონს. მიუხედავად იმისა,

---

Boucher de Perthes, "Souvenirs d'un douanier du Premier Empire," *Revue Napoléonienne* (mars 1909), 69.

*Mémoires de mademoiselle Avrillion, première femme de chambre de l'Impératrice* (Paris, 1833), II, 391-392.

Louis Constant Wairy, *Memoirs of Constant, first valet de chambre of the emperor* (New York, 1907) II, 238.

რომ აღნიშნული ფაქტი მის გულკეთილობაზე მიუთითებს, სხვების თვალში ეს საქციელი ცოტა სხვაგვარად ჩანდა. მადამ ავრილონი, დედოფალ ჟოზეფინასთან დაახლოებული პირი, ხაზს უსვამს რუსტამის გაქნილობას, რომლითაც იგი იმპერატორისგან სხვადასხვა პირისათვის დახმარებას ითხოვდა. ამის შედეგად „მან მოიპოვა უფრო დიდი ნონა [cérédit], ვიდრე იმპერიულ კართან მყოფ ბევრ ნარჩინებულ პიროვნებას გააჩნდა“.<sup>1</sup> მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ზოგიერთი თანამედროვე, მათ შორის კონსტანტი, რომელიც რუსტამს კარგად იცნობდა და მტკიცედ აცხადებდა, რომ მამლუქის „ზეგავლენა მოსამსახურეთა წრეს არ სცდებოდა“. სავსებით შესაძლებელია, რომ კონსტანტის (და სხვების) ასეთი შეხედულება პირადი შურით იყოს გამოწვეული. ზოგიერთი თანამედროვე ხომ კიდევ უფრო მდაბიო განზრახვით ავრცელებდა რუსტამის შესახებ ჭორებს. მაგალითად, ნაპოლეონის წინააღმდეგ გაჩაღებული პროპაგანდისტული კამპანიის დროს ბრიტანელი პამფლეტისტი ლიუს გოლდსმითი ირწმუნებოდა, რომ რუსტამი დედოფალ ჟოზეფინასთან და თვით იმპერატორთანაც (!) ინტიმურ კავშირში იყო ჩაბმული. რუსტამს ბრალად სდებდნენ იმპერატორის ბრძანებით მკვლელობებისა თუ სხვა დანაშაულის ჩადენას. ბურბონი აგენტები ირწმუნებოდნენ, რომ 1804 წლის აპრილში გენერალ პიშეგრიუს სიკვდილი სწორედ მამლუქის ნახელავი იყო.<sup>2</sup>

რუსტამის მემუარები წარმოაჩენს მას, როგორც ოჯახისადმი ერთგულ ადამიანს, რომელიც წლების განმავლობაში ცდილობდა საკუთარი დედისა და დის მოძებნას. „კონსტანტინოპოლისა და სანკტ-პეტერბურგის საელჩოებში თოთხმეტამდე წერილი გავგზავნე – სევდით შენიშნავს იგი – მაგრამ პასუხი არ მომსვლია“. 1812 წელს მოსკოვში ყოფნისას რუსტამი ადგილობრივი სომხების დახმარებით ცდილობდა საკუთარი ოჯახის ადგილსამყოფელის დადგენას.<sup>3</sup> ნაპოლეონის მდივნის კლოდ-ფრანსუა მენევალის განცხადებით, „ერთ

<sup>1</sup> Mémoires de mademoiselle Avrillion, II, 391-392.

<sup>2</sup> J. Jourquin, "Roustam", Dictionnaire Napoléon, 1481; F. Barbey, *La mort de Pichegru* (Paris, 1909), 220; H. Fleischmann, Roustam, 124-125, 222; J.-F. Chiappe, *Georges Cadoudal ou la liberté* (Paris, 1971), 527.

*Relation du séjour des Français à Moscou et de l'incendie de cette ville en 1812 par un habitant de Moscou* (Bruxelles, 1871), 49-50.

დღეს რუსტამმა მიიღო წერილი დედისგან, რომელიც თურქეთში მონობაში იმყოფებოდა... რუსტამი უზომოდ გახარებული იყო ამ ცნობის გაგებით. ნაპოლეონმა მიბრძანა, დამენერა საპასუხო წერილი და მეკითხა, თუ რით შეიძლებოდა დაეხმარებოდით მას. მაგრამ უცნობი მიზეზის გამო ამ წერილზე პასუხი არ მიგვიღია".<sup>1</sup>

რუსტამის ცხოვრების ბევრ საინტერესო დეტალს მის გარშემო მყოფ ადამიანებისგან ვიგებთ. მაგალითად, 1812 წელს ბარონმა გიომ პეირუსმა, დიდი არმიის ხაზინადარმა, ძლივს გამოაღწია რუსეთიდან და მის გადარჩენაში დიდი წვლილი შეიტანა რუსტამისგან 250 ფრანკად ნაყიდმა ქაშმირის მოსასხამმა (ის რუსტამს მოსკოვის გაძარცვის შედეგად ჩაუვარდა ხელთ), რომელმაც იგი სიცივისგან დაიცვა.<sup>2</sup> 1807 წელს ტილზიტში ნაპოლეონისა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს შეხვედრის დროს, რუსტამი და კონსტანტი რუსული ჯარის სანახავედ წავიდნენ და ბაშკირთა ცხენოსნობისა და მშვილდისრობის ოსტატობის მოწმენი გახდნენ. კონსტანტის ცნობით, „ამ სანახაობამ რუსტამს ბავშვობა გაახსენა და მან მშვილდისრობის გასროლა გადაწყვიტა. მის მიერ ნატყროცნი ისარი მხოლოდ ორიოდ მეტრში დაეცა, რამაც სქელტუჩიან ბაშკირთა დამცინავი სიცილი გამოიწვია“. 1809 წელს რუსტამს კიდევ ერთი სასაცილო რამ შეემთხვა. ავსტრიაზე მოპოვებული მორიგი გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონი ჰაბსბურგთა დინასტიის შონბრუნის სასახლეში დასახლდა და იმპერიის საქმეებს განაგებდა. რადგან ის გვიან ღამემდე მუშაობდა, ყოველ საღამოს მისთვის ამზადებდნენ მსუბუქ ვახშამს, რომელიც გასაღებთან კალათაში ინახებოდა. გასაღები მხოლოდ ორ სანდო ადამიანს გააჩნდა, მათგან ერთ-ერთი კონსტანტი იყო. ერთ ღამეს, იმპერატორის დაძინების შემდეგ, რუსტამმა, რომელსაც იმ დღეს განსაკუთრებით დატვირთული განრიგი ჰქონდა და მთელი დღის განმავლობაში თითქმის არაფერი ეჭამა, იმპერატორის კალათას მოჰკრა თვალი და კონსტანტს გადაულაპარაკა, „ძალიან მშვიერი ვარ და შემწვარი წინილის ფრთის ნაჭერს დიდი სიამოვნებით მივირთმევედი“.

---

<sup>1</sup> Claude-Francois Méneval, *Memoirs of Napoleon Bonaparte* (New York, 1910), II, 699.

Guillaume Joseph Roux Peyrusse, *Lettres inédites du baron Guillaume Peyrusse écrites à son frère André* (Paris, 1894), 95.

თავდაპირველად კონსტანტმა ცივი უარი უთხრა, მაგრამ რუსტამის ხვეწნა-მუდარის შემდეგ, რადგან იმპერატორს უკვე ეძინა, ამის უფლება მისცა. რუსტამმა ჯერ ქათმის ფრთა მიირთვა, შემდეგ კი წინილის ფეხიც მიაყოლა ზედ. მოულოდნელად გაისმა ზარის ხმა, რომლითაც იმპერატორი მსახურებს იბარებდა თავისთან. ოთახში შესვლისას კონსტანტს გაღვიძებულმა იმპერატორმა ვახშამის მოტანა უბრძანა. ვინაიდან რუსტამს წინილის ნაწილი შეჭმული ჰქონდა, კონსტანტმა გადანყვიტა წინილის დარჩენილი ნაწილი დაეჭრა და ისე მიერთმია მისთვის. იმპერატორის საძინებელ ოთახში შესვლისას კონსტანტმა მას პირდაპირ მიანოდა დარჩენილი ფრთა, ნაპოლეონმა კი მთელი წინილა მოითხოვა, რომ თვითონ აერჩია სასურველი ნაჭერი. მან მაშინვე შენიშნა „გამქრალი“ ნაწილები და გაკვირვებულმა თქვა, „როდის აქეთ აქვს წინილას თითო-თითო ფრთა და ფეხი? ეტყობა, ვილაცის ნარჩენებით უნდა დავემყოფილდე დღეს“. კონსტანტმა გადახედა რუსტამს, რომელმაც დაბნეული ხმით სცადა თავის გამართლება. იმპერატორმა არაფერი უპასუხა და ვახშმობა დაასრულა, თუმცა შემდგომში არაერთხელ გაუხსენებია, თუ როგორ მოუწია მამლუქის ნარჩენებით შიმშილის მოკვლა.

რუსტამს აქტიური კავშირი ჰქონდა სომხურ დიასპორასთან და რამდენჯერმე დიდი დახმარებაც გაუწია მათ. 1805-1807 წლებში იგი შუამდგომლობდა ვენეციის კათოლიკე სომხების კონგრეგაციას და პირადად ხედებოდა მის ხელმძღვანელობას. უდავოა, რომ სწორედ რუსტამის ხელშეწყობით მოხდა სომხური მონასტრების გადარჩენა 1810 წელს, როდესაც იმპერატორის ბრძანებით გაუქმდა იტალიის სამეფოში არსებული ყველა მონასტერი, გარდა სომხური კონგრეგაციის მონასტრებისა.<sup>1</sup> 1812 წელს ფრანგების მიერ მოსკოვის დაკავებისას, რუსტამის თხოვნის საფუძველზე, ნაპოლეონმა ბრძანა ქალაქის სომხური უბნის დაცვა, რის გამოც ის გაპარტახებას გადაურჩა.<sup>2</sup>

---

იხილეთ Père M. Nourikhan. *Napoléon Ier et les PP. Mekhitaristes (Arméniens) de Venise. D'après les documents inédits des archives de St. Lazare (Venise)* (Venise, 1922); E. Dulaurier, "Les Arméniens en Autriche, en Russie et en Turquie," *Revue des deux mondes*, 4-6(1864): 209-265; А. Бахчянн, *Наполеон и армяне* (Ереван, 2003, სომხურ ენაზე).

*Новая и новейшая история*, 1-3(1989): 228; Ашот Базиანი, *Над архивом Лазаревых: очерки* (Москва, 1982), 46-47.

რუსტამის მემუარები პირველად საფრანგეთში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოიცა. რუსტამის გარდაცვალების შემდეგ, მისმა სიძემ მემუარების ხელნაწერი გადასცა ფერმწერ პიერ ბოფოს, რომელმაც, თავის მხრივ, იგი ცნობილ მკვლევარს – პოლ კოტენს მიანოდა. კოტენმა ხელნაწერი თავდაპირველად 1888 წელს ჟურნალ „*Revue rétrospective*“-ში ყოველგვარი რედაქტირების გარეშე გამოაქვეყნა. მომდევნო ოცდასამი წლის განმავლობაში მან გამოსცა მემუარების ოთხი რედაქცია,<sup>1</sup> რომლებშიც თანდათან შეასწორა ხელნაწერის ორთოგრაფია, სინტაქსი და ა. შ. ამ გამოცემებს შორის ყველაზე სრული და სანდო ვერსია 1911 წლის რედაქციაა. კოტენი და სავანი აღნიშნავენ, რომ ხელნაწერის დიდი ნაწილი რუსტამის ხელით არის დაწერილი, მაგრამ ბევრ ადგილას სხვისი ხელწერა შეიმჩნევა. სავარაუდოდ, ეს ადგილები რუსტამის კარნახით უნდა იყოს დაწერილი. რუსტამის მემუარების ნაწილი სომხურად ჯერ კიდევ 1911 წელს ითარგმნა, მაგრამ სრულად 1997 წლამდე არ გამოცემულა. სომეხმა მკვლევრებმა – გრიგორ ჯანიკიანმა და ირინა კარუმიანმა გამოსცეს პირველი სომხური და რუსული თარგმანები.<sup>2</sup> სამწუხაროდ, მთარგმნელებმა ტექსტში შეცდომები დაუშვეს და დედანში არარსებული დამატებები შეიტანეს. ქართული თარგმანი რუსტამის მემუარების 1911 წლის გამოცემას<sup>3</sup> ეყრდნობა.

დღემდე საქართველოში რუსტამის მემუარები მხოლოდ ამონა-რიდებით და უმეტესწილად არასწორი გადმოცემებით იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, რუსტამის სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოში და მისი წარმომავლობის საკითხი დავის საგანიც კი გახლდათ. ზოგიერთი ქართველი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ იგი ქართველი როსტომ რაზმაძე იყო, თუმცა ამის დამადასტურებელ მასალას ვერ

---

რუსტამის მემუარების უკანასკნელი ფრანგული რედაქცია 2010 წელს გამოვიდა: *Le mamelouk de Napoléon: les memoires de Roustam, le garde du corps de l'Empereur* (Paris: Jourdan, 2010). ამჟამად მზადდება მემუარების პირველი ინგლისურენოვანი თარგმანიც.

*Рустам. Моя жизнь рядом с Наполеоном. Воспоминания мамелюка Рустама Раза, армянина.* Перевод с французского Григора Джаникяна и Ирины Карумян (Ереван: Наири, 1997).

*Souvenirs de Roustam, Mamelouck de Napoléon Ier.* Introduction et notes de Paul Cottin, Préface de Frédéric Masson (Paris: Paul Ollendorff, 1911).

უთითებდა. 1960-იან წლებში გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა თბილისელი ლიტერატორის – მიხეილ ვაძბოლსკის სტატია „რუსტამ მამლუქის თავგადასავალი“, რომელშიც ავტორმა რუსტამის მემუარებიდან რამდენიმე ნაწყვეტი მოიყვანა, თუმცა არასწორად თარგმნილი. რუსტამის მემუარების კითხვისას ცხადი ხდება, რომ იგი თბილისელი სომეხი ვაჭრის ოჯახში იყო დაბადებული და თავის სომხურ წარმომავლობას არაერთხელ აღნიშნავს კიდევ თავის ნაწერში. ფრანგი და სომეხი მკვლევრების ნაშრომები კიდევ უფრო ცხადს ხდის, რომ რუსტამი სომხური წარმოშობის იყო. ქართველ მკვლევრებს შორის რუსტამის წამომავლობასთან დაკავშირებული გაუგებრობა ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ მისი თანამედროვეები თბილისში დაბადებულ მამლუქს ხშირად „ქართველად“ მოიხსენიებდნენ, მაგრამ ამით ისინი ეროვნულ წარმომავლობას კი არ მიუთითებდნენ, არამედ პიროვნების დაბადების ადგილს აღნიშნავდნენ.

წინამდებარე გამოცემის რედაქტორები დიდ მადლობას უხდებიან საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას რუსტამის მემუარების პირველი გამოცემების ასლების მონოდებისათვის, სანტა ბარბარაში კალიფორნიის, ლოს ანჯელესში კალიფორნიის და იელის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს – რუსტამთან დაკავშირებული მასალების გაცნობის შესაძლებლობისათვის და წიგნს უძღვნიან ქალბატონ ნათია ტაბატაძეს.



## თავი პირველი

იგი<sup>1</sup> დაიბადა თბილისში,<sup>2</sup> საქართველოს დედაქალაქში. მისი მამა, რუსტამ ჰონანი,<sup>3</sup> ვაჭარი იყო და იგი დაიბადა...<sup>4</sup>

მისი დაბადებიდან ორი წლის შემდეგ მამამ გადაიტანა თავისი სავაჭრო სახლი მშობლიურ აპერკანში,<sup>5</sup> ერთ-ერთ გამაგრებულ სომხურ ქალაქში. ერთხელ, როდესაც ის ცამეტი<sup>6</sup> წლის იყო და ბიჭებთან ერთად მამულში თამაშობდა, ქალაქს თურქები<sup>7</sup> დაესხნენ თავს, რომ მოეტაცათ ბავშვები, წაეყვანათ ისინი თავიანთ ქვეყანა-

---

<sup>1</sup> რუსტამის მემუარები შესამე პირში იწყება, მაგრამ შემდეგ პირველ პირში გადადის.

დედანი რუსტამის დაბადების თარიღი არ არის მითითებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსტამი 13 წლის იყო შუშაში სპარსელების 1795 წლის შემოსევის დროს, უნდა დაბადებულიყო 1782 წელს.

რუსტამს მეტად ცუდი ხელწერა ჰქონდა და ხელნაწერის მონაკვეთები რთულად იკითხება და გაშიფრვას საჭიროებს. მემუარის პირველ რედაქციაში რუსტამის მამის სახელი R... Kovan-ით გაიშიფრა, მაგრამ შემდგომში პოლ კოტენმა დაასკვნა, რომ სახელი უნდა ნაიკითხოს როგორც „რუსტამ ჰონანი“ (Roustam Honan). რუსულ რედაქციაში მამის გვარი ითარგმნა როგორც უნანი.

დედანი ტექსტი წყდება.

შუშასთან მდებარე ციხესიმაგრე.

რუსულ თარგმანში რუსტამის ასაკი თერთმეტ წლად არის მოხსენიებული, თუმცა ფრანგული დედანი მიუთითებს, რომ რუსტამი თურქებმა მოიტაცეს აპერკანში გადასვლიდან „თერთმეტი წლის შემდეგ“.

ფრანგულ დედანშია „Tartares“ – ტერმინი, რომელიც ზოგადად თურქების მიმართ გამოიყენებოდა. რუსული თარგმანის სომეხმა ავტორებმა ისტორიულად დაუსაბუთებელი, მაგრამ პოლიტიკურად გასაგები მიზეზების გამო, ეს ტერმინი განმარტეს როგორც „კავკასიელი თათრები ანუ დღევანდელი აზერბაიჯანელები“.

ში და მონებად გაეყიდათ. რუსტამის მრავალი მეგობარი ჩავარდა მაშინ ტყვედ, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა. გზააბნეულმა ტყეში ექესი საათი იხეტილა, მაგრამ საყვარელ დედასთან დაბრუნება ვერ მოახერხა.<sup>1</sup> საბედნიეროდ, რუსტამი შეხვდა ერთ მეტყევეს, რომელმაც იგი უკვე იმედდაკარგულ დედასთან დააბრუნა. დედამ უხვად დაასაჩუქრა ეს კეთილი ადამიანი.

ბატონ უნანს ორი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი ჰყავდა. რუსტამი ყველაზე უმცროსი იყო. [ერთხელ] მამა ვაჟებთან ერთად სავაჭრო საქმეზე წავიდა ქალაქ განჯაში, მელიქ-მეჯელუნის სამფლობელოში. რამდენიმე თვის შემდეგ სპარსეთის შაჰმა ომი გამოუცხადა იბრაჰიმ-ხანს,<sup>2</sup> რომელიც შაჰის ნაცვალის იყო სომხეთში. ამ ომის დროს დაკარგა რუსტამმა თავისი მშობლები.

როდესაც მამაჩემმა განჯიდან წასვლა გადაწყვიტა, თან ჩემი ორი ძმა – ავაკი და სეირანი წაიყვანა. ჩემი წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ისე ვიყავი დედაზე ჩამოკიდებული, რომ ერთმანეთს ვერ დაგვაშორა. რამდენიმე დღის შემდეგ მამაჩემმა იყიდა ურემი გასამგზავრებლად. იმავე დღეს სადილზე კიდევ ერთხელ გვკითხა, გვინდოდა თუ არა მასთან ერთად გამგზავრება. უფროსმა ძმებმა თქვეს: „დიახ," მე კი – „არა“. მამა დაინტერესდა, რატომ არ მინდოდა მასთან ერთად

---

ფრანგულ დედანში რედაქტორს მითითებული აქვს, რომ რუსტამის ხელნაწერში იყო სხვისი ხელით გაკეთებული მოკლე შენიშვნა, რომ რუსტამის დედას „ბუჯი-ვარი“ (Boudchi-Vari) ერქვა და ის თბილისელი იყო. ის უთუოდ თბილისელი სომეხის ოჯახიდან იყო.

იბრაჰიმ ხალილ ხანი (1730-1806) ჯავანშირის (აზერ. *Cavanşir*) დინასტიას მიეკუთვნებოდა. მამა პანაჰ-ალი ხანი (*Panah Ali Khan*) (1693-1761) ყარაბახის სახანოს დამაარსებელი იყო და შუშის ციხესიმაგრეიდან განაგებდა ყარაბახს. 1795 წელს სპარსეთის შახმა ალა-მაჰმად-ხანმა მასზე იერიში მიიტანა და, მუხედავად იმისა, რომ შუშამ გაუძლო სპარსელთა ალყას, იბრაჰიმ ხანი იძულებული გახდა, სპარსეთის ხელისუფლება ეცნო. 1796 წელს იბრაჰიმმა აქტიურად ცდილობდა სპარსელთა უღლის გადაგდებას და რუსეთთან კავშირის გაბმას. ამის გამო მომდევნო წელს ალა-მაჰმად ხანმა ახალი ლაშქრობა მოაწყო შუშაზე, რომლის ხელში ჩაგდებას შემდეგ ის მოკლეს. იბრაჰიმ ხანმა შეინარჩუნა ხელისუფლება 1806 წლამდე, ვიდრე რუსეთის ჯართან ბრძოლაში დაიღუპებოდა.

ნასვლა. ვუპასუხე: „დედა ყოველთვის ზრუნავდა ჩემზე, ვუყვარდი, როდესაც ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. ახლა, როდესაც გავიზარდე, მის გვერდით მსურს ყოფნა, რომ ახლა მე ვიზრუნო მასზე“.<sup>1</sup> მამა პასუხით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ჩემი აზრის შეცვლა ვერ მოახერხა. ბოლოს და ბოლოს, ის ნაწიდა კიდევ ჩემს ორ ძმასთან ერთად და მე განჯაში დამტოვა, ოჯახის წევრებისა და ყოველგვარი სახსრის გარეშე.

განჯა ძალიან მდიდარი და ლამაზი ქალაქია, სპარსული ქაშმირისა და აბრეშუმის სავაჭრო ცენტრი. სამი თვის შემდეგ იბრაჰიმ-ხანმა ომი გამოუცხადა მელიქ-მეჯელუნს, რომელიც განჯაში, იმ ციხესიმაგრეში იყო, სადაც მეც ვცხოვრობდი. მოსახლეობა გამაგრებული იყო ციხის ციტადელში. ვცდილობდი, გამოვსულიყავი და დედამდე მიმეღწია, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ციხესიმაგრეში შესვლა ჯერ კიდევ შეუძლებოდა, მაგრამ გამოსვლა კი – არა. ერთხელ მელიქ-მეჯელუნის ხალხმა სურსათის შესაგროვებლად ციხესიმაგრიდან გამოსვლა გადაწყვიტა. ციხესიმაგრის კარიბჭეები გააღეს თუ არა, ხალხში გაძრომა და განჯის ციხიდან გამოქცევა მოვახერხე. უკვე შორს ვიყავი ქალაქის კარიბჭეებიდან, როდესაც გზად ორი კაცი შემხვდა ჩემი ქალაქიდან. ვკითხე, მოვახერხებდი თუ არა დედასთან დაბრუნებას. მათ მიპასუხეს: „ღღეს ლამის ორ საათზე ბევრი ადამიანი იკრიბება აპერკანში ნასასვლელად“, ქალაქში, სადაც დარჩნენ დედა და დები – მარიამი და ბეგზადა.

ამ ორმა კეთილმა ადამიანმა მიჩვენა სახლი, სადაც მგზავრები იკრიბებოდნენ. მათთან მივედი, ძალიან თბილად მიმიღეს და აღმითქვეს, რომ აუცილებლად წამიყვანდნენ თან. ლამის ორ საათამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, როდესაც გადავწყვიტე, რომ მახლობელ მინდორზე გავსულიყავი და ცოტაოდენი ბოსტნეული შემეგროვებინა – რამდენიმე დღის განმავლობაში არაფერი მეჭამა და კუჭი ცარიელი მქონდა. მდელიოზე ცხვრების ფარა შევნიშნე და მისკენ გავიქეცი, რომ მწყემსისთვის ცოტა რძე და ყველი მეთხოვა.

---

<sup>1</sup> რუსტამის დედა იმ დროს შუშას აფარებდა თავს, თუმცა ეს გარემოება უცნობი იყო რუსტამისთვის.

როდესაც მწყემსთან მივედი, მან მკითხა: „რა გნებავს?“. „ცოტაოდენი ყველი და რძე, რამდენიმე დღეა არაფერი მიჭამია“. – ვუპასუხე. მწყემსმა დააკვირვებით შემომხედა, მკითხა, საიდან ვიყავი, რა მერქვა და ვინ იყვნენ ჩემი მშობლები. ვუპასუხე, მან კი მომიგო: „მე შენი ბიძა ვარ, მამის ძმა. უკვე თხუთმეტი წელია, სამშობლო დავტოვე“.

არცაა საჭირო იმის თქმა, თუ როგორ გამიხარდა ახლობელ ადამიანთან შეხვედრა. ისევ ვთხოვე ცოტაოდენი საჭმელი საგზლისთვის, ღამის მოგზაურობისთვის. მან ორი დიდი ლავაში და ბლომად მწვადი მომცა. საჭმელი ჩანთაში ჩავილაგე და დავაპირე იმ სახლში წასვლა, სადაც სხვა მგზავრები მელოდნენ.

ბიძამ დროებით მასთან დარჩენა შემომთავაზა. მირჩია, ცოტა მოვმაგრებულყავი და მერე წავსულიყავი დედასთან, რაზეც არ დავთანხმდი: „არა, არ შემიძლია აქ დარჩენა. დედის გამო მამას და ძმებს დავშორდი, ის კი ალბათ უკვე წერვიულობს ჩემზე. დედას მე ყველაზე მეტად ვუყვარვარ შვილებიდან, ყოველთვის სხვებზე მეტად ზრუნავდა ჩემზე“.

ბიძა მიხვდა, რომ ჩემი შეყოვნება შეუძლებელი იყო. გადამკოცნა და დამემშვიდობა. ის ფიქრი მმატებდა ძალას, რომ რამდენიმე საათის შემდეგ დედას ვნახავდი. ბოლოს და ბოლოს, გზას დავადექით. გამთენიისას ავედით განჯის მიდამოებში ყველაზე მაღალი მთის თავზე, ამ მთის ძირში იდგა იბრაჰიმ-ხანის არმია, რომელიც განჯისკენ მიდიოდა. ათი დღე ფეხით ვიარეთ და ბოლოს მშობლიურ აპერკანს მივადექით, სადაც დედის ნახვის იმედი მქონდა. მაგრამ სახლი ცარიელი დამხვდა და სევდა მძიმედ დამანვა გულზე. მთელს ქალაქში მხოლოდ ერთი ადამიანი ვიპოვე. მან მიაგზო, თუ რა მოხდა ქალაქში. თუ როგორ წაიყვანეს მთელი მოსახლეობა თურქებმა ტყვედ, სახლები კი სრულიად გაანადგურეს. ამ ადამიანმა მითხრა: „მაგრამ დედაშენი და დები ორი თვის წინ წავიდნენ შუშის ციხესიმაგრეში“.

უკვე ბნელოდა, როდესაც გადავწყვიტე ღამის საკუთარ სახლში გათენება, რომელიც თურქ მეომრებს თითქმის მთლიანად გაეძარცვათ. ერთი მუჭა ჩალაც კი არ დავტოვებინათ, რომ ბალიშად გამომდგომოდა. მეორე დღეს დილიდანვე დავადექი გზას. ჩემი მეგზურები

ქალაქში თავიანთ დანგრეულ და გაძარცვულ სახლებში დარჩნენ, რომლებიც საცხოვრებლად აღარ ვარგოდა. აპერკანსა და შუმას შორის იყო პატარა მდინარე, წელინადის უნალექო პერიოდში მდინარეზე ფონი ჩნდებოდა, მაგრამ ახლა ადიდებული იყო. დედისა და დების ნახვის სურვილმა და სიყვარულმა ძალა და სიმამაცე შემმატა და ადიდებულ მდინარეში გადავეშვი. მალე დინებამ გამიტაცა და დიდ ლოდთან მომიმწყვდია. მთელი საათის განმავლობაში ამ ქვას ვეჭიდებოდი, სანამ ერთი კეთილი მხედარი, რომელსაც იგივე გზა ჰქონდა გასავლელი, არ დამეხმარა წყლიდან ამოსვლასა და მეორე ნაპირზე გასვლაში. იღბალი კელავ ჩემკენ იყო.

სალამოს ექვსი საათისთვის შუშაში სომეხთა უბანს მივაშურე, სადაც დედაჩემის ბევრი ნაცნობი ვნახე. ერთი ნაცნობი ქალი ძალიან თბილად მომეპყრო და მითხრა: „დედაშენი სულ შენზე საუბრობდა, ჩემი ბიჭი არ დამიყინებებს, ადრე თუ გვიან დაბრუნდება. ჩემს რუსტამს კეთილი გული აქვს, ძლიერ ვუყვარვარო“. ბოლოს, როგორც იქნა, დედასთან მიმიყვანეს. როდესაც მან დამინახა, სიხარულისგან ცუდად გახდა და თითქმის ერთი საათი ხმა ვერ ამოიღო. როდესაც ძალა დაუბრუნდა, მაგრად ჩამიკრა გულში და ჩემს დებთან ერთად ტიროდა და მეუბნებოდა: „ვიცოდი, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდი, არ მიმატოვებდი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პატარა ხარ და მამას უჯერებ. მან კი, როგორც ჩანს, სამუდამოდ დაგეტოვა“.

ასე აღმოვჩნდი, დედასთან ერთად, შუშის ციხესიმაგრეში, სადაც ჩვენ დავსახლდით. როცა მოვმაგრდი და დედის დახმარების სურვილი გამიჩნდა, გადავწყვიტე ერთ სახლში მსახურად მემუშავა, მაგრამ ჩემი სანყალი და საყვარელი დედა არ დამთანხმდა: „რაც კი გამაჩნია, ყველაფერს გავყიდი, მაგრამ შენ მსახურად გახდომის ნებას არ მოგცემ“.<sup>1</sup>

ერთი სიტყვით, სახლში დაერჩი და დილიდან სალამომდე დედის მოფერებითა და სიყვარულით ვტკბებოდი.

---

<sup>1</sup> დედანში მოკლე შენიშვნა: ასეთი სამსახური, როგორც წესი, შვიდი წელი გრძელდებოდა.

ერთი თვის შემდეგ ამ მიდამოებში მშვიდობა გამეფდა. გარშემო სიმშვიდემ დაისადგურა, მე კი ჩემებს შევთავაზე, დაგვეტოვე-ბინა შუშა და მშობლიურ აპერკანში დავბრუნებულისყავით.

დედა დამთანხმდა. დავიქირავეთ ეტლი, დავტვირთეთ მთელი ჩვენი ქონება, ალიონზე გავემგზავრეთ და სალამოს უკვე აპერკანში ვიყავით. ჩვენი სახლი, რომელიც უკვე ვნახე განჯიდან დაბრუნების შემდეგ, თითქმის სრულად დანგრეულიყო. როგორც შეგვეძლო აღვადგინეთ და შევაკეთეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი ახალგაზრდა და ბეგზადა მძიმედ დაავადდა. ჩვენ ის სულ რაღაც რვა დღეში დაეკარგეთ. ძალიან განვიცადეთ. ბეგზადა მთელს საქართველოში ერთ-ერთი ულამაზესი ქალიშვილი იყო.<sup>1</sup>

მთელი წელი გავიდა და მამისაგან მაინც არაფერი ისმოდა. დედა ამაზე ძალიან ნუხდა, დიდი ხანი არ ენახა ქმარი და ორი ვაჟი. მალე კაზაკის<sup>2</sup> ერთ-ერთმა ვაჭარმა მამისაგან წერილი ჩამოგვიტანა. საწყალი დედა თავს უბედნიერეს ქალად მიიჩნევდა. მამა გვენერდა, რომ დასახლდა კაზაკში, გახსნა დიდი მაღაზია და თუ სურვილი გვექნებოდა, შეგვეძლო მასთან ჩავსულიყავით. დედას ეს, რა თქმა უნდა, ძალიან უნდოდა, მაგრამ ვუთხარი: „შენს ადგილზე არ დავთანხმდებოდი ასეთ შორეულ მგზავრობას. მამას ნამდვილად რომ ყვარებოდი და შენთან ყოფნის სურვილი ჰქონოდა, არც მიგვატოვებდა ამდენი ხნით. მგზავრობა ბევრ უბედურებას მოგვიტანს, გზები ძალზე საშიში გახდა, თურქები ძარცვავენ ქარავენებს და მოგზაურებს. ერთი სიტყვით, ცუდი წინათგრძნობა მაქვს“.

დედამ მომისმინა და მითხრა: „მამაშენთან კი არა, შენს ძმებთან მივდივარ, რომლებიც ძალიან მომენატრა“.

ბოლოს იძულებული გავხდი წავსულიყავი და დედასთან და დასთან ერთად გზას გავუდექი. ჩვენი გზა განჯაზე გადიოდა. იქაურ მიდამოებს კარგად ვიცნობდი. ჩვენი ქონების დიდი ნაწილი გავყი-

---

რუსულ თარგმანში გამოტოვებულია „საქართველო“.

დედანში ეს ქალაქი „Kasague“-ად არის მოხსენიებული და აღნიშნულია, რომ ის განჯიდან 30 ლიგის მანძილზე იყო და თბილისსა და კავკასიის მთებს შორის მდებარეობდა.

დეთ და განჯაში გავემგზავრეთ. დედამ ორი დღე ფეხით იარა და ძალიან დაილალა. დედა და ჩემი და ქალაქის დიდი ბაზრობის მოედანზე მივიყვანე. კარგად ვიცნობდი ქალაქს, ავიღე ცოტა ფული და ნაკვეთი საჭმლის საყიდლად. დედა და და უნდა დამლოდებოდნენ ქალაქის მოედანზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ მე იქ ისინი სამუდამოდ დავკარგე.

ცუდი წინათგრძნობა მტანჯავდა ამ მგზავრობის დაწყებიდანვე, მშობლიური ქალაქის დატოვებისთანავე,<sup>1</sup> რომელიც მიყვარდა და სადაც მშვიდად და ბედნიერად ვცხოვრობდით.

საჭმლის ყიდვის შემდეგ მოედნისკენ გავეშურე, როდესაც ერთი უცნობი კაცი მომიახლოვდა და მითხრა: „როგორც იქნა, გიპოვე, რუსტამ. მთელი საათია გექებ. დედაშენი ჩემთან სახლში გელის“.

ვერ მივხვდი, რომ უცნობი მატყუებდა და გავყევი. მივედით მის სახლში, დავინახე, რომ იქ ჩემები არ იყვნენ. ავტირდი ჩემს უბედურებაზე, სახლის პატრონმა მითხრა: „ნუ გეშინია, შენი დედა და და საქმეზე ნავიდნენ. ნავალ, მოვძებნი მათ“.

სახლის გვერდით ხეების ჩრდილში ველოდებოდი დედას, ჩემს ერთადერთ გულის გამხარებელს. უცებ ერთი ახალგაზრდა ადამიანი გამოჩნდა, რალაც უთხრა გვერდით მსხდომ ქალებს, შემდეგ მე შემომხედა და მკითხა, ვსაუბრობდი თუ არა სომხურად. ვუთხარი, რომ სომეხი ვიყავი და ენაც ვიცოდი. მაშინ სომხურად მითხრა: „შეეცადე, გაიქცე და თავს უშველო, აქ გასაყიდად მოგიყვანეს, შენი კვალი სამუდამოდ გაქრება და ველარასოდეს ნახავ შენს ახლობლებს“. თითქოს ურო დამკრეს უბედურ თავში. ის ახალგაზრდა ბიჭი ნავიდა, მე კი დავრჩი ეზოში, ორი ბოროტი ქალის მეთვალყურეობის ქვეშ. არ ვიცოდი, როგორ უნდა გაექცეულიყავი ამ სახლიდან. ცოტა ხანში მეზობელი ქალი შემოვიდა და ქალებს თავის ენაზე გაუმართა კამათი. მე კარგად მესმოდა მათი ენა და კარგადაც ვსაუბრობდი. მოხერხებულად უნდა გამომეყენებინა მომენტი. მის სარგებლობისთვის გასაღები ავიღე. საპირფარეოს გვერდით იყო ეზოში გამავალი პატარა კარი, სადაც ღრმა რუ მოედინებოდა. გავალე კარი, გავედი, გადავლახე რუ

და თავი დავიხსენი ამ არამზადებისაგან. რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გავეშურე მოედნისკენ, სადაც დედა და და მეგულეობდნენ, მაგრამ ისინი იქ, საუბედუროდ, არ აღმოჩნდნენ. გამოვიკითხე გამვლელ-გამომვლელებს, მაგრამ მათზე არავინ არაფერი იცოდა. ერთი საათის შემდეგ ხიდთან შემხვდა მამის ძველი ნაცნობი, რომელსაც ეს ამბავი ვუამბე. მან დამამშვიდა: „ნუ ლელავ, ვიპოვი დედაშენს და იმ არამზადსაც დავსჯი“.

მერე თან წამიყვანა და დამაპურა. მალე ისევ ბაზრის მოედანზე წავედით, სადაც ჩემიანები დავკარგე. მამაჩემის ნაცნობმა მანიშნა გამვლელზე და ჩუმად მკითხა:

– ის არის?

– არა, მაგრამ ჯობია შინ ვენვიოთ. ის მახლობლად ცხოვრობს. იგი ამაზე არ დამთანხმდა:

– რა საჭიროა, მე მას მაინც ვიპოვი.

ბოლოს ერთ დიდ სახლში მიმიყვანა და მითხრა:

– აქ დამელოდე, დედაშენს მოვძებნი. – ვენდე, მაგრამ მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. მთელი ღამე ვტიროდი. მეორე დღეს დიასახლისმა მითხრა:

– ნუ ლელავ, ის კაცი აღარ დაბრუნდება.

მე ვუთხარი:

– მაშინ მე წავალ მასთან, კარგად დავიმახსოვრე მისი სახლი.

მან კი გასასვლელი კარები ჩაკეტა, რომ არ გავქცეულიყავი და ისევ უიმედო მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ცოტა რომ გავემხნევებინე, ქალმა მითხრა:

– შენი შველა მინდა, რადგან შვილები არ მყავს.

თავსგადამხდარის გამო არავის ნდობა არ შემეძლო, ამიტომ სულ ვტიროდი და ვნალვლობდი. იმ არამზადა კაცმა უკვე მეორედ გამყიდა. პირველად, როგორც უკვე მოვყევი, გაქცევა მოვახერხე. მოგვიანებით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ როცა დედას გაუგია ჩემი ადგილსამყოფელი, არაერთხელ მოსულა ჩემს დასთან ერთად ამ სახლთან, მაგრამ მას, რასაკვირველია, არ უშვებდნენ. ეუბნებოდნენ, „ამ სახლში ბავშვები არ ცხოვრობენო“ და ყოველთვის ტირილით ტოვებდა აქურობას.



აქედან გაქცევის შესაძლებლობა არსად ჩანდა. ამ ქალს შვილობაზეც კი დავთანხმდი, ვვარაუდობდი, რომ ამით მცირე თავისუფლებას მოვიპოვებდი, ჩემს მშობლიურ ქალაქში გაქცევას მოვახერხებდი და, ვაჭრების დახმარებით, როგორმე დედასაც ვიპოვიდი. ერთხელ დიასახლისს ვუთხარი: „თანახმა ვარ, გავხდე შენი შვილი, მაგრამ ერთი პირობით, თუ იპოვი ჩემს ნამდვილ დედას“. „ჩვენ ერთად წავალთ ქალაქში და მას მოვძებნით. – მიპასუხა, – ნუ ლეღავ, ეს საქმე მე მომანდე“.

ბოლოს გაშვილების რიტუალიც კი შესრულდა. მათი ტრადიციების მიხედვით, ახალი პერანგი ჩამაცვა, გადამკოცნა და მითხრა: „აი, გახდი ჩემი შვილი, ამ სახლში ბედნიერი იქნები“. მიუხედავად ამისა, მაინც არ ვენდობოდი მას და საკუთარ თავს ვეუბნებოდი, „როგორც ჩანს, მესამედ გამყიდეს“. მალე გაირკვა, რომ არ შევმცდარვარ. ამ ქალთან ორი თვე გავატარე. მან მდიდრულად გამომანყო, მომიხედავდა რბილი სანოლი, კარგად მაჭმევდა, მაგრამ ეს არაფრად მიღირდა. ვთხოვე, კარებთან მისვლის ნება მოეცა. მაგრამ „დედინაცვალმა“ მითხრა: „არა, არა, მოიცადე, ხვალ ერთად წავალთ ქალაქში“. სულ ერთსა და იმავეს მპირდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ არ გავექცეულიყავი. ჩემი „დედინაცვალი“ სწრაფად მმალავდა კარებზე ყოველ დაკაკუნებაზეც კი და ხშირად ჩემთან ერთადაც იმალებოდა. ერთხელაც ვკითხე: „რატიომ ვიმალეებით, ასეთი რა ჩავიდინეთ?“ მან მიპასუხა: „არავის ნახვა არ მსურს, მსურს ჩემს შვილთან ერთად მარტო ცხოვრება“.

სახლში იღებდა მხოლოდ თერძს, რომელიც ტანსაცმელს მიკერავდა. რამდენიმე დღის შემდეგ ამ ქალის ქმარმა, ჩემმა „მამინაცვალმა“, მითხრა: „ამ დღეებში მივდივართ კასპიის ზღვის სანაპიროზე. შენც ჩვენთან ერთად მოდიხარ“. დავთანხმდი, ვფიქრობდი, რომ გზაში გაქცევას მოვახერხებდი, მაგრამ არ გამომივიდა. გადავწყვიტე, მაშინვე გავექცეულიყავი, როგორც კი სახლის კარს გავცდებოდი, რომ შორს არ ვყოფილიყავი ნაცნობი ადგილებისგან.

ბოლოს გაიღო კარი, რომელიც ბაღში გადიოდა. პირველი, რამაც ეზოში ჩემი ყურადღება მიიპყრო, ოცდაათი შეკაზმული ცხენი იყო. შემდეგ გააღეს დიდი ფარდულის კარი, სადაც ჩემი ნლოვანების, კარგად ჩაცმული სამოცი ბიჭი აღმოჩნდა. მაშინვე მივხვდი,

რომ მეოთხედ მყიდდნენ. თითო ცხენზე ორ ბიჭს სვამდნენ. კარგად შეიარაღებული მხედრების დაცვით მალე გზას დავადექით. ერთი დღის შემდეგ გზა გადაგვიღობა თურქთა რაზმმა, რომელსაც ჩვენი მოტაცება სურდა. ჩვენი შეიარაღებული დაცვა ნახევარსაათიან ბრძოლაში დამარცხდა. მალე მოილაპარაკეს და გადანყვიტეს, რომ სომეხ ბიჭებს თურქები ნაიყვანდნენ, ქართველები კი დარჩებოდნენ ჩემს ბოროტ მამინაცვალთან, რომელიც, რა თქმა უნდა, გამწარებული იყო, რადგან თხუთმეტ საუკეთესო ვაჟს კარგავდა და არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მან მე ქართველად ჩამთვალა და თავისთან დამტოვა.

სამი დღის შემდეგ კავკასიონის მთების ძირში მდებარე დიდ ქალაქში მივედი, რომელსაც ჯიარა ერქვა. მოკლე დროში ყველა ბავშვი გაყიდეს და მარტო დავრჩი. ჩემი მყიდველიც მალე გამორჩნდა – არამზადა „მამინაცვალმა“ უკვე მეხუთეჯერ წარმატებულად გამყიდა. საბედნიეროდ კეთილი ბატონის ხელში აღმოვჩნდი, რომელიც ჩემ მიმართ კეთილად იყო განწყობილი. მასთან ისე თავისუფლად ვგრძნობდი თავს, რომ მთელი დღე შემეძლო ქალაქში მარტო მესეირნა. რა თქმა უნდა, გაქცევაზე ფიქრი არ შემინყვიტია, მაგრამ გასაქცევ გზას მდინარე მტკვარი მიკეტავდა. ფული რომ მქონოდა, მეორე ნაპირზე გასვლას მოვახერხებდი. ამ ადგილზე მთელი ზამთარი გავატარე და ძალიან ვნალვლობდი საყვარელი დედისაგან ასე შორს ყოფნას.

ერთი რამ კი ნათელი იყო – აქ დიდხანს არ გავჩერდებოდი. ჩემი ბატონი აბრეშუმით მოვაჭრე მდიდარი იყო და ხშირად დადიოდა ყირიმში სავაჭროდ. ერთხელ ბენვის ჩექმები და ტყაპუჭი მომცა და კავკასიონის მთებისკენ გზას დავადექით. საშინელ სიცივეში დიდი ნვალებით გადავლახეთ კავკასიონის ქედი. ვაჭარს ორი მოსაფარებელი პქონდა ნამოღებული, რომლებიც ძალიან გამოგვადგა. მათში კი არ ვეხვეოდით, სიარულისას ჩვენს წინ დავაგებდით და გადავივლიდით ხოლმე. როდესაც ერთ მოსაფარებელს გავივლიდით, მეორეს ვიფენდით, რომ მერე მასზე გაგვევლო. ასე იმიტომ ვიქცევოდით, რომ თოვლში არ ჩავფლულიყავით. სიძნელე კიდევ ბევრი გადავლახეთ, ორი

დღე ფეხით ვიარეთ და ბოლოს მივედით კავკასიონის ქედის დედაქალაქში, რომელსაც ლეკეთი ერქვა.<sup>1</sup>

ადგილობრივ მმართველს ჰერაკლიუსი ერქვა. ეს მხარე მთიანი და მეტად ლამაზი იყო. ისევე როგორც განჯაში, აქაც ქაშშირისა და აბრეშუმის ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. ლეკეთში ძალიან კარგი ცხვრები ჰყავდათ, თითოეული მათგანი ოთხმოცზე მეტ ლივრს<sup>2</sup> იწონიდა. ამ მიდამოში განსაკუთრებული ცხენები ჰყავდათ. თურქებს და ანაპელ<sup>3</sup> თურქებს აქედან მშვენიერი ბედაურები მიჰყავდათ. ჩემს ბატონს თურქეთისკენ რაც შეიძლება მალე სურდა გამგზავრება, მაგრამ მოულოდნელად ავად გავხდი და გამგზავრება ჩემს გამოჯანმრთელებამდე გადაიდო, რასაც თითქმის ორი თვე დასჭირდა. ასე დავავადდი: ერთხელ ნავედი მთებში სასეირნოდ, გზაში შემაცივა და, დაბრუნებისას, როგორც ყველა, დავენეი და ფეხები კერიას მიუფიცხე. კერიაზე იდგა ცხელი წყლით სავსე დიდი ქვაბი. ვილაცამ ნაკვერჩხალს შეუკეთა, ამ დროს შემთხვევით ქვაბი გადაუბრუნდა და ორივე ფეხზე ცხელი წყალი გადამესხა. ფეხები კასრებივით გამისივდა და აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. მხოლოდ ორი თვის შემდეგ შევძელი ფეხზე დადგომა. ბოლოს გზას დავადექით და გეზი თურქულ ქალაქ ალექსანდრიისკენ ავიღეთ, სადაც სამ დღეში ჩავედით. ჩასვლიდან რამდენიმე დღეში ვაჭარს ვთხოვე, რომ ცოტა ხნით სასეირნოდ გავეშვი. მას უარი არ უთქვამს. როდესაც კარი გავაღე და გარეთ გავედი, დავინახე გოგონა, რომელიც ჩემი მშობლიური ქალაქიდან იყო. თურქებმა ის ჩემზე ორი თვით ადრე მოიტაცეს. მოვუყევი, რაც კი ვიცოდი მისი მშობლების შესახებ. მან მითხრა:

– შენი და – მარიამი აქვეა, გსურს მის ბატონთან ნაგიყვანო?

იმაზე უკეთესი რა უნდა მეთხოვა, რომ ჩემი საყვარელი და მენახა! გოგონამ მიმიყვანა ჩემი დის ბატონის სახლის კარებთან. შევედი და ჩემი დის შესახებ ვიკითხე. მან დამინახა და კისერზე

---

დედანშია „Lezghistan“.

ლივრი ფრანგული ნონის ერთეული იყო და 489.5 გრამს უდრიდა. ანაპა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე თურქული ციხესიმაგრე იყო.

შემომეხვია. ის უფრო თავშეკაცებული ჩანდა, ვიდრე მე. მე მხოლოდ ხმამალა ვტიროდი, ვერ ვახერხებდი ხმის ამოღებას, რომ მეკითხა განჯაში დარჩენილ ჩემს უბედურ დედაზე. მარიამმა ცოტა დამამშვიდა და მითხრა, რომ ამ მხარეში დასახლებულმა მდიდარმა სომეხმა ვაჭარმა გამოისყიდა დედაჩემი, გაათავისუფლა და უთხრა, რომ თუ მას სურდა, შეეძლო სამშობლოში დაბრუნებულიყო. მაგრამ დედას არ შეეძლო მარტო წასულიყო ასეთ შორ გზაზე. ამიტომ მოსამსახურედ დადგა ვაჭრის ოჯახში, ვიდრე სახლში დასაბრუნებელი გზები უსაფრთხო არ გახდებოდა. გახარებული ვიყავი, რომ დედა არც ისე შორს იყო ჩემგან, ალექსანდრიიდან ყიზლარამდე ოც ლიეზე<sup>1</sup> მეტი არც იქნებოდა. ბატონს ვთხოვე, დედასთან წასვლის ნება დაერთო, მაგრამ მან უარი მითხრა. ამიტომ სომეხ ვაჭრებს ვეხვეწებოდი, რომ გამოვესყიდეთ. ვეუბნებოდი, რომ აქ მამას ვიპოვიდი და იგი ამ ფულს აუნაზღაურებდა მათ, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ დამთანხმდა. ყველა ამბობდა: „ძალიან ძვირს ითხოვს შენი ბატონი, თორემ აუცილებლად გიყიდდით“.<sup>2</sup>

განვიცდიდი, რომ არ შემეძლო ყიზლარში წავსულიყავი და დედას უკანასკნელად მოვსიყვარულებოდი. მალე უკვე შეექვსეჯერ გამყიდეს, ამჯერად კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულ ბავშვებით მოვაჭრეს მიმიყიდეს. ამ ვაჭარს შეეთავაზე, რათა ჩემი დაც ეყიდა, რომ ერთმანეთი გვენუგეუბინა უცხო მიწაზე, მაგრამ ვაჭარმა შორს დაიჭირა. გულგატეხილი და აფორიაქებული დილიდან საღამომდე ვტიროდი, ჩემი კეთილი და ნაზად მეფერებოდა და მეუბნებოდა: „მომეცი შენი თმის კულული და დედას მივუტან. ნახოს, რომ ცოცხალი ხარ“. ასე მანუგეუბებდა მარიამი თხუთმეტი დღის განმავლობაში. დამშვიდობებისას მან აიღო მაკრატელი და თმიდან დიდი კულული მომაჭრა. მერე ცრემლები წამოუვიდა და მითხრა: „ჩემო ძვირფასო რუსტამ, სადაც არ უნდა იყო, აუცილებლად მოგვნერე. შენ იცი, როგორ გვიყვარხარ და ჩენი სიხარული ისაა, რომ დღე და ღამე შენზე ვიფიქროთ. თუ მამა

<sup>1</sup> 1 ლიე = 4.7 კმ-ს.

<sup>2</sup> დედანშია შენიშვნა, რომ ვაჭარი რუსტამში 1,800 ფრანკს ითხოვდა.

ჩვენთან დაბრუნდება, აუცილებლად გამოვაგზავნით კონსტანტინოპოლში შენს გამოსასყიდად”.

მარიამმა კონსტანტინოპოლელ ვაჭარს მისამართი გამოართვა და შემპირდა, რომ მომწერდა. მაგრამ ამ დღის შემდეგ მე ჩემი ოჯახის შესახებ აღარაფერი მსმენია. არ ვიცოდი როდის დავტოვებდით ყიზლარს, არც ჩემმა საცოდავმა დამ იცოდა რაიმე. რამდენიმე დღეში ზღვისკენ, ქალაქ ანაპაში გავემგზავრეთ, მნიშვნელოვან საზღვაო ნავსადგურში. იქ თურქეთის საზღვარი იწყებოდა.

სამი დღე ფეხით ვიარეთ და თურქეთისა და სამეგრელოს საზღვარზე მდებარე მალალ მთას მივადექით, საიდანაც ნახევარი ლიეს მოშორებით მდებარეობდა ქალაქი ანაპა. როდესაც ჩემს წინ პირველად გადაიშალა შავი ზღვა, ბევრი ვიტირე და ვთქვი: „გადავლახავ თუ არა ამ უშველებელ ზღვას, სამუდამოდ დავეკარგავ ჩემს ნათესაებს და სამშობლოს“. შემდეგ თვალში მომხვდა ნავსადგურში მდგარი სავაჭრო გემი, რომელიც ჩვენ გველოდებოდა. საღამოს ქალაქ ანაპაში შევედით. მეორე დღეს კი ჩავსხედით გემში და კონსტანტინოპოლისკენ გავეშურეთ. ორ დღეში, რამდენიმე დღიანი მოლოდინის შემდეგ, დარდანიელის სრუტე დავინახეთ, ამ სრუტეში გავლის ნება მივიღეთ და მალე კონსტანტინოპოლში შევედით, სადაც აია სოფიას, მსოფლიოში ყველაზე დიდი და მდიდარი ტაძრის, მახლობლად ვცხოვრობდით. ეს ტაძარი სომხებმა ააშენეს, მაგრამ თურქებმა დაიპყრეს და მიითვისეს. კონსტანტინოპოლში ექვსი კვირა გავატარე. შემდეგ იქ კონსტანტინოპოლში ეგვიპტიდან ჩამოვიდა სალა-ბეის<sup>2</sup> ერთ-ერთი ვაჭარი, რომელმაც შემისყიდა. ჩემს საცოდავ ცხოვრებაში უკვე მეშვიდეჯერ და უკანასკნელად გამყიდეს. გავიდა რამდენიმე დღე, ჩვენ ისევ ავედით სავაჭრო გემის გემბანზე, გავცურეთ დარდანიელის სრუტე და გეზი ალექსანდრიისკენ, ეგვიპტის უდიდესი ნავსადგურისკენ, ავიღეთ.

---

კონსტანტინოპოლში შემავალ გემებს, კარანტინის გამო, აჩერებდნენ რამდენიმე დღე.

სალა-ბეი (Salih Bey) გავლენიანი მამლუქი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. 1797 წელს ის ამირ ალ-ხაჯის (amir al-hajj) თანამდებობაზე დაინიშნა.

რვადლიანი<sup>1</sup> ცურვის შემდეგ ალექსანდრიაში ჩავედით. ქალაქში ორი დღით დაგვტოვეს, რომ დაგვესვენა ხანგრძლივი ცურვის შემდეგ. მესამე დღეს ჩაგვსხეს ნავებში, რომელთაც აქ „კაიკს“ უწოდებდნენ და გავემგზავრეთ დიდი კაიროსაკენ, სადაც თავად სალა-ბეი იმყოფებოდა. მალე იმ სახიფათო ადგილამდე მივცურეთ, სადაც ნილოსი შავ ზღვაში<sup>2</sup> ეშვებოდა. უზარმაზარი ტალღები, რომელთაგან ზოგიერთი სახლის სიმაღლეს აღემატებოდა, ერთმანეთს ეხეთქებოდა, მაგრამ დანიშნულ ადგილამდე უვნებლები მივედით.

ალექსანდრიიდან კაირომდე გზა მეტად ლამაზი გამოდგა. ნილოსის სანაპიროზე შაქრის ლერწმის ტოტები, ფინიკის პალმები და ბრონეულის ხეები ირხეოდა. პირველ დღეს მივედით რაშიდში<sup>3</sup>, რომელიც მდებარეობდა კაირომდე გზის შუაგულში. მეორე დღეს კი მოგვიყვანეს შეკაზმული არაბული ბედაურები, რათა კაირომდე ცხენით გვევლო. სალამოს, თორმეტი მოზარდი, რომლებიც სალა-ბეის ვეკუთვნოდით, ცხენებით მივედით ბულაკში, დიდ კაირომდე ნახევარ ლიეს მანძილზე რომ მდებარეობდა. იქ ვივახშმეთ, სალამოს თერთმეტ საათზე კი შეგვკრიბეს, რათა დედაქალაქში წავეყვანეთ. დილით სალა-ბეისთან მიგვიყვანეს, რომელმაც ძალზე თბილად მიგვიღო. მან რამდენიმე კითხვა დამისვა ქართულად, მაგრამ ცუდად ვსაუბრობდი ამ ენაზე, რადგან საქართველოდან წამოსვლისას ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. შემდეგ ბეიმ მკითხა, თუ სად დავიბადე, ნამდვილად თბილისში ვიყავი დაბადებული თუ არა. დაუუდასტურე. მამაჩემის სახელი ვახსენე თუ არა, აღმოჩნდა, რომ თურმე სალა-ბეი კარგად იცნობდა მას, რადგან თვითონ ქართველი იყო და ხშირად ჩადიოდა სომხეთში. ბევრი ფიქრობდა, რომ მხოლოდ ქართველებს და მეგრელებს (ქართველურ ტომებს) შეუძლიათ გახდნენ კარგი მამლუქები, არ ვიცი, რა განაპირობებს ამ დამოკიდებულებას, არადა, სომხები სხვა ერებზე ბევრად მამაცები არიან.

---

<sup>1</sup> რუსულ თარგმანში, გაურკვეველი მიზეზის გამო, აღნიშნულია ექვს-დლიანი მგზავრობა.

რუსტამი ალბათ ხმელთაშუა ზღვას გულისხმობს.

ქალაქი რაშიდი, იგივე როზეტა, ალექსანდრიიდან 65 კილომეტრში მდებარეობს.

ამ დროს უკვე თხუთმეტი წლისა ვიყავი. საუბრის დასასრულს სალა-ბეიმ მითხრა: „წადი, დაისვენე. ვუბრძანე, ტანსაცმელი მოგიმზადონ და კარგი ცხენი მოგიყვანონ. ჩემი თანამემამულე ხარ და უნდა ვიზრუნო შენზე. ვეცდები, შენს მშობლებს შევატყობინო შენი ამბავი.“

არ ვიცოდი, მართალს ამბობდა თუ არა. მას შემდეგ, რაც ჩემს დას დავშორდი ყიზლარში, ოჯახზე არაფერი გამეგო. ბეის დავემშვიდობე და ჩემთვის გამოყოფილ ოთახში შევედი. გრძელი დერეფნის გავლისას, სადაც ბევრი ხნიერი თუ ახალგაზრდა მამლუქი იდგა, შევნიშნე ერთი ჩემი ასაკის მამლუქი. ჩვენს ქალაქში დაიბადა, ერთ დროს მასთან ვმეგობრობდი კიდევ. ის ჩემს მოტაცებამდე ორი წლით ადრე გაქრა. არაერთხელ მინახავს, როგორ დასტიროდნენ მისი მშობლები დაკარგულ შვილს. მე მას მიუუახლოვდი და ვკითხე, მცნობდა თუ არა. მან მიპასუხა, რომ ვერ მცნობდა. „შენ მანგასარი არ ხარ, აპერკანში დაბადებული? როგორ ვერ მცნობ, ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით, მე ხომ რუსტამი ვარ“. ის მომეხვია და მითხრა: „ღმერთო ჩემო, ეს მართლა შენ ხარ!?“ ასე განვაახლეთ მეგობრობა, გავიხსენეთ წარსული, მოვუყევი თავისი მშობლების შესახებ. ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ ბავშვობის მეგობარს შევხვდი, რომელთანაც გავიზიარებდი სიხარულსაც და წუხილსაც.

კაიროში ჩემი ჩამოსვლიდან ექვს დღეში ჩემთან ოთახში, დალაქის თანხლებით, შემოვიდა კაშეფი, სალა-ბეის სარდალი, რომ მოვენათლეთ ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით, რაც წინდაცვეთას გულისხმობდა. კაშეფმა ამიხსნა ყველაფერი და მითხრა: „ეს სალა-ბეის ბრძანებაა“. მან ასევე დასძინა, რომ კარგი მამლუქისთვის წინდაცვეთა აუცილებელი იყო. ამის შემდეგ, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, დალაქი საქმეს შეუდგა. ჭრილობა ათ დღეში შეხორცდა. ორი დღის შემდეგ ცხენი მომცეს, რასაც ჯერ კიდევ დიდ კაიროში შესვლისას დამპირდნენ. სრული ორი თვე ვსწავლობდი ცხენოსნობას და ხელშუბის სროლას. ამის შემდეგ, მამლუქთა რაზმთან ერთად, ეგვიპტის პროვინციებში გავემგზავრე. ამ მგზავრობიდან დაბრუნებულმა კიდევ ორი წელი გავატარე დიდ კაიროში.

ეგვიპტეს ოცდაოთხი ბეი მართავდა, რომელთა შორის პირველი მურად-ბეი, მეორე კი იბრაჰიმ-ბეი<sup>1</sup> იყვნენ. მათი მრწამსის მიხედვით, ოცდაოთხივე ბეი რიგ-რიგობით უნდა ჩასულიყო სალოცავად მექაში. მალე სალა-ბეის რიგი დადგა, მასთან ერთად მეც გავემგზავრე და მუჰამედის საფლავიც მოვინახულე.<sup>2</sup> როდესაც უკან ვბრუნდებოდით, კაიროდან ოცდაათი ლიეს დაშორებით სალა-ბეის აცნობეს, რომ ფრანგებმა კაირო დაიკავეს, რომ მურად-ბეიმ მონინალმდეგეს დიდი ბრძოლა გაუმართა გიზასთან, მაგრამ მწარედ დამარცხდა.<sup>3</sup> მდინარეზე გადასვლისას ბევრი მამლუქი დაიხრჩო. სალა-ბეის არ ჰყავდა საკმარისი ძალა, რათა იმპერატორის არმიას შებრძოლებოდა,<sup>4</sup> ამიტომ გადანყვიტა, ჯეზარ ფაშას<sup>5</sup> სენ-ჟან და-

---

<sup>1</sup> მურად-ბეი და იბრაჰიმ-ბეი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ. ორივე – ნარმოშობით ქართველი. მურად-ბეი თბილისის მახლობლად დაიბადა, მაგრამ ადრეულ ასაკში მოიტაცეს და ეგვიპტეში გაყიდეს, სადაც აბუ ალ-დაჰაბის მამლუქი გახდა. შემდგომში მას წარმატებული პოლიტიკური კარიერა ხვდა წილად – 1798 წლისთვის მამლუქთა ჯარის მხედართმთავარი.

იბრაჰიმ-ბეი მღვდელ შინჯიკაშვილის ოჯახში დაიბადა, სოფელ მარტყოფში. მურად-ბეის მსგავსად, ბავშვობაში მოიტაცეს და ეგვიპტეში აღმოჩნდა, სადაც ასევე აბუ ალ-დაჰაბის მამლუქი გახდა. 1768-1769 წლებში მას ამირ ალ-ჰაჯის თანამდებობა ეკავა, ხოლო 1775 წელს კაიროს უხუცესი ბეის – შეიხ ალ-ბალადის წოდება მიანიჭეს. იბრაჰიმ-ბეიმ საქართველოსთან ახლო კავშირი შეინარჩუნა და ერეკლე მეფესთან აწარმოებდა მიმონერას. მან ფულიც კი გაიღო მშობლიურ მარტყოფში ეკლესიის ასაშენებლად.

დედანში შენიშვნაა: „მგზავრობამ ორ თვეს გასტანა. სალა-ბეის თან ახლდა 500 მამლუქი და აქლემზე ამხდრებული მათი ცოლები“.

გიზასთან ბრძოლა (პირამიდებთან ბრძოლა) 1798 წლის 21 ივლისს მოხდა. მამლუქებმა აქ 60,000-მდე კაცს მოუყარეს თავი, თუმცა მათგან მამლუქი მხოლოდ მესამედი იყო, დანარჩენს კი გაუნწრთნელი ფედაჰინი გლეხები წარმოადგენდნენ. ბრძოლის დროს ნაპოლეონმა თავისი ჯარი ხუთ დიდ ოთხკუთხედად განაღება, მამლუქთა იერიშები მოიგერია და დიდი ზარალიც მიაყენა მათ.

ხელნაწერში არის მოკლე შენიშვნა იმის თაობაზე, რომ სალა-ბეის ამ დროს მხოლოდ 800-მდე მამლუქი ჰყავდა.

<sup>5</sup> ნარმოშობით ბოსნიელი ჯეზარ ფაშა ცნობილი მამლუქი მმართველის – ალი-ბეის მამლუქი იყო. 1775 წლიდან აკრის გამგებელმა სახელი



კრის ციხესიმაგრეში ნასულიყო. ჯეზარ ფაშა უკმაყოფილო იყო იმით, რომ უბრძოლველად დავიხიეთ უკან. როდესაც ქალაქში შევედით, სალა-ბეი ჯეზარ-ფაშას სასახლეში წავიდა. ჯეზარ-ფაშამ იგი სასტუმრო ოთახში მიიღო და ბრძანა, მისთვის ყავა მიერთ-მიათ. თურმე სალა-ბეის ჭიქაში შხამი ჩაუსხხეს, საცოდავმა დალია ყავა და ნახევარ საათში გარდაიცვალა. მამლუქები ძალიან დაგ-ვამწუნხრა ამ ამბავმა.

როგორც გაირკვა, ჯეზარ-ფაშას ჩვენი სამსახურში აყვანა სურ-და, მაგრამ არცერთი მამლუქი არ დათანხმდა. ზოგი მშობლიურ კუთხეში, სხვები მექაში წავიდნენ, მე კი ჩემს მსახურთან ერთად კაიროში დავბრუნდი. დედაქალაქში ბევრი ნაცნობი მყავდა და იქ თავს მშვიდად და დაცულად ვგრძნობდი. სანამ სენ-ჟან დ'აკრიდან გამოვიდოდი, გავიხადე მამლუქის ტანისამოსი და ჩემი მსახურის ტანსაცმელი ჩავიცვი. ამის შემდეგ ერთმანეთისგან ძნელად თუ გაგვარჩევდნენ. გავყიდე ცხენი და იარაღი, ფულის ნაწილი მსახ-ურს მივეცი, რომ დედაქალაქში ჩემზე არ ელაყბა.

მან ერთგული სამსახური შემფიცა და დამპირდა, რომ არა-ვის ეტყოდა ჩემს ამბავს. ამან ცოტა დამამშვიდა. მალევე ვიყ-იდეთ ორი სახედარი და კაიროში გავემგზავრეთ. ორივეს გლეხ-ური ტანსაცმელი გვეცვა და ამიტომ ქალაქში დაუბრკოლებლად შევედით. ყველგან ფრანგი ჯარისკაცები იყვნენ, ახალგაზრდა თუ ხნიერი გრენადერები გრძელი უღვაშებით საგარნიზონო სამუშ-აოს ასრულებდნენ. დრაგუნებმა ქალაქიდან სამ ლიეში მდებარე დაბა ბულაკში დასცეს ბანაკი. ქალაქში ერთი თვე უსახლკაროდ გავატარე, მეშინოდა, არ შეეტყოთ ჩემი ვინაობა და ციხეში არ ჩავესვით. ამ ხნის მანძილზე ლარიბ მანანნალასავით ვცხოვრობდი მსახურთან ერთად, რომელმაც მიერთგულა, დავდიოდით ქალაქში და ღამე ქუჩაში გვეძინა. როდესაც ფული საბოლოოდ გამოგვე-ლია და გასაყიდიც აღარაფერი გვექონდა, შევიტყვე, რომ შეიხ ელ-

---

თავისი სისასტიკით და მუხანათობით გაითქვა, რის გამოც „ყასაბის“ მეტსახელი დაიმსახურა. დიდი როლი ითამაშა 1799 წელს ნაპოლეონ ბონაპარტის ლაშქრობის დამარცხებაში. ფრანგების უკუგდების შემდეგ აკრის მმართველობა განაგრძო 1804 წლამდე.

ბექრის დაცვაში თავისუფალი ადგილი იყო. შეიხი ელ-ბექრი გაე-  
ლენიანი კაცი იყო, ის ბევრჯერ მინახავს სალა-ბეისთან. ვცადე  
შეიხთან შეხვედრა და ჩემი სამსახურის შეთავაზება, მაგრამ მისმა  
მსახურებმა არ შემიშვეს: „შეიხი დაკავებულია და არა აქვს დრო  
გლების მისაღებად“. იძულებული გავხდი, მეთქვა, ვინც ვიყავი და  
ვისთან ვმსახურობდი ადრე. ეს შეიხს მოახსენეს. იგი შემპირდა,  
რომ მეორე დღეს მიმიღებდა. დანიშნულ დროს გამოვცხადდი შეიხ-  
თან. მან სიყვარულით მიმიღო, მომისმინა და მითხრა: „სამსახურში  
აგიყვან, ცხენოსანთა რაზმში ჩაგრიცხავ, მაგრამ ამისათვის გენერ-  
ალ ბონაპარტის, ფრანგთა მთავარსარდალის, ნებართვა მჭირდება“.

შევმინდი, ვიფიქრე, შეიხი გადამცემდა ფრანგებს, რომელთა  
რწმენის და ჩვევების შესახებ არაფერი გამეგო. მაგრამ ჩემს მსახურს  
უფრო დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა და მითხრა,  
რომ ფრანგები ქრისტიანობის მიმდევრები იყვნენ. ამან ცოტა დამა-  
მშვიდა, რადგან მეც მათსავით ქრისტიანი ვიყავი. ცოტა ხანში ელ-  
ბექრიმ დამიძახა თავის ჰარამხანაში და მითხრა: „მთავარსარდალ-  
თან მივდივარ შენს თაობაზე. აქ დამელოდე, სანამ მოვალ“. მაშინ  
პირველად მოვხვდი ჰარამხანაში, სადაც შეიხის ხუთი ცოლი ცხოვ-  
რობდა. მათ შარბათზე მიმიპატიყეს და ფელური შემომთავაზეს,  
მაგრამ შემრცხვა და უარი ვუთხარი. ამდენი ქალი მიყურებდა, მე  
კი ცისფერი ღარიბული მოსასხამი მეცვა შიშველ ტანზე. ასეთი უხ-  
ერხულობისგან ცრემლი ვერ შევიკავე. ამ კეთილმა ქალებმა კი ჩემს  
სევდიან ბედ-იღბალს დასტირეს და დამამშვიდეს. შეიხი ელ-ბექრი  
ამ დროს მთავარსარდალთან იყო ჩემი სამსახურში აყვანის ნებართ-  
ვის ასაღებად. იმპერატორი დაინტერესებულა, თუ რამდენი წლის  
ვიყავი, კარგი ქვეშევრდომი ვიყავი თუ არა... შეიხს ძალიან შევუქი-  
ვარ: „მას ვენდობი, კარგი ქვეშევრდომია, ჯერ თხუთმეტნახევარი  
წლისაა. ერთ დროს სალა-ბეისთან მსახურობდა, რომელიც სენ-ჟან  
დ'აკრში მონამლა ჯეზარ-ფაშამ“. გენერალ ბონაპარტს უპასუხია:  
„მურად-ბეი ცოტა უფრო კეთილგონიერი რომ იყოს, ყველა მამლუქს  
დავრთავდი დიდ კაიროში დაბრუნების ნებას“.

რამდენიმე საათის შემდეგ შეიხმა დამიბარა და მითხრა: „მთა-  
ვარსარდალმა ნება დაგრო. შენ უკვე ჩემს სამსახურში ხარ“. შემ-  
დეგ მკერავის მოყვანა ბრძანა და ჩემთვის მამლუქის ისეთი ფორმა

შეუკვეთა, როგორც ადრე მქონდა. კეთილმა ქალებმა ჰარამხანაში დამიძახეს და მილოცავენენ შეიხთან დარჩენას. მთხოვეს, მათთვის შემეტყობინებინა, თუკი რამე დამჭირდებოდა. ოქროს ძაფით ნაქარგი რამდენიმე ცხვირსახოცი და საფულეც მაჩუქეს. ჰარამხანაში ყველაზე მომხიბვლელი, ნამდვილი ანგელოზი, შეიხის თერთმეტნახევარი წლის უმცროსი ქალიშვილი იყო.

ელ-ბექრისთან სამი თვე გავატარე. ამ დროში შეიხმა ქალაქში დამალული ოცდახუთი მამლუქი შეკრიბა. რადგან მე ვიყავი მათ შორის ყველაზე გამოცდილი და ასაკით უფროსი, დამნიშნა კიდევ მათ მეთაურად. ცხენოსნობა უნდა მესწავლებინა მათთვის. როგორც ჩანს, შეიხის ცოლებმა, რომლებიც ძალიან თბილად მეპყრობოდნენ, დაარწმუნეს შეიხი, ჩემთვის ცოლად მოეცა თავისი თორმეტი წლის ქალიშვილი, რომელიც ჰარამხანაში გავიცანი. ყველამ, მათ შორის გენერალმა ნაპოლეონმა, იცოდა მომავალი ქორწინების შესახებ და მოსწონდათ ეს აზრი. მე კი ამ სახლში ცოტაოდენი ფულის მოგროვება მოვახერხე. ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ შეხვედრაზე შეიხ ელ-ბალადი და სოფლის უხუცესები, მოჰქონდათ გადასახადი და ჩემი ბატონისაგან ხალათს და ქაშმირის სარტყელს იღებდნენ. მე, როგორც უხუცეს მამლუქს, პირადად მიმქონდა საჩუქრები შეიხთან, ზოგჯერ სამას-ოთხას ფრანკს ვლებულობდი საჩუქრად და მაშინვე ვინახავდი. მსურდა, ეს ფული დედისთვის გამეგზავნა, მაგრამ ეს შესაძლებლობა არ მეძლეოდა. შეიხს თან ვახლდი ყოველდღე, როდესაც იგი იმპერატორს სტუმრობდა. ისინი ერთად სადილობდნენ და საუბრობდნენ სამოქალაქო თუ სამხედრო საქმეებზე.

[1799 წლის დასაწყისში] მთავარსარდალი [ბონაპარტი] ჯარის დიდი ნაწილით გაეშურა სენ-ჟან დ'აკრისკენ. მან ბევრჯერ შეუთია ქალაქს, რამდენიმე გრენადერმა ქალაქში შეღწევაც კი მოახერხა, მაგრამ სურსათის, ტყვია-წამლისა და იარაღის უკმარისობის გამო, ქალაქის დაკავება ვერ მოხერხდა.<sup>1</sup> [ფრანგული] ჯარი ისევ დიდ

---

სენ ჟან დ'აკრასთან ნაპოლეონმა ერთი თვე (20 მარტიდან 21 მაისამდე) დაჰყო. მძიმე არტილერიის უქონლობის გამო, ფრანგებმა ვერ შეძლეს ციხე-სიმაგრის გალავნის გარღვევა, ხოლო სანაპიროსთან მდგარი ბრიტანული საზღვაო ესკადრონი, ადმირალ სიდნეი სმიტის მეთაურობით, განუწყვეტილად ამარაგებდა თურქთა გარნიზონს.

კაიროში დაბრუნდა. იმპერატორი პირველად სენ-ჟან დ'აკრიდან დაბრუნებისას ვნახე. ელ-ბეკრი, თავის მამლუქებთან ერთად, მის დასახვედრად გაემგზავრა. ჩვენთან ერთად ბევრი სხვა გავლენიანი პირიც იყო. მამლუქის ტანსაცმელში გამონყობილი მშვენიერ შავ ბედაურზე ვიყავი ამხედრებული. ნაპოლეონი პირველად ასეთი ვნახე: მთლიანად მტვრით დაფარული, გულამომჯდარი, ეცვა ჩაჩაჩული ჩექმები, თეთრი ქაშმირის შარვალი, გენერლის მუნდირი, პქონდა მზისგან გარუჯული სახე, გრძელი, უკან შეკრული თმები, ქილვამის გარეშე.

ამ წარუმატებლობის შემდეგ ბონაპარტი ხშირად იცვამდა თურქულ ტანისამოსს და ამბობდა, რომ საფრანგეთში აღარ დაბრუნდებოდა და ეგვიპტის მეფე გახდებოდა. ყველამ დაიჯერა ეს, მაგრამ მან ეს ჭორები თურქების მოსატიყუებლად გაავრცელა. [იმპერატორის დაბრუნებიდან] ათ-თორმეტ დღეში ცნობილი გახდა, რომ თურქეთის ჯარმა აბუკირში გადმოინაცვლა. მთავარსარდალი, მიურატის თანხლებით, ალექსანდრიაში წავიდა, რომ იქ განლაგებული ფრანგული ჯარისთვის ემეთაურა.

ამ დროისათვის შეიხმა სამსახურში ახალი, ასაკით ჩემზე ბევრად ხნიერი, მამლუქი აიყვანა და ჩემს ადგილზე დანიშნა. შეიხი საიდუმლოდ შეპირდა მას თავისი ქალიშვილის ხელს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი უკვე გადანყვეტილი გვექონდა – ის ჩემი ცოლი უნდა გამხდარიყო. შეიხის ბრძანებით, უნდა მიმექცია ყურადღება, რომ გამოუცდელ, ახალგაზრდა მამლუქებს უსაქმოდ არ ეხეტიალათ ქუჩაში და სახლის ეზოში. ერთხელ კიბეზე ასვლისას ჩემს ადგილზე დანიშნულმა მამლუქმა მიბრძანა ოთახში დაბრუნება და დაამატა, რომ ის ჩემი მეთაური იყო. მე, ბუნებრივია, არ მსურდა დამორჩილება, მაგრამ ვუპასუხე: „კარგი, წავალ, მაგრამ შენც ჩემთან ერთად წამოხვალ“. ჩვენს დაცვაში ორი მოზარდი მამლუქი იყო, რომელთაც ძმასავით ვუყვარდი. როდესაც ჩემს ოთახში შევედი, ვკითხე ახალ მამლუქს:

– ვინ მოგცა უფლება, მიბრძანო?

– შენი საქმე არ არის, თავს არ გაგიყადრებ! – შემომიღრინა მან.

დავინყუთ კამათი, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა. მივვარდი, მაგრამ ის ჩემზე ბევრად დიდი იყო. ჩემი ორი ახალგაზრდა მე-

გობარი მამლუქი მომეშველა, სამივემ ერთად დავაგდეთ იატაკზე და კარგად ვცემეთ. სახე დაუსივდა, ძლივს აითრია წელი, ფეხზე წამოდგა და კიბეს წელ-წელა დაბლა დაუყვა.

ამ დროს ელ-ბექრი ჰარამხანაში იყო. შევშინდი, ის თუ შეიტყობდა მომხდარის თაობაზე, უსათუოდ დამსჯიდა. უმცროსმა მამლუქებმა დამამშვიდეს:

– ნუ გეშინია, ჩვენ ვეტყვიან შეიხს, რომ არაფერი დაგიშავებია, რომ ახალმა მამლუქმა პირველმა წამოიწყო ჩხუბი და დაიმსახურა კიდევ ცემა.

სადილის შემდეგ, დაახლოებით ოთხ საათზე, შეიხი ჰარამხანიდან თავის მოსასვენებელში დაბრუნდა და ყავისა და მოსანევის მიტანა მიბრძანა, რაც დაუყოვნებლივ შევასრულე. როგორც მიღებული იყო, ყველა მამლუქი მის წინ რიგზე დაეწყო. ელ-ბექრიმ მოიკითხა ახალი მამლუქი. მის მოსაყვანად მსახური გავგზავნე. შემოვიდა თუ არა, შეიხი მაშინვე მიხვდა, რომ ნაცემი იყო, რადგან სახე დასიებული და თვალი ჩალურჯებული ჰქონდა. როგორც უფროსს, შეიხმა მკითხა, თუ ვინ გაუსწორდა ასე ახალბედას. „მე ვცემე, რადგან ცუდად იქცეოდა, ქუჩაში მარტო აპირებდა გასვლას, ხოლო ბრძანებებს არ ასრულებდა“. – ვუთხარი. ელ-ბექრიმ ყვირილით მითხრა, ასე უმონყალოდ თუ შემეძლო მეგობრის ცემა, ბოროტი გული მქონია და შესაფერისი სასჯელი დავიმსახურე. ბოლოს დამემუქრა, ფრანგებს გადავცემ შენს თავსო, რამაც ძალიან შემაშინა და შეიხს ნებართვა ვთხოვე, რომ ამეხსნა მამლუქის ცემის მიზეზი.

– კარგი, თქვი, არ იცნო, თორემ ყველასთვის სამაგალითოდ დაგსჯი.

– ყოველთვის სიმართლეს ვამბობ და არაფერს გიმალავთ. ეს თქვენ დაინყეთ საიდუმლოდ მოქმედება. კეთილი ნებით დამნიშნეთ ოცდახუთი მამლუქის მეთაურად. შემპირდით, რომ მალე მექნებოდა თქვენი ქალიშვილის ცოლად შერთვის ბედნიერება. ამის შესახებ მთავარსარდალმაც კი იცის და ამ დროს ბრძანებებს მაძლევს ვილაც არამზადა, ახალბედა მამლუქი, რომელსაც თქვენ შემპირდით თქვენი ქალიშვილის ხელს ისე, რომ არაფერი შემატყობინეთ. არც კი ვიცი, ვისი განკარგულებები შევასრულო. აი, აქ თქვენ წინ ყვე-

ლა მამლუქია. პკითხეთ მათ, მართალი ვარ თუ არა, დამზარებია თუ არა როდესმე ჩემი მოვალეობის შესრულება.

შეიხმა შემანყვეტინა:

– დიახ, მე დავნიშნე ის უფროსად, რადგან ასე მსურდა და ჩემს ნებას უნდა დაემორჩილო. თუ უკმაყოფილო ხარ, ფრანგებს გადაგცემ.

მართალი გითხრათ, ძალიან შემეშინდა, ეს ღორი ჩემს ჯოხით დასჯას გადანყვეტდა, ამიტომაც ვთქვი:

– ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია. გპირდებით, დაგემორჩილებით.

საბედნიეროდ, საქმე კარგად დამთავრდა – ჯოხით ცემას გადავურჩი. მოგვიანებით ზანგი მოსამსახურე ქალისგან გავიგე, რომ შეიხის პირველი ცოლი უკმაყოფილო იყო, მისი ქალიშვილი კი ტიროდა, რადგან გაეგო თავისი ბედის მოულოდნელი ცვლილების შესახებ, რომ მამას მისი აბრამზე გათხოვება სურდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ცნობა, რომ მთავარსარდალმა აბუკირთან დიდი ბრძოლა გადაიხადა, მრავალი თურქი ამონყვიტა და ტყვედ წაიყვანა. გენერალმა მიურატმა მოახერხა თურქთა მეთაური ფაშის ნავამდე მიღწევა, გაჩაღებულ ორთაბრძოლაში მას ორი თითი მოაჭრა და ტყვედ აიყვანა.

ამ გამარჯვების შემდეგ ბონაპარტმა დიდ კაიროში დაბრუნებისას ისევე განაცხადა, რომ ეგვიპტეში დარჩენას და მეფედ კურთხევას აპირებდა. ყველას სჯეროდა მისი.

კაიროში დაბრუნების შემდეგ, [ბონაპარტი] ხშირად მართავდა დიდ წვეულებებს და ქალაქის გავლენიან პირებს ეპატიუებოდა. შეიხმა ელ-ბექრიმ, ბონაპარტის გული მოსაგებად, ღვინის სმაც კი დაიწყო. მაგრამ მის თანამემამულეებს რომ არ შეემჩნიათ, ღვინოს ვერცხლის ფინჯანით მიირთმევდა. მალე ისე მიეჩვია სმას, რომ ყოველდღე მთხოვდა ორ ბოთლს – ერთს ღვინით, ხოლო მეორეს არყით სავსეს. სადამოობით კი, როგორც ნამდვილი ლოთი, შეზავებულ სასმელს განმარტოებული სვამდა. დღე არ გადიოდა, არ დამთვრალიყო.

ერთხელ ნაპოლეონმა<sup>1</sup> შეიხი სადილზე მიიწვია, მეც მას ვახლდით. როდესაც ყველა მაგიდას მიუჯდა, პატარა ოთახში გავედი, სადაც მაგიდასთან მუსიე ეჟენი<sup>2</sup> და ორი სხვა პიროვნება იჯდა. ეჟენმა მომანოდა დიდი ჭიქით შამპანური და მითხრა:

- დალიე, ეს სასმელი გაგამხნეებს, ეს საფრანგეთის მშვენიერებაა!

დავლიე და მომეწონა. მათ მეორე კათხაც შემომთავაზეს. სადილის შემდეგ კი ცხენზე დავჯექი, რომ ოცდახუთ მამლუქთან ერთად სახლამდე ვხლებოდი ელ-ბეკრის. ჩვენ მხოლოდ მოედანი უნდა გადაგვევლო, მაგრამ შამპანურისაგან სულში ისეთი სასიამოვნო სიხარული მქონდა, რომ ცხენს ყალყზე ვაყენებდი და ადგილზე ვაცეკვებდი. შეიხი მიხვდა ჩემს მდგომარეობას და როდესაც შინ დავბრუნდით, თავისთან დამიბარა. ის პატარა ოთახში შევიდა, სადაც ყოველ ღამეს ისე სვამდა, რომ ჰარამხანამდეც კი ვერ მიდიოდა. როდესაც მასთან შევედი, მკითხა:

- დღეს გენერალთან ღვინო დალიე?

- ეს ღვინო არ იყო, საფრანგეთის მშვენიერება იყო. ბატონმა ეჟენმა მიმასპინძლა და ორი ჭიქა დამალევინა. - ვუპასუხე. შეიხმა მითხრა, რომ მე უბედური ლოთი ვიყავი და ჯოხით ცემის გარეშე იქედან არ გამიშვებდა.

მაგრამ არ დავიბენი და მივუგე:

- თუ უბრძანებთ ჩემს ცემას, ყველას ვეტყვი, ყოველ ღამე ჩუმად როგორ სვამთ ღვინოს და არაყს. მაგრამ თუ არ დამსჯით, სიტყვას გაძლევთ, არ გაგცემთ.

---

ხელნაწერში არის რუსტამის შენიშვნა: „ბონაპარტი კიდევ ერთხელ ვნახე ელ-ბეკრისთან სახლში, სადაც მე და ჩემი მეგობრები სუფრასთან ვემსახურებოდით მას. ქათმის სუპი ბრინჯით, ჭურჭელი კი ჩინური ფაიფურის იყო. ბონაპარტს ვერცხლის ფინჯანი ჰქონდა, ჩვენ მას შემბერტონის ღვინით ვუმასპინძლებოდით. თურქები პირდაპირ ბოთლებიდან სვამდნენ და ბოთლს რომ გადასცემდნენ ერთმანეთს, ამბობდნენ, „ფელაჰ, შენი ჯერია“. ბონაპარტი და მისი ოფიცრები, მამლუქების მსგავსად, ორმაგ ბალიშებზე ისხდნენ.

ნაპოლეონის შვილობილი ეჟენი დე ბოგარნე.

ჩემმა მუქარამ გაჭრა. შეიხმა თქვა, რომ ერთხელ მაპატიებდა, მაგრამ თუ კიდევ შეამჩნევდა ამას, აუცილებლად დამსჯიდა. ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ ამ უსამართლობით უკმაყოფილო ვიყავი. ცოტა ხანში გავრცელდა ჭორი, რომ ბონაპარტმა გადაწყვიტა საფრანგეთში დაბრუნება. მან თავის თარჯიმანს – ბატონ ელიასს<sup>1</sup> უბრძანა, შეეგროვებინა მამლუქები მის სამსახურში.

ერთ დღეს ბატონი ელიასი მოვიდა შეიხ ელ-ბექრთან სტუმრად და გენერლისათვის ორი მამლუქი სთხოვა. შეიხმა მისცა მას ორი მამლუქი. ელიასმა მითხრა, რომ თუ მოვისურვებდი, იმპერატორთან წარმადგენდა. შემდეგ დაამატა: „ფრანგები შესანიშნავი, ქრისტიანი ხალხია“. „ასეთი დიდი ბედნიერება არც კი მინატრია. კარგად იცით, რომ არ ვარ ბედნიერი შეიხთან“, – და შეიხის უსამართლო საქციელის შესახებ ყველაფერი ვუამბე. ელიასი მალე წავიდა ორ მამლუქთან ერთად, მაგრამ წასვლის წინ დამამშვიდა და დახმარებას შემპირდა.

ვენდე მის დაპირებას, რადგან მას ჯერ კიდევ სალა-ბეისთან მსახურობიდან კარგად ვიცნობდი.

როდესაც ელიასმა მამლუქები ნაპოლეონს მიუყვანა, ერთ-ერთი უმცროსი მამლუქი ისე შეშინდა იმპერატორის დანახვისას (არადა, ის სრულებითაც არ იყო ბოროტი ადამიანი), რომ ატირდა. იმპერატორი მიუბრუნდა თარჯიმანს: „მე არ მსურს ჩემთან მსახურობდნენ თავიანთი ნების სანინაალმდეგოდ. რატომ მომიყვანეთ ეს მტირალა ბავშვი? დაუბრუნეთ ის შეიხს და ისეთი მამლუქი წამოიყვანეთ, რომელსაც ჩემთან სამსახურის სურვილი ექნება“.

ელიასმა ამით ისარგებლა:

– თუ ინებებთ, მისწეროთ ელ-ბექრს, შემიძლია მოგიყვანოთ მოზრდილი მამლუქი, რომელიც პირადად მას ახლავს ხოლმე. მე მას ვიცნობ, კარგი ქვეშევრდომია, წარმოშობით ქართველი.

ნაპოლეონმა იქვე დაწერა წერილი ელ-ბექრის სახელზე და ჩემი თავი სთხოვა მას.

---

<sup>1</sup> წარმოშობით რამლელი ელიას მასადი 1799 წელს მეორე სირიული ასეულის ლეიტენანტი იყო.



იმავე დღეს ელიასი წერილით ხელში გამოცხადდა ელ-ბექრისთან და როდესაც ჩემთან ახლოს მოვიდა, ჩამჩურჩულა:

- ნუ ნაღვლობ, შენ გამო მოვედი.

შევიდა ოთახში, სადაც შეიხი იჯდა და ბონაპარტის წერილი გადასცა მას.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდი. როდესაც შეიხმა ბონაპარტის წერილი წაიკითხა, დამიძახა. შემდეგ ეს წერილი მეც წამიკითხა.

ვიუარე:

- არ ნავალ ფრანგებთან, მსურს, ცხოვრების ბოლომდე გემსახუროთ.

ელ-ბექრიმ მითხრა:

- ეს შეუძლებელია, არავის შეუძლია მთავარსარდლის ნებას შეენინააღმდეგოს. მას ჩემი საკუთარი შვილიც რომ მოეთხოვა, უარს მაინც ვერ ვეტყვოდი.

ბედნიერი ვიყავი, რადგან შემეძლო დამეტოვებინა სახლი, სადაც მაინროებდნენ და ისეთი სულელი ახალბედათი შემცვალეს, რომელმაც ცხენზე ნორმალურად ჯდომაც კი არ იცოდა. მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ისევ გავიმეორე, რომ ფრანგებთან სამსახური არ მსურდა.

- ყოველთვის ბედნიერი ვიყავი აქ, მაგრამ ნავალ, რომ თქვენი სურვილის წინააღმდეგ არ წავიდე. შემპირდით, რომ მომავალში ისევ დამაბრუნებთ.

შეიხმა მიპასუხა:

- სამუდამოდ არ ვშორდებით, შეგიძლია, ყოველდღე მომინახულო.

ჩემს ერთგულებაში შეიხის დარწმუნების შემდეგ, ტრადიციის მიხედვით, მას ხელზე ვეამბორე და დავემშვიდობე. ამასობაში მსახურს ვუბრძანე, ცხენი შეეკაზმა და მეგობრებთან დასამშვიდობებლად წავედი. ორი მამლუქი, რომელთათვის უფროს ძმასავით ვიყავი, ხმამაღლა ტიროდა. გრძნობდნენ, რომ სამუდამოდ მივდიოდი.

ამის შემდეგ წავედი მთავარსარდალ ბონაპარტისთან. ბატონმა ელიასმა მისაღებ ოთახში შემიყვანა და წარმადგინა. იმპერატორი მომიახლოვდა, ყურზე მომქაჩა და გამომკითხა, ცხენის ჭენება ვი-

ცოდი თუ არა. დავუდასტურე. შემდეგ მკითხა, კარგად ვფლობდი თუ არა ხმაღს. ვუპასუხე, რომ კარგად ვფლობდი, რამდენიმე არაბიც მომიკლავს და ხელეებზე ნაიარევეებიც ვაჩვენე. სახელი მკითხა.

– იჯახია, – ვუპასუხე.

გაუკვირდა:

– ეს ხომ თურქული სახელია. საქართველოში რას გეძახდნენ?

– რუსტამს.

– მეც რუსტამს დაგიძახებ. არ მსურს, თურქულ სახელს ატარებდე. დღეიდან ისევ რუსტამი იქნები.

იგი ჩემთან ერთად ოთახში შემოვიდა, აიღო დამასკური ხმაღი, რომლის სახელური ექვსი მსხვილი ბრილიანტით იყო დამშვენებული და ოქროთი მოვარაყებული წყვილი დამბაჩა. „აიღე – თქვა მან, – გჩუქნი. გპირდები, ყოველთვის ვიზრუნებ შენზე“. შემდეგ ოთახში შევედი, სადაც ქალაღდების დიდი ფუთა იღო. ნაპოლეონმა მოისურვა ეს ქალაღდები მის ოთახში შემეტანა. იმ დღეს, საღამოს რვა საათისთვის, ვახშამი მივუტანე, ამის შემდეგ მან ეტლი მოითხოვა, ქალაქში გასეირნება და დასვენება ენაღა. ამასობაში თავის ადიუტანტს – მუსიე ლავინის უბრძანა, ჩემთვის არაბული ბეღაური შეეკაზმა კარგი თურქული უნაგირით. ჩემი ადგილი მისი ეტლის კარებთან იყო. ერთად ვისეირნეთ. ღამით, როდესაც დაებრუნდით, ამიხსნა: „ეს ჩემი საძინებელია, მსურს, მის კართან დაიძინო და ჩემთან არავინ შემოუშვა, ბოლომდე გენდობი“. ბატონი ელიასის მეშვეობით, რომელიც იქვე იღვა, ვუპასუხე: „ღალიან ბეღნიერი ვარ ამგვარი ნდობით. დამიჯერეთ, სიცოცხლეს გავნირავე, ვიდრე ჩემს ადგილს დავტოვებდე ან ვინმეს ოთახში შემოვუშვებდე“.

მეორე დღეს ერთ მსახურთან ერთად, რომელსაც ებერი ერქვა, მონანილეობა მივიღე ბონაპარტის დილის ტუალეტში. მსურდა, აქ სამუშაოდ მომენყო ელ-ბექირთან დარჩენილი ჩემი ორი მეგობარი მამლუქი, რომლებიც ღალიან მიყვარდა, მაგრამ მოულოდნელად საფრანგეთში გავემგზავრეთ.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ხელნაწერში რუსტამის შენიშვნაა, რომ ეგვიპტეში ის მხოლოდ ექვსი დღე ემსახურა ნაპოლეონს.

## თავი მეორე

არავინ არაფერს ამბობდა იმის შესახებ, რომ ჩვენ საფრანგეთში მივემგზავრებოდით. გენერალთან [იმპერატორთან] მსახურობის დანყებიდან რამდენიმე დღეში, ერთ გვიან ღამეს, კამერდინერი მოვიდა, რომ გენერალი შეემოსა. სწორედ ამ დროს მითხრა გენერალმა: „ალექსანდრიაში მივემგზავრებით, რადგან თურქული და ინგლისური ჯარები გვიახლოვდებიან“. ისე სწრაფად გავემგზავრეთ, რომ ელ-ბექრის სახლიდან ჩემი ნიეთების წამოღებაც კი ვერ მოვასწარი. ყველაზე მეტად კი იმ საცოდავ მსახურზე ვნაღვლოდი, რომლის წამოყვანაც ვერ მოვახერხე.

დიდი კაიროდან გავემგზავრეთ<sup>1</sup> და სალამოს დაბა მინუფში მივედი.<sup>2</sup> აქ გენერალმა ივანშმა და მეორე დილით, როგორც დათქმული იყო, გზა განვაგრძეთ ალექსანდრიისკენ. მოულოდნელად გზა გადაგვიჭრა არაბთა დიდმა რაზმმა.<sup>3</sup> ვთხოვე გენერალს, მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაცვის ესკორტთან ერთად, არაბებზე თავდასხმის ნება მოეცა. მან ნება დამართო: „ნადი, მაგრამ ფრთხილად იყავი, არაბებმა ტყვედ არ ჩაგიგდონ, რადგან ისინი არ დაგინდობენ“.

---

<sup>1</sup> რუსტამს არა აქვს მითითებული თარიღი. ნაპოლეონის მიმონერისა თუ სხვა წყაროს მიხედვით, იმპერატორი ალექსანდრიიდან 18 აგვისტოს დილას გაემგზავრა.

მინუფი (Minuf) კაიროდან 67 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ნაპოლეონი და მისი თანამგზავრები მინუფში 18 აგვისტოს ღამით ჩავიდნენ.

გაურკვეველია, სად მოხდა ეს შეტაკება. ნაპოლეონმა მინუფი 19 აგვისტოს დატოვა, ხოლო 20 აგვისტოს სალამოს უკვე ელ-რაჰმანის უახლოვდებოდა.

მე არაფრის მეშინოდა, რადგან მშვენიერ ბედაურზე ვიჯექი და ორი წყვილი დამბაჩით, დაშნით, კარაბინითა და ბუნიკიანი კვერთხით კარგადაც ვიყავი შეიარაღებული. არაბებზე მიტანილი იერიშის შემდეგ, ბონაპარტმა დაიბარა ბატონი ბარბანეგრე, რომელიც ამ შეტევას ხელმძღვანელობდა და ჰკითხა ჩემი ბრძოლის ამბები. მან უპასუხა: „რუსტამი ძალიან მამაცი მეომარია. მან ორი არაბი დაჭრა“. ამ პასუხით კმაყოფილმა გენერალმა გადაწყვიტა ჩემი საპატიო ხანჯლით დაჯილდოება, რამაც ძლიერ გამახარა. იმ დღიდან ის ხანჯალი ჩემი განუყრელი ნივთი გახდა.

ღამე უდაბნოში გავატარეთ. იმავე საღამოს ბატონმა ელიამ<sup>1</sup> დიდი კაიროდან წერილი მოუტანა ბონაპარტს, მე კი საზამთრო მომცა, რომელიც დიდი სიამოვნებით შევჭამე, რადგან საშინელი სიცხე იყო. ელიამ ჩამჩურჩულა: „იცოდე, არც თურქული ფლოტია სანაპიროზე და არც ინგლისური. რასაც [ფრანგები] აქამდე აცხადებდნენ, არაფერია სიმართლე. თქვენ სულ სხვა ადგილას მიემგზავრებით“. მაგრამ არ მითხრა – სად და იმავე დღესვე დაბრუნდა კაიროში.

მეორე დღეს, დილით, უდაბნოში გზა-კვალი აგვებნა, გარშემო მხოლოდ ქვიშა იყო. ცოტა ხანში გადავეყარეთ არაბ ქალებს, რომლებიც მიწას თხრიდნენ. გენერალმა გზის გასაგებად მათთან გამაგზავნა. ცხენი გავაჭენე და მიუახლოვდი თუ არა, ქალებმა კაბის, თავიანთი ერთადერთი ტანისამოსის, კალთები აიწიეს და შიშველი საჯდომები დამანახეს...

საღამოს ათ საათზე მიუახლოვდით ალექსანდრიასა და აბუ-კირს შორის მდებარე პატარა დაბას,<sup>2</sup> სადაც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე კარვები დავდგით და ვახშმის მომზადება დავიწყეთ. მე გაშლილ ზღვაში ორი ფრეგატი<sup>3</sup> დავინახე და მუსიე ეჟენს, მხედ-

---

<sup>1</sup> რუსტამის ჩანაწერი აღნიშნავს, რომ ელიას მდინარე ნილოსზე უმგზავრია დაბა ბულაკიდან.

ეს დაბა იყო ელ-რაჰმანია, რომელსაც ნაპოლეონი მიუახლოვდა 20 აგვისტოს საღამოს და მომდევნო დღეს დასავლეთით მდებარე ალექსანდრიისკენ აიღო გზი.

ფრეგატები იყვნენ მიურონი (La Muiron) და კარერი (La Carrère).

ართმთავრის ადიუტანტს, ვკითხე მათი წარმომავლობის შესახებ. მაგრამ მას არ სურდა ჩემთვის სიმართლის გამხელა და მითხრა, რომ ეს თურქული საბრძოლო ხომალდები იყო. სინამდვილეში კი ეს გემები ფრანგული გახლდათ და ისინი ჩვენ გამო მოსულიყვნენ. ამის შესახებ სალამოს შევიტყვე. მანამდე კი საშინელი სიცხისგან თავის დასაღწევად, გასაგრილებლად ზღვაზე ნავედი. ცოტა ხანში დავინახე სასახლის მეთვალყურე მუსიე ფიშერი, რომელიც ჩემს ნასაყვანად მოსულიყო. კარავში დავბრუნდი და გარშემო რაღაც არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ვიგრძენი. ჯარისკაცები აბგებს იმზადებდნენ, ცხენოსნები თავიანთ ცხენებს სხვა პირებს აძლევდნენ. ყობერს,<sup>1</sup> იმპერატორის ერთ-ერთ თარჯიმანს, ვკითხე: „რას ნიშნავს ყოველივე ეს?“ მან მიპასუხა: „პარიზში მივიღივართ, ლამაზ და დიდ ქალაქში! ის ორი ფრეგატი, ჩვენ რომ ზღვაში ვხედავთ, სწორედ საფრანგეთში ჩვენს ნასაყვანად ემზადება“. მალე მეც მიბრძანეს, დამეთმო ჩემი ბედაური.<sup>2</sup> თან მხოლოდ პატარა ტომარა ნავილე, რომელშიც ორი ხელი ტანისამოსი და ქაშმირის ყელსახვევი ჩავდე.

ცოტა ხანში, ოფიცრებთან ერთად, კარებიდან გამოვედით,<sup>3</sup> ჩავსხედით მეოთხედი ლიეს მოშორებით მდგომ ნავებში და გემებისაკენ გავცურეთ.<sup>4</sup> ზღვა შფოთავდა, მაღალი ტალღები ჩვენს

---

ამდე ემილიენ პრობე ყობერი (1779-1847) – ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე, ბონაპარტის პირადი მდივანი და თარჯიმანი.

რუსტამის შენიშვნა: საგანგებოდ შერჩეულმა პიროვნებამ ჩვენი ცხენები ალექსანდრიაში წაიყვანა.

რუსტამის გარდა, ნაპოლეონის ამაღლებაში შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები: გასპარ მონჟი და კლოდ-ლუი ბერტოლე, ცნობილი თარჯიმანი პარსევალ-გრანმეზონი, ხელოვანი ვივან დენონი, გენერლები: ალექსანდრე ბერტიე, ანდრეოსი, ლანი, მარმონი და მიურატი, ოთხი ადიუტანტი (დიუროკი, ლავალეტი, მერლინი და ეჟენი დე ბოგარნე), პირადი მდივანი ლუი დე ბურიენი, თარჯიმანი ყობერი, კამერდინერები და მზარეულები. გენერალი ბესიერი მეთაურობდა დაცვის ესკორტს, რომელიც რამდენიმე ათეული ჯარისკაცისგან შედგებოდა.

ნაპოლეონი და მისი თანამგზავრები ფრეგატ მიურონზე 22 აგვისტოს ავიდნენ.

ნავეებს არყევდა და წყლით ავსებდა. ამ ხანმოკლე მგზავრობის დროს ყველა ზღვის ავადმყოფობამ შეანუხა, თუმცა ისე კარგად ვგრძნობდი თავს, რომ მომშივდა და საჭმელიც მოვითხოვე. ყველაზე მძიმედ ეს მგზავრობა გადაიტანა მამლუქმა, სახელად ალიმ.<sup>1</sup> ბოლოს, როგორც იქნა, გვიან საღამოს მივალწიეთ ფრეგატამდე, ავედით მასზე და მაშინვე აუღშვით იალქანი. ჩემ გარდა, ყველა კმაყოფილი იყო. მთელი დღე არ მენახა გენერალი,<sup>2</sup> დანარჩენები მაშინებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ როგორც კი საფრანგეთში ჩავიდოდით, იმნამსვე თავს მომკვეთდნენ, რადგან სწორედ ასე უსწორდებოდნენ მამლუქები ტყვე ფრანგებს.

გამგზავრებიდან<sup>3</sup> მესამე დღეს ვაუწყე ყობერს (რომელიც ფლობდა არაბულ ენას), რომ გენერლისთვის რაღაც მნიშვნელოვანის თქმა მსურდა. იმავე დღეს მიმიყვანეს იმპერატორთან.

---

<sup>1</sup> ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის ფრედერიკ მასონის ცნობით, „გენერალმა ბონაპარტმა ეგვიპტიდან ჩამოიყვანა ასევე მეორე მამლუქი, სახელად ალი, რომელიც მან მაღამ ბონაპარტს უსაჩუქრა. მაგრამ ეს ალი საოცრად შეუხედავი და მზაკვრული ხასიათის პიროვნება იყო, რომელსაც წერილმან გაუგებრობაზეც კი ხანჯლის ამოღება ჩეეოდა. მართალია, უოზეფინა კეთილგანწყობილი იყო მისდამი, მაგრამ ალიმ ისეთი ცუდი ურთიერთობა დაამყარა დანარჩენ მსახურებთან, რომ საბოლოოდ იგი ფონტენბლოში გაამწესეს. 1811 წელს, მის ნაცვლად, იმპერატორმა ლუი ეტიენ სენ-დენი აიყვანა, იმ დროს მხოლოდ ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ბიჭუნა, რომელიც ვერსალში იყო დაბადებული. იმპერატორის სამსახურში ჩადგომისთანავე მას რატომღაც ალი შეარქვეს და მას შემდეგ იგი მამლუქის ტანსაცმელს ატარებდა“. Frédéric Masson, *Napoléon chez lui: La Journée de l'Empereur aux Tuileries* (Paris, 1894) 78-79. სწორედ ეს მეორე ალი ახლდა ნაპოლეონს 1812-1814 კამპანიებში და შემდგომში მასთან ერთად გაემგზავრა გადასახლებაში. ნმ. ელენეს კუნძულიდან დაბრუნების შემდეგ ალიმ მეტად საინტერესო მემუარები დაწერა.

რუსტამის შენიშვნა: ნაპოლეონმა მეორე ნავით გაცურა გემამდე. ფრიად დაშუხრებული ვიყავი ამით. მე ხომ მაშინ მხოლოდ ჩვიდმეტ-ნახევარი წლის ვიყავი.

<sup>2</sup> ნაპოლეონმა ეგვიპტის სანაპირო 23 აგვისტოს დილის 5 საათზე დატოვა.

- აგერ რუსტამიც! - მომესალმა იგი. - აბა, როგორაა საქმეები?

- ძალიან კარგად, თუმცა მეტად ველავე ჩემს მომავალ ბედზე. - ვუპასუხე.

- რატომ? - გაუკვირდა მას.

- ყველა ამბობს, რომ საფრანგეთში ჩასვლისთანავე თავს მომკვებენ. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ მირჩენია აქვე მივილო სასჯელი, ვიდრე საფრანგეთამდე ვიტანჯო. - მივუგე მე.

გენერალმა სიყვარულით მომკიდა ყურზე ხელი და გაიღიმა:

- ისინი სისულელეს ლაყბობენ. ნუ გეშინია, მალე პარიზში ვიქნებით და ნახავ, რამდენი სიმდიდრე და ლამაზი ქალია იქ! იქ თავს უფრო ბედნიერად ვიგრძნობთ, ვიდრე ეგვიპტეში.

მადლობა გადავუხადე კეთილად მიღებისა და დამამშვიდებელი სიტყვებისთვის, რადგან მეტად აღელვებული ვიყავი.

ფრეგატზე დრო რომ მხიარულად გაეყვანა, იმპერატორი ბანქოს თამაშობდა ბერტიესთან<sup>1</sup>, დიუროკთან<sup>2</sup>, ბესიერთან<sup>3</sup> და ლავალეტთან<sup>4</sup>. იგი ხშირად იგებდა და ყოველი მოგებიდან ცოტაოდენ ფულს

---

ალექსანდრე ბერტიე - ცნობილი ფრანგი გენერალი, მომავალი საფრანგეთის მარშალი იყო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ნაპოლეონის შტაბის უფროსად მსახურობდა.

ჟერომ ქრისტოფ მიშელ დიუროკი - ნაპოლეონის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი მსახურობდა იმპერიის დროს იმპეროული სასახლის დიდი მარშლის თანამდებობაზე. მონაწილეობა მიიღო ნაპოლეონის თითქმის ყველა კამპანიაში. დაიღუპა ბაუცენთან ბრძოლის დროს (1813 წ.).

ჟან ბატისტ ბესიერი - მომავალი საფრანგეთის მარშალი და იმპეროული გვარდიის მხედართმთავარი, დაიღუპა ბრძოლის დროს.

ანტუან მარი შამან დე ლავალეტი - ნაპოლეონის ადიუტანტი. 1798 წელს იქორწინა ემილი დე ბოგარნეზე (ჟოზეფინას პირველი მეუღლეს ძმისშვილზე). მრავალი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ნაპოლეონს, რის გამოც, 1815 წელს, ბურბონებმა დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. განაჩენის შესრულების წინა ღამეს ლავალეტს გამოსამშვიდობებლად ესტუმრა მისი მეუღლე. შეხვედრის დროს, ლავალეტმა გადაიცვა მეუღლის ტანსაცმელი, ციხიდან გამოიპარა და ბრიტანეთში გაიქცა. ემილი დე ბოგარნემ ციხეში რამდენიმე თვე გაატარა, სანამ ხელისუფლება იძულებული არ გახდა, გაეთავისუფლებინა იგი.

მინანილებდა. მალე ბარბაროსთა სანაპიროსა და ტუნისის მახლობლად მივცურეთ,<sup>1</sup> კორსიკასაც მივუახლოვდით.<sup>2</sup> როდესაც გემიდან კუნძული გამოჩნდა, ბონაპარტიმა კაპიტანი ნავით გაგზავნა სანაპიროზე, რომ ჩამოსვლის შესახებ ეცნობებინა. სანამ იალქანს დავუშვებდით, უკვე ვხედავდით, თუ როგორ მოცურავდნენ ჩვენკენ ნავეები ქალაქ აიაჩოს ხელისუფლების წარმომადგენლებითა და ლამაზი ქალებით, რომ გენერლისთვის მშვიდობიანად დაბრუნება მიელოცათ. კარანტინი, როგორც ეს წესით ხდება,<sup>3</sup> ჩვენ არ შეგვხებია.

---

<sup>1</sup> რუსტამის შენიშვნა: ბონაპარტის ფრეგატზე ინახავდნენ ორ თხას, რომ გენერლისათვის რძიანი ყავა მოემზადებინათ. მუსიე ფიშერს უყვარდა რძის პირდაპირ დიდი თიხის ნადიმიდან დალევა, რაც ჩემ აღმფოთებას იწვევდა, მაგრამ იმპერატორი მამშვიდებდა. ის მასთან ერთად საუზმეზე ყავას მთავაზობდა. ბარბაროსთა სანაპიროს რომ მოვშორდით და კორსიკისკენ ავიღეთ გეზი, ძლიერ ქარბუქში აღმოვჩნდით. ბონაპარტი მხიარულად სადილობდა ლავალეტთან და სხვებთან ერთად. უცებ გემი ძლიერ შექანდა და ლავალეტი სკამიდან გადმოვარდა, იმპერატორმა სიცილით მიაძახა: „ეს რა მოკლე და მსუქანი ფეხები გქონია“. ერთხელ ბონაპარტი ლამპარის შუქზე კითხულობდა. იმ ჩირაღდანს ზედ ქალაღი ედო, რომელსაც მოულოდნელად ცეცხლი ნაეკიდა. მან სწრაფად მოჰკიდა ხელი ლამპარს და ზღვაში გადააგდო. ეგვიპტიდან კორსიკამდე მგზავრობამ ორმოცდაშვიდ დღეს გასტანა. კორსიკის ნაპირებს ნაპოლეონი 30 სექტემბერს მიუახლოვდა. ამ საკითხზე საინტერესო დეტალებს გვანვდის ნაპოლეონის პირადი მდივანის კლოდ-ფრანსუა მენეველის მემუარები. ეეროპის ყველა საპორტო ქალაქში შემავალი გემი რამდენიმე კვირიან კარანტინს (რუსტამი მოგვიანებით აღნიშნავს 45-დღიან კარანტინს) ექვემდებარებოდა. აიაჩოს ხელისუფლებაც თავდაპირველად სწორედ ასეთი მოთხოვნით შეხვდა ეგვიპტიდან დაბრუნებულ გენერალს. ბონაპარტს, ბუნებრივია, არ აწყობდა კორსიკაზე ასეთი ხანგრძლივი დროით გარეზება და კარანტინის თავის ასარიდებლად მან ხერხს მიმართა. მისმა ადგილობრივმა მხარდამჭერებმა შეძლეს დაერწმუნებინათ აიაჩოს ხელისუფალნი, ნავით გასულიყვნენ ზღვაში და შორიდან მაინც მისალმებოდნენ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულ ძღვეამოსილ გენერალს. ზღვაში ყოფნისას ბონაპარტისტებმა ისე მოანყვეს საქმე, რომ მათი ნავეი ბონაპარტის ფრეგატს შეეჯახა და აიაჩოს ხელისუფალნი კარანტინის ქვეშ მყოფ გემთან უშუალო კონტაქტში შევიდნენ. როგორც მენეველი აღნიშნავს: „დარწმუნებული ვიყავით, რომ აიაჩოს ხელისუ-



პორტუგი შესვლიდან ერთ საათში<sup>1</sup> გენერალი ნაპირზე გადავიდა და მაშინვე გაეშურა თავის მშობლიურ სახლში, სადაც იგი ოდესღაც დაიბადა. ქალაქში მხოლოდ სალამოს გავედი. როდესაც გენერალმა დამინახა, მკითხა თუ რა შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მისმა მშობლიურმა ქალაქმა. ვუპასუხე, რომ მშვენიერი მხარე იყო! გაელიმა: „ეს ჯერ კიდევ არაფერია, პარიზია ნამდვილი მშვენიერება!“

ჩვენი ჩასვლისას კორსიკაზე მოსავლის აღება იყო დაწყებული. ყურძნის ტივა არ იყო, აქ მოდიოდა უტკბესი ლეღვი. ჩვენთვის კუნძულზე ისეთი ქეიფი გამართეს, რომლის მსგავსიც ეგვიპტეში არაფერი გვინახავს. ლამაზი ქალები, იმის გამო, რომ მე უცხოელი ვიყავი, მეტ ყურადღებასა და სიყვარულს იჩენდნენ ჩემდამი. ერთადერთი, ვინც პრობლემებს მიქმნიდა, ბატონი ფიშერი იყო, რომელიც იმპერატორთან და ბერტიესთან ჩემ შესახებ ჭორებს ავრცელებდა, თითქოს ადგილობრივ ქალებთან სასიყვარულო კავშირები მქონდა გაბმული და თითქოს ოცდახუთი პიასტრიც კი გადავუხადე მათ.

ბოლოს<sup>2</sup> ჩვენ ისევ ფრეგატში ჩავსხედით, რომ ტულონისკენ გაგვეცურა, მაგრამ ამინდი გაფუჭდა და იძულებული გავხდით, დავბრუნებულიყავით კორსიკაზე, სადაც ხელმეორედ გამგზავრებამდე კიდევ ერთი დღე გავატარეთ. ამ მგზავრობისას გენერალი [ბონაპარტი] და ბერტიე ჩემი დანახვისას მუდამ იცინოდნენ და მამასხარავებდნენ: „ჩვენზე ბევრად მოხერხებული ყოფილხარ, საფრანგეთში ჩამოსვლისთანავე, ჩვენგან განსხვავებით, აგერ უკვე რამდენიმე ქალთან გააბი კავშირი!“ მე კი ვუხსნიდი: „მცდარია თქვენი წარმოდგენა ჩემზე, საინტერესოა, ვინ მივრცელებს ასეთ ჭორებს?“ მათ არც დაუმაღავთ. ძალიან გავბრაზდი ფიშერზე, იმ

---

ფაღნი არ მოაქცევდნენ საკუთარ თავს კარანტინის ქვეშ... ეს ჩანაფიქრი სრული წარმატებით დასრულდა და გენერალი თავისი ამაღი-თურთ ქალაქში შევიდა, სადაც მას ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა“ (Claude-Francois Méneval, *Memoirs of Napoleon Bonaparte*, New York, 1910, I, 23-24).

აიაჩოში ნაპოლეონი 1 ოქტომბერს ჩავიდა.

აიაჩოდან ნაპოლეონმა 7 ოქტომბრის სალამოს 7 საათზე გაცურა.

შეუხედავ არამზადაზე, რომელიც ჩემზე ასეთ სიცრუეს ამბობდა. ისეთი გაბრაზებული ვიყავი, რომ მისი კარგად ცემაც კი მსურდა.

ტულონიდან რამდენიმე<sup>1</sup> კილომეტრის მოშორებით პორიზონტზე გამოჩნდა შვიდი ინგლისური გემი. ადმირალმა განტომმა უბრძანა თავის ორ ფრეგატს, თავდაცვითი პოზიცია დაეკავებინათ. ყოველი შემთხვევისათვის, სპეციალურად ბონაპარტისთვის, ზღვაში პატარა იალქნიანი ნავი ჩაუშვა და თოკით მიაბა გემს. დიდი დაშორების მიუხედავად, ინგლისელებმა მაინც გახსნეს ცეცხლი ჩვენი მიმართულებით. განტომი მიხვდა, რომ ტულონში შესვლას ვერ მოვახერხებდით და ამიტომ გეზის შეცვლა გადაწყვიტა. მალე პროვანსის ქალაქ ფრეჟიუსისკენ გავცურეთ. ეს ნავსადგური არ იყო შორს და მცირე ხანში მისი სანაპირო გამოჩნდა. რამდენიმე საათიანი მგზავრობის შემდეგ ფრეჟიუსის პორტში შევედით. ინგლისელები შორიახლოს იყვნენ და ჩვენი მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლეს კიდეც, მაგრამ ეს გარემოება საფრთხეს უკვე ვეღარ შეგვიქმნიდა, რადგან სანაპირო არტილერიის დაცვის ქვეშ ვიყავით.

გენერალმა სანაპიროზე ბატონი დიუროკი გაგზავნა, რათა გენერალ ბონაპარტის დაბრუნება ეუწყებინა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. ამის შემდეგ სანაპირო არტილერია მეგობრული ზალპით მოგვესალმა, ჩვენმა ორმა ფრეგატმა კი ორმოცდაათი ზარბაზნის გასროლით უპასუხა. მალე სანაპიროზე გავედით და რადგან ქალაქამდე სულ ერთი კილომეტრი<sup>2</sup> იყო დარჩენილი, ფეხით ნასვლა გადავწყვიტეთ. ქალაქში<sup>3</sup> დილით ადრე ჩავედით. გენერალმა მიიღო ქალაქის ყველა ხელისუფალი და შემდეგ მათ საუბრის მომზადება სთხოვა.

---

<sup>1</sup> რუსულ თარგმანშია „შვიდი მილის“, თუმცა რუსტამის ხელნაწერში ნათლად წერია „quelques lieus“.

დედანშია „ლიეს მეოთხედი“. ლიე (lieue) ძველი ფრანგული საზომი ერთეულია, რომელიც 4 კმ-ს შეადგენს. რუსულ თარგმანში ეს მანძილი არასწორად, „მილის მეოთხედად“ არის თარგმნილი. რაც მხოლოდ 500 მეტრამდე მანძილს გულისხმობს.

ნაპოლეონი ფრეჟიუსში 9 ოქტომბერს ჩავიდა.

კანონის მიხედვით, ნაპირზე გადასვლისას აუცილებლად უნდა გაგვევლო ორმოცდახუთდღიანი კარანტინი, მაგრამ გენერალს დროის დაკარგვა არ სურდა, ამიტომ ყველა, მათ შორის ფრეი-უსში ჩვენთან ერთად მყოფი ჯარი, იმავე საღამოს პარიზისკენ გავემგზავრეთ. გამგზავრებამდე ბერტიემ მთხოვა: „რუსტამ, შენი დაშნა მომეცი, პარიზში ჩასვლისთანავე დაგიბრუნებ“. უარი ვერ ვუთხარი, მით უმეტეს, მქონდა მეორე ხანჯალიც, რომელიც ბონა-პარტიმა ეგვიპტის უდაბნოში მაჩუქა და, ამასთან ერთად, კაიროდან ნამოღებული ორი დამბაჩა – თავდასაცავად.

გენერალი ბონაპარტი ჯერ კიდევ თავის მისაღებ ოთახში იყო, როდესაც ჩემს პატარა ოთახში იარაღი ამოვალაგე, შევამოწმე დამბაჩები და დავტენე მსხვილი ვაზნებით. ამ დროს ბონაპარტი გამოვიდა ოთახიდან, დამინახა თუ არა, გაჩერდა და მკითხა:

– რას აკეთებ?

– დამბაჩებს ვტენი, შეიძლება გამოგვადგეს – ვუპასუხე.

– ტყუილად კარგავ დროს, – მომიგო მან, – ჩვენ არაბეთში კი აღარ ვართ, საფრანგეთში საფრთხე არ გვემუქრება.

მოვუსმინე და დამბაჩები გვერდზე გადავდე.

საღამოს გენერალი ბონაპარტი, დიუროკთან და ბერტიესთან ერთად, პარიზში გაემგზავრა,<sup>1</sup> ხოლო ღამით, მოსამსახურე პერსონალთან ერთად,<sup>2</sup> გენერლის ქონება-სიმდიდრითურთ მეც გავემგზავრე. მალე ერთი ფრეიუსელი ბატონი შემოგვიერთდა თავისი მეუღლით, რომელიც მეტად მიმზიდველი გარეგნობისა იყო. ისინი აქს-ან-პროვანსში მიდიოდნენ. მთელი დღე და ღამე ვიარეთ და დღის ოთხი საათისათვის უკვე აქს-ან-პროვანსიდან მხოლოდ 20-მდე კილომეტრის მანძილზე ვიყავით.<sup>3</sup>

---

ნაპოლეონი პარიზში 9 ოქტომბრის 6 საათზე გაემგზავრა და 16 ოქტომბერის დღის 6 საათზე ჩავიდა.

რუსტამის შენიშვნა: ეტლში იყვნენ კამერდინერი ებერი და შეფ-მზარეული დანყერი.

ფრანგულ დედანშია „ექვსი ლიეს მანძილი“, რაც 20-მდე კილომეტრის ტოლია, ხოლო რუსულ თარგმანში ნახსენებია „ოთხ მილზე ნაკლები მანძილი“, რაც მხოლოდ 6 კილომეტრს უდრის.

სწორედ ამ დროს კარგად შეიარაღებული ოცდაათი<sup>1</sup> არამზა-  
და დაგვესხა თავს. პირველად ჩვენს თანამგზავრებს მისცვივდნენ.  
მამაკაცი ეტლს მიაბეს და რაც კი ჰქონდა, ყველაფერი წაართვეს.  
შემდეგ ქალს მივარდნენ, გახადეს და პერანგის ამარა დატოვეს,  
ფიქრობდნენ, რომ იგი ტანსაცმელქვეშ მალავდა ძვირფასეულობას.  
შემდეგ ყაჩაღები მოუბრუნდნენ ჩვენს ეტლს, რომელიც ბონაპარ-  
ტის ქონებით იყო დატვირთული.

ერთ-ერთმა მსახურმა უთხრა, „ბატონებო, ხელს ნუ ახლებთ  
ამ ეტლს. ეს ყველა ნივთი გენერალ ბონაპარტის საკუთრებაა“. პასუხის  
ნაცვლად სანყალ მსახურს ესროლეს, საბედნიეროდ, ის  
გადარჩა. მე ხელთ ხანჯალი მქონდა და წინააღმდეგობის განწევა  
მსურდა, მაგრამ ბატონებმა დანჟერიმ და გაილონმა<sup>2</sup> არ დამრ-  
თეს ნება: „თუ წინააღმდეგობას გავუწევთ, აქვე ყველას გაგვათა-  
ვებენ“. ისინი არაბულად მესაუბრებოდნენ და ყაჩაღები ვერაფერს  
მიხვდნენ. მძარცველებმა გატეხეს ყუთების გასაღებები და წაიღეს  
გენერლის მთელი ქონება, მათ შორის ვერცხლის ჭურჭელი, რო-  
მელზეც ამოტვიფრული იყო ინიციალი „ბ“. შემდეგ ჯერი ჩემზე  
მიდგა, მე სარტყელში მქონდა შენახული ექვსი ათასამდე ფრანკი  
ოქრო-ვერცხლით. ავაზაკებმა არ დამაცადეს სარტყელის გახსნა,  
მამინვე დანით გაჭრეს. ხანჯალი ზედა ჯიბეში მქონდა დამალუ-  
ლი, რომელიც ყაჩაღებმა ვერ შენიშნეს. რადგან გენერალის მიერ  
უდაბნოში ნაჩუქარი ხანჯალი შემრჩა, დანაკარგით დიდად განანყ-  
ნებული არც ვყოფილვარ.

მოულოდნელად ერთ-ერთი ყაჩაღი მომიბრუნდა და მკითხა:  
„მამლუქი ხარ?“ მე უკვე ცოტას ვსაუბრობდი ფრანგულად და  
დაუუდასტურე. „აქ ფრანგული პურის საჭმელად ჩამოხვედი, არა?  
ყელში არ გაგეჩხიროს და ცხვირიდან არ ამოგდინდეს!“ – მომაცხა  
მან. არაფერი ვუპასუხე და თავი დამანებეს. ოცდაათივე კბილებამ-  
დე შეიარაღებული ავაზაკი, რომლებიც წამდვილ ჯარისკაცებს წა-  
ავავდნენ, მთებისკენ წავიდა.

---

დედანშია „trente“, ხოლო რუსულ თარგმანში – „ორმოცი“.  
ორივე ნაპოლეონის შეფ-მზარეული იყო.

მთელი ამ დროის განმავლობაში უიღბლო [ფრეიჟუსელი] ქმარი ეტლზე იყო მიბმული, ხოლო მისი მეუღლე პერანგის ამარა იდგა და წმიდა მაგდალინას მსგავსად ტიროდა და თითებს იმტვრევდა. ერთი სიტყვით, მეტად ნაღვლიანი სურათი იყო. როდესაც თოკები მოვხსენით ქმარს, იგი თავის ცოლს მივარდა და ტანსაცმლისა და თმების გლეჯა დაიწყო; მწუხარებისგან სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა. ვერ შესძლო, შეგუებოდა იმ შეურაცხყოფას, რაც მის ცოლს მიაყენეს.

გზა მაინც განვაგრძეთ და სალამოს უკვე აქს-ან-პროვანსში ვიყავით. უფულობის გამო არც პარიზში გამგზავრება შეგვეძლო და არც საჭმლის ყიდვა. დილით გავლენიანმა მოქალაქეებმა სპეციალური კრება მოაწყვეს, რომ განეხილათ ჩვენი დანაკარგები და გარნიზონის მობილიზაცია უზრუნველყოს. იმავე დღესვე გაგზავნეს ჯარისკაცები მთებში ყაჩაღების შესაპყრობად, მაგრამ ვერავინ მოძებნეს და მძარცველების წინააღმდეგ ვერც ვერაფერი მოახერხეს. რადგან პირნმინდად ხელცარიელები ვიყავით, ეს დღეები ქალაქის ხაზინის ხარჯზე გავატარეთ.

ქაშმირის ყელსახვევი მუდამ თან დამქონდა და, გაჭირვების მიუხედავად, არ მსურდა მისი გაყიდვა მანამ, სანამ ახალ ბრძანებას არ მივიღებდი. აქს-ან-პროვანსში ჩასვლისთანავე გენერალს მომხდარის შესახებ ანგარიში გაეუგზავნე და ყოველ წუთს ველოდი პასუხს. ყველაფერი, რაც მოხდა, დანვრილებით ვუამბე: „ოცდაათი ფრანგი არაბი დაგვესხა თავს და ყველაფერი, მათ შორის გენერლის ვერცხლიც, თან წაიღეს. არც მგზავრობისა და საჭმლის ფული დაგვიტოვეს. რა ფულიც გემზე მიბოძეთ, სულ წაიღეს. გაიხსენეთ, ქალაქ ფრეიჟუსში როგორ ამბობდით, რომ „საფრანგეთში ვართ, აქ არაბები არ არიან და ამიტომ დამბაჩები არ დაგჭირდებაო. დამიჯერეთ, გენერალო, ჩვენ ოცდაათამდე ყაჩაღმა შემოგვიტია. ჩემი დამბაჩები რომ მქონოდა, რამდენიმეს მაინც დავანვენდი, მაგრამ უიარალოდ რა უნდა მექნა ასეთი ძალის წინააღმდეგ? მარტო ვიყავი ოცდაათი შეიარაღებული არაბის წინაშე“.

აქს-ან-პროვანსში ჩასვლიდან მესამე დღეს, ერთ-ერთი სამიკიტნოს შესასვლელთან ვიდექი, როდესაც ქუჩაში მოულოდნელად ერთ-ერთი ყაჩაღი ვიცანი. მისი სახე კარგად მქონდა დამახსოვრე-

ბული. ის მიდიოდა ტროტუარზე კოჭლობით და მხარზე ტომარა პქონდა მოკიდებული. გვერდით მდგომ ებერს გადავხედე და ვუთხარი:

– შეხედე, შეხედე, ეს ერთ-ერთი მძარცველია, ნამდვილად ისაა! ებერმა არ დაიჯერა:

– არა მგონია, ის ჯარისკაცს უფრო ჰგავს.

– შეიძლება არ დაიჯერო, – ვუპასუხე, – მაგრამ მე მას ქალაქის საბჭოში მივიყვან. დაკითხონ და სიმართლე გაარკვიონ“.

დრო არ დამიკარგავს, უცნობთან მივირბინე და მივმართე: „ნამომყევი, რაღაც მაქვს სათქმელი“ და მივიყვანე საბჭოში, სადაც ქალაქის ყველა ხელისუფალი იყო შეკრებილი. მათ უცნობს ჯვარედინი დაკითხვა მოუწყეს. მან აღიარა, რომ, მართალია, არ იყო ყაჩაღთა დაჯგუფების წევრი, მას მაინც ერგო ნადავლის პატარა ნაწილი. გახსნა თავისი ტომარა, რომელშიც აღმოჩნდა ექვსი ვერცხლის კოვზი ამოტვიფრული ინიციალით – „ბ“, რომელიც ჩემს გენერალს ეკუთვნოდა, იქვე იყო სამი ოქროს ბეჭედი და დიდი დახვეული შალი, რომელიც ჩვენთან ერთად მყოფ იმ უბედურ ქალს ეკუთვნოდა. ყაჩაღი მაშინვე გაასამართლეს და მეორე დილით დახვრიტეს.

ქალაქში ყოფნის მეოთხე დღეს შევიტყვეთ, რომ გენერალი მიურატი<sup>1</sup> ქალაქის გავლით მგზავრობდა. მე მას ველოდებოდი საფოსტო გაჩერებაზე, სადაც ცხენები უნდა შეეცვალა. როდესაც

---

<sup>1</sup> გენერალი იოაკიმ მიურატი ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პიროვნება იყო. მან ნაპოლეონის თითქმის ყველა კამპანიაში მიიღო მონაწილეობა. უბადლო კავალერიისტი და თავზეხელაღებული ვაჟკაცი თავისი საგმირო საქმეებით თანამედროვე ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული პიროვნება გახდა. ნაპოლეონმა უხვად დაასაჩუქრა მიურატი განუვლი სამსახურისათვის და, სხვა ტიტულებს შორის, მას ნეაპოლის მეფობა უბოძა. 1814 წელს მიურატი განუდგა ნაპოლეონს საკუთარი ტახტის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ უმაღლე აღმოაჩინა, რომ ნაპოლეონის მფარველობის გარეშე არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა. მომდევნო წელს მხარი დაუჭირა ელბიდან დაბრუნებულ ნაპოლეონს, მაგრამ დამარცხდა და სამხრეთ იტალიაში ტყვედ ჩავარდა. ხანმოკლე სასამართლოს შემდეგ, მიურატი 1815 წლის 13 ოქტომბერს კასტელო დი პიცოსთან დახვრიტეს.

მიურატის ეტლი გამოჩნდა, მივედი და, რაც კი გადაგვხვდა, ყველაფერი ვუამბე. მიურატმა ასი ლუიდორი მომცა, რომ პარიზში ჩასვლა მოგვეხერხებინა.

იმავე დღეს, ბატონ დანჟესთან, გაილონთან და ებერთან ერთად, პარიზისკენ გავემგზავრე. ჯერ ლიონი გავიარეთ, სადაც ღამე გავათენეთ, შემდეგ გადავლახეთ მთიანი უღელტეხილი ტარარესთან – ის ძალზე მაღალი იყო, მაგრამ კავკასიონის უღელტეხილებს მაინც ვერ შეედრებოდა. პარიზის გარეუბანს რომ მივუახლოვდით, საბუთების შესამონმებლად გაგვაჩერეს. ყველა ჩემს თანამგზავრს ჰქონდა პირადობის მონწობა, მე კი – არა. გუშაგებს ავუხსენი: „წავიდეთ გენერალ ბონაპარტთან და ის მოგანვლით საჭირო საბუთებს“. ბოლოს გუშაგებმა ქალაქში შესვლის ნება დაგვრთეს.

დაუყოვნებლივ წავედი შანტერენის ქუჩაზე, სადაც გენერალი ცხოვრობდა. როგორც კი გაიგო ჩემი ჩამოსვლის შესახებ, მაშინვე მიხმო თავისთან. წარვსდექი თუ არა მის წინაშე, ხმამაღლა გადაიხარხარა:

– რუსტამ, ესე იგი, ფრანგ არაბებთან მოგინია შეხვედრა?

– დიახ, თქვენ კი მეუბნებოდით, რომ საფრანგეთში ბედუინები არ არსებობენო, – ვუპასუხე.

– ვფიქრობ, ისინი ყველა ქვეყანაში არსებობენ. მოიცადე, ცოტა ხანში ყველას გავუსწორდები. საფრანგეთში არც ერთ არაბს არ დავტოვებ, – დამამშვიდა.

– მგონი, ეს ასეთი ადვილი საქმე არ არის, – ვუპასუხე. ამის შემდეგ მან თავის მეუღლესთან წარმადგინა. მე მას ხელზე ვეამბორე, როგორც ეს ეგვიპტეში იყო მიღებული. ქალბატონმა ძალიან კეთილად მიმილო და იმავე საღამოს იტალიურ თეატრში წამიყვანა თავისი ეტლით, სახლში კი პატარა მყუდრო ოთახი და რბილი სანოლი გამომიყო. ჩამოსვლიდან ცოტა ხანში ძლიერ ავად გავხდი და ოთხი დღის განმავლობაში მაღალი სიცხეები მქონდა. ქალბატონი ყოველდღე მაკითხავდა ოთახში, მომცა ლამაზი და მყუდრო საბანი, რომ თბილად ვყოფილიყავი. მას არასოდეს გამოუჩენია ასეთი ყურადღება მეორე მამლუქისადმი, რომელიც ჩემთან ერთად ჩამოვიდა. როდესაც გამოვჯანმრთელდი, ორივე მამლუქი თავიდან ფეხებამდე ახალ ტანსაცმელში გამოგვანყვეს.

ერთხელ მთელ სახლში ატყდა აურზაური, ყველა აცრემლებული დარბოდა. შევედი მთავარ ოთახში, სადაც მადამ ბონაპარტი თავისი მოახლეებით გარშემორტყმული და ნახევრად გულწასული სავარძელში იჯდა და იქვე მყოფ რამდენიმე ადამიანს ვკითხე ამის მიზეზი. მიპასუხეს, „გენერალი ბონაპარტი და მუსიე დიუროკი ქალაქგარეთ სასეირნოდ წავიდნენ, სადაც მკვლელები დაესხნენ თავს. ამბობენ, ორთავე მოკლესო“. საოცრად ცუდად ვიგრძენი თავი და ამ უბედურების გამო ბავშვივით ავტირდი. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ეზოში შემოიჭრა ლონიერ ბედაურზე ამხედრებული გენერალი ბონაპარტი და მისმა გამოჩენამ ყველა დამშვიდდა. ამ დროს მსოფლიოში უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. თურმე არავითარი თავდასხმა არ მომხდარა. გენერალი იყო სენ-კლუს სასახლეში, სადაც დირექტორია სხდომას მართავდა. გენერალი, გრენადერთა რაზმის თანხლებით, შევიდა დარბაზში და ყველას ხმა გააკმენდინა.<sup>1</sup> ვილაცას ბონაპარტისთვის ხანჯლის დარტყმა უცდია, მაგრამ ორ გრენადერს შეუჭერებია.<sup>2</sup> მადამ ბო-

---

რუსტამი გულისხმობს ნაპოლეონის მიერ მონყობილ სახელმწიფო გადატრიალებას (9-10 ნოემბერი, 1799 წ.), რის შედეგადაც მან აიძულა საფრანგეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები, ხუთასთა საბჭო და უზუცესთა საბჭო, გამოეცხადებინათ საგანგებო მდგომარეობა და ძალაუფლება გადაეცათ ახლადდანიშნული კონსულებისათვის, რომელთა შორის, ბუნებრივია, ნაპოლეონიც იყო.

ბონაპარტზე ხანჯლით თავდასხმის ისტორია ნამდვილი არ იყო, განზრახ შეიქმნა და გაერცვლდა გენერლის მხარდამჭერთა მიერ, რათა გაემართლებინათ სამხედრო გადატრიალება და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები კრიმინალებთან გაეიგივებინათ. დარბაზში მართლაც მოხდა შეტაკება დეპუტატებს და ბონაპარტის მხარდამჭერებს შორის, მაგრამ გენერლის მკვლელობა არავის უცდია. გადატრიალების მეორე დღეს ნაპოლეონმა პირველმა განაცხადა, რომ დარბაზში შესვლისთანავე თავს დაესხა „20 მკვლელი, რომლებიც ხანჯლებით მის მკერდს უმიზნებდნენ“. ეს განცხადება სრული სიცრუე იყო. მიუხედავად ამისა, ოფიციალური ვერსიის გასაძლიერებლად, ახალი ხელისუფლების გადანყვეტილებით, ორი გრენადერი – თომას თომე და ჟან-ბატისტ პურე შეარჩიეს და გენერლის გადარჩენა სწორედ მათ მიანერეს. ამავე დროს, გამოქვეყნდა უამრავი სტატია და



ნაპარტიმა ბრილიანტის ბეჭდებითა და სამხედრო ჩინის მომატებით გადაუხადა მაღლობა თავისი ქმრის მხსნელებს.

რაკი შანტიერეს ქუჩაზე სახლი მეტად პატარა იყო, ამ ამბიდან ერთ თვეში ლუქსემბურგის სასახლეში გადავედით საცხოვრებლად. ამასობაში ბონაპარტი კონსულის თანამდებობაზე აირჩიეს.

იმავე პერიოდში მიურატი სიყვარულში გამოუტყდა გენერალ ბონაპარტის დას [კაროლინას] და რამდენიმე დღის შემდეგ დაქორწინდნენ კიდევ.<sup>1</sup> ისე მოხდა, რომ მიურატიმა თავისთან მიხმო, დამანახა მეუღლე და მკითხა: „რას იტყვი, რუსტამ, ლამაზია, არა?“ ბონაპარტის და მართლაც ლამაზი და თავაზიანი ქალი იყო. ჩემ მიმართაც იჩენდა ყურადღებას და პატარა საჩუქარიც კი მომცა სახსოვრად.

ამ პერიოდში მუსიე ეყენი ჯერ კიდევ უმცროსი ლეიტენანტი იყო ახლად ჩამოყალიბებული კონსულის მეგზურთა ქვედანაყოფში, რომელსაც პოლკოვნიკი ბარბანეგრი ხელმძღვანელობდა.<sup>2</sup>

გენერალი ბონაპარტი ყოველდღე სეირნობდა ეტლით დიდ ბულვარებში, მე კი საუკეთესო ცხენით ვახლდი მას. ერთხელ, როდესაც სასეირნოდ გავემზადეთ, მუსიე ლავინი, გენერლის მეჯინიბე, ჩემს ცხენზე დაჯდა, მე კი სხვა მომცა, რომელიც პირველად ვნახე. ნაპოლეონმა ეს შეამჩნია, გააჩერა კარეტა და მკითხა:

– რუსტამ, რატომ არ ზიხარ ჩემს მოცემულ ცხენზე?

---

პამფლეტი, ბევრი მათგანი დაკეითით დანერილი, რომლებიც ამ მითის განმტკიცებას ისახავდა მიზნად. პროცესში ჩაერთო სახვითი ხელოვნებაც და ახალმა ხელისუფლებამ უამრავი ლითოგრაფია გამოსცა, რომელზეც ასახული იყო ბონაპარტის „მკვლელობის“ მცდელობა.

<sup>1</sup> რუსტამის შენიშვნა: კაროლინა და პოლინა მადამ კამპანის პანსიონატში იყვნენ. პორტენზია, უოზეფინას ქალიშვილი, ცოლად გაჰყვა ლუის, ნაპოლეონის ძმას.

<sup>2</sup> კონსულის მეგზურთა (Guides du Consul) ქვედანაყოფი შეიქმნა პირველი კონსულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 1799 წლის ნოემბრის ბოლოს. შემდგომში მას საკონსულო გვარდიის სტატუსი მიენიჭა, ხოლო 1804 წელს, პირველი იმპერიის დამყარების შემდეგ, იგი იმპეროულ გვარდიად (Garde Impériale) გარდაიქმნა.

- ჩემო გენერალო, ის ბატონმა ლავინიმ წაიყვანა დღეს, - გა-  
მოვტყდი მე. ლავინი კორტიუხს წინ მიუძღოდა. გენერალმა გამოიძა-  
ხა იგი და ძლიერ დატუქსა ჩემს ცხენზე დაჯდომისათვის.

- თუ კიდევ ვნახავ ასეთ რამეს, დაუყოვნებლივ გაგათავისუფ-  
ლებ!

ამის შემდეგ ლავინი ჩუმად ჩამოქვეითდა,<sup>1</sup> მე კი ისევ ჩემს  
ლამაზ ბედაურზე ავმხედრდი. მთელ პარიზში ამისთანა ცხენს ვერ  
იშოვიდი.

ერთი თვის შემდეგ კონსულისათვის ტიულურის სასახლის მომზ-  
ადება დაიწყო. როდესაც სასახლე ავეჯით მოაწყვეს, ბონაპარტი  
დიდი ამალის თანხლებით გადავიდა თავის ახალ რეზიდენციაში.  
მე, როგორც ყოველთვის, მის ეტლს ცხენით მიეყვებოდი. გენერა-  
ლი დიდი ზარ-ზეიმით შევიდა სასახლეში. ამ დღიდან მან სამუდამო  
კონსულის ტიტულის ტარება დაიწყო.<sup>2</sup>

ერთხელ ბატონ ლავინისთან ერთად ცხენით ვსეირნობდი. ამ-  
ჯერად ოჩან ცხენზე ვიჯექი. სამეფო ხიდის<sup>3</sup> გადავლის შემდეგ ბუ-  
ლონის ტყეში გასეირნება რომ გადავწყვიტეთ, მაშინ დაიწყო ჩემმა  
ცხენმა ოჩნობა. მაგრად ვკარი დეზები ფერდებზე და დაოთხილი  
გავარდა. სამწუხაროდ, გზა ცუდად იყო დაგებული და ცხენმა ბარ-  
ბაცი დაიწყო. ამასთან, ძალიან ცხელი დღე იყო. ისე მოვქაჩე ლა-  
გამი, რომ განყდა და წონასწორობის შენარჩუნება ვერ შევძელი.  
ჩემი ცხენი მიწაზე დავარდა, მე კი თხუთმეტ ნაბიჯზე გადამის-  
როლა. ცხენს თავი და მკერდი ჰქონდა დაზიანებული და სისხლი  
მოსდიოდა. ეს საცოდავი ცხოველი ერთი თვე ვერ დგებოდა ფეხზე.

---

რუსტამის შენიშვნა: ლავინიმ ეს შურისგან გააკეთა. პარიზში ჩასვლი-  
სას ერთმა პიროვნებამ მას, ჩემი თანდასწრებით, „მონა“ უწოდა. მან  
ვერაფერი უპასუხა, მაგრამ ჯაერი ჩემზე იყარა, „სად იყო შენი ხან-  
ჯალიო?“ ცოტა ხანში მან მომამახა: „ან თუნდაც შენი კვერთხი? მონა  
სწორედ რომ შენ ხარ! მე კი უფრო ბეის ან ფაშას ვგავარ“.

ნაპოლეონმა სამუდამო კონსულის წოდება 1802 წლის 1 აგვისტოს  
მიიღო, როდესაც საფრანგეთის სენატმა დაამტკიცა შესაბამისი *senatus  
consultum*.

სამეფო ხიდი (*pont royale*) მდინარე სენაზე უშუალოდ ლუერის წინ არის  
გადებული.

არც ჩემი მდგომარეობა იყო უკეთესი. ადგომა მინდოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, ფეხები არ მემორჩილებოდა. მამლუქის განიერი შარვალი მეცვა, მის ქვეშ ვინრო ფრანგული საცვალი, ფეხზე კი მაღალყელიანი მაგარი ჩექმები – ეს ყველაფერი ნაკუნ-ნაკუნ დამეფლითა! მიწაზე ფორთხვისგან ორივე ფეხი ძლიერ მქონდა დაზიანებული. ლავინიმ და საშველად მოსულმა მოქალაქეებმა ნამიყვანეს ტიურლის სასახლეში, უფრო სწორად, წამიღეს, რადგან გონება დავკარგე და ეტლით გადამიყვანეს სასახლეში. ქირურგმა სუიომ<sup>1</sup> ხუთჯერ მომბანა ჭრილობა, ფეხებზე არტახები დამადეს და მაგრად შემისხვიეს. ოცი დღის განმავლობაში ვატარებდი არტახებს.

კონსული კვლავ გაბრაზდა ლავინიზე, რომ მან ოჩანი და ცუდად გახედნილი ცხენი მომცა. იგი ძლიერ შეწუხებული იყო მომხდარის თაობაზე და ყოველდღე აგზავნიდა საკუთარ ექიმს, რომ ჩემი მდგომარეობა გაეგო. ჭრილობა ჯერ კიდევ არ შეხორცებულყო, როდესაც შევიტყვე, რომ კონსული ლაშქრობისთვის ემზადებოდა.<sup>2</sup> მაშინვე მასთან შეხვედრა მოვისურვე, მაგრამ ექიმმა არ დამრთო ნება. ერთ დღესაც, საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც შევძელი ადგომა და კონსულთან შესახვედრად წავედი. დანახვისთანავე მკითხა:

- რუსტამ, აბა მომიყევი, როგორ ჩამოვარდი ცხენიდან?
- ეს ჩემი ბრალი არ იყო, ჩემო გენერალო, – ვუპასუხე მე, – როგორც ჩანს, არაბული ცხენები ფრანგულზე უკეთესია.
- როგორც არ უნდა იყოს, შენთვის ჯერ ადრეა ადგომა, ფეხებს დალლი.

მისი დარწმუნება დავინყე, რომ ფეხები აღარ მტკიოდა და ჭრილობები შემიხორცდა, შემდეგ დავამატე:

- ჩემო გენერალო, გავიგე, რომ სალაშქროდ ემზადებით. იმედი მაქვს, თან წამიყვანთ.

---

შემდგომში სუიო იმპერიული გვარდიის ჰოსპიტლის მთავარი ექიმი გახდა.

<sup>2</sup> იგულისხმება ავსტრიის წინააღმდეგ იტალიაში ლაშქრობა, რომლისთვისაც ბონაპარტმა მზადება 1800 წლის გაზაფხულის მიწურულს დაიწყო.

- არა, არა, ჩემო კარგო, ეს შეუძლებელია. ლაშქრობაში ჯანსაღი ფეხებია საჭირო, ცხენზე რომ დაჯდე.

მე უკან არ დავიხიე:

- არაფერი მტიკოვა, ცხენზე შეჯდომაც შემიძლია.

- კარგი, ნამომყევი, ვნახოთ, ხომ არ კოჭლობ.

შევეცადე, სწორად გამეველო, მაგრამ ვერ მოვახერხე, საშინელი ტკივილი მანუხებდა. გენერალმა დამამშვიდა:

- ნუ იდარდებ, მალე დავბრუნდები. მანამ ჩემი ცოლი იზრუნებს შენზე და ყურადღებას არ მოგაკლებს.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გრძნობა დამეუფლა, პარიზში დარჩენა ნამდვილად არ მსურდა და ლაშქრობაში მონაწილეობას ენატრობდი. ქალბატონმა, რომელიც ამ დროს ქმრის გვერდით იყო, შეამჩნია ჩემი მდგომარეობა და მომმართა: „რუსტამ, მგონი, უკმაყოფილო ხარ, რომ ჩვენ ერთად უნდა დაველოდოთ იმპერატორის დაბრუნებას? ნახავ, რა კარგად მოგეპყრობი“.

დავემშვიდობე კონსულს და მომტირალი დავბრუნდი ჩემს ოთახში, დაღონებული იმით, რომ ავადმყოფს, მშობლების, მეგობრების ან თუნდაც უბრალო ნაცნობების გარეშე მიწევდა პარიზში დარჩენა.

მადმუაზელ პორტენზია, ყოზეფინას ქალიშვილი, ხშირად მიწევდა ხატვის სეანსზე. მაგრამ მე ჯერ კიდევ მანუხებდა ფეხის ტკივილი და როდესაც იგი დიდხანს ხატავდა ჩემს პორტრეტს, დაღლილობისაგან თვალები მეხუჭებოდა. მადმუაზელი მეუბნებოდა: „რუსტამ, ნუ გძინავთ. მე თქვენთვის ლამაზ სიმღერებს ვიმღერებ!“ ერთხელ მან საკუთარი ხელით მოხატული თამბაქოს კოლოფი მაჩუქა.

ჩემი ავადმყოფობის განმავლობაში ხშირად მსტუმრობდნენ მადამ კუდე და მისი მეუღლე. საღამოობით მათთან ერთად მოდიოდა მათი ქალიშვილიც, რომელიც ისეთი ყურადღებიანი იყო ჩემ მიმართ, რომ გადავწყვიტე, როგორც კი გამოვჯანმრთელდებოდი, მაშინვე ცოლად შემერთო. მართალია, ის არც ახალგაზრდა იყო და არც მდიდარი, მაგრამ მსურდა, მასთან ერთად ბედნიერება გამეზიარებინა, მაგრამ ჯერ კონსულის დაბრუნებას ველოდი. სასახლის მსახურები, რომელთაც შეიტყვეს ჩემი ჩანაფიქრის შესახებ,

ამბობდნენ: „კონსული არასოდეს მოგცემს ასეთი ცუდი არჩევანის ნებასო“.

მარენგოსთან ბრძოლის შემდეგ კონსული პარიზში დაბრუნდა...! სასახლეში შემოსვლისთანავე მომიკითხა.

კონსულის დაბრუნების შემდეგ ჩემი პირველი დავალება დიდი ალღუმის დღეს მის კორტიეჟში მონანილეობა იყო. მე უკვე ვემზადებოდი ცხენზე დასაჯდომად, როდესაც სასახლის მმართველმა დიუროკმა ამიკრძალა ეს. ამან ისე გამაღიზიანა, რომ კონსულთან მივედი და ვთხოვე მუდამ მის გვერდით ყოფნის ნებართვა, რადგან დიუროკი ამას მიკრძალავდა. მან მკაფიოდ მიპასუხა: „ნურც დიუროკს და ნურც სხვას ნუ მიაქცევ ყურადღებას, როგორც გადანყვეტ, ისე მოიქეცი“.

ამის შემდეგ ალღუმების დროს ყოველთვის ვახლდი იმპერატორს. ასეთი სახალხო ღონისძიებებისთვის არაბული ბედაური მყავდა – ოქროთი მორთული აღკაზმულობითა და თურქული უნაგირით. ჩვეულებრივი მგზავრობისა და სეირნობის დროს კი ფრანგულ ცხენებზე ვიჯექი და ჰუსართა მოოქროვილ უნაგირს ვიყენებდი. შეუზღუდავი ვიყავი ჩაცმულობაში, მაგრამ, უმეტესწილად, მამლუქის სამოსს ვატარებდი. ნადიმების დროს ხავერდის ან ქაშმირის ოქროთი მორთულ მუნდირს, ჩვეულებრივ სამუშაო დროს კი ლურჯი მაუდისას ვიცვამდი, რომელიც ასევე ოქროთი იყო განწყობილი.

ერთხელ საუზმეზე კონსულს ვკითხე, დამრთავდა თუ არა ცოლის შერთვის ნებას. მან მიპასუხა:

– არ ფიქრობ, რომ ამისათვის ჯერ ახალგაზრდა ხარ? საცოლე ვინ არის? ახალგაზრდაა? მდიდარია?

– არა, მაგრამ კარგი მეუღლე დადგება. ძალიან მიყვარს, – ვუპასუხე მე. როგორც ჩანს, კონსულისთვის უკვე გაეგებიანებინათ ეს ამბავი. ის არ დამთანხმდა.

– არა, არა, არ დაეთანხმდები. ჭაბუკი ხარ, საცოლე კი არც მდიდარია, არც ახალგაზრდა. იგი ოცდაოთხი წლისაა, შენ კი მხო-

ლოდ თხუთმეტის. ერთი სიტყვით, თქვენ უიღბლო წყვილი იქნებით.

მან კი უარი მითხრა, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემს მომავალზე ზრუნავდა. გამოვეუტყედი გოგონას მშობლებს, რომ კონსული ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი იყო და მისი ნების წინააღმდეგ წასვლა არ შემეძლო. როდესაც გოგონას ეს შეატყობინეს, ძალიან განიცადა, შეხვედრების დროს ვცდილობდი მის შეძლებისდაგვარად დამშვიდებას. ერთი წლის შემდეგ ცოლად გაჰყვა ერთ ამერიკელს. მე მის მეუღლეს სამსახური ვუშოვე იმავე წელს.

ზაფხულში სამი თვით მალმეზონის სასახლეში გადავედი. პირველ კონსულს სურდა, ვერსალში ბატონ ბუტესთან<sup>1</sup> მეცხოვრა და სანადირო თოფის გამოყენება მესწავლა. მალმეზონი არც ისე შორს იყო ვერსალიდან, ამიტომ გადავწყვიტე, არ გადავსულიყავი ვერსალში და პირველ კონსულს ვუთხარი: „თუ ვერსალში გადავედი, ვინ დაიცავს თქვენს მოსასვენებელს ღამით? მე შემიძლია ბატონ ბუტესთან ადრე დილაობით წავიდე ხოლმე, ექვსი საათიდან საღამოს ექვს საათამდე ვისწავლო სროლა და შემდეგ ჩემს სამსახურს დავუბრუნდე“. კონსული დამთანხმდა.

ორი თვის განმავლობაში ყოველდღე დავდიოდი ამ გზაზე, სანამ ნადირობის ხელოვნების ყველა დეტალს არ გავეცნობოდი. როდესაც ყველაფერი შევისწავლე, ბატონმა ბუტემ ჰოფმარშალს მისწერა, რომ შეუძლიათ მენდონ და მომანდონ პირველი კონსულის<sup>2</sup> თოფისა და დამბაჩების დატენვა. წერილი ჰოფმარშალს მივუტანე, მან კი პირველ კონსულს აჩვენა, რომელიც ამით ძალზე კმაყოფილი დარჩა. მანამდე ბატონმა ლერებურმა<sup>3</sup> მასწავლა ჭოგრიტის გამოყენება და მისი განმენდის წესები. მას შემდეგ ყოველდღე ვწმენდი პირველი კონსულის ჭოგრიტებს და ვმართავდი მის იარაღს. ნადირობისას მის მახლობლად ვიყავი და მის კარაბი-

---

ბუტე (Boulet) ხელმძღვანელობდა ვერსალში არსებულ სამხედრო წარმოებას.

ამ დროისათვის ბონაპარტს უკვე „სამუდამო კონსულის“ ტიტული გააჩნდა, ამიტომ გაუგებარია, რატომ იყენებს რუსტამი ძველ ტიტულს. ჟან-ნოელ ლერებური (Lerebours) ცნობილი ფრანგი ოპტიკოსი იყო.

ნებს ვატარებდი, რომლებსაც მუდამ ცხენზე მჯდომარე ვტენიდი. [ბონაპარტი] მიქებდა ჩემს მოხერხებულობას და მონესრიგებულობას.

არც ისე დიდი ხნის შემდეგ პირველი კონსული სენ-კლუს სასახლეში გადავიდა და ფრანგთა იმპერატორად გამოცხადდა, რაც მსოფლიოში დიდი მოვლენა იყო.<sup>1</sup>

---

1804 წლის 18 მაისს სენატმა ნაპოლეონს „ფრანგთა იმპერატორის“ წოდება უბოძა. იმავე წლის 2 დეკემბერს იმპერატორად ეკურთხა ნოტრ-დამის ტაძარში.

## თავი მესამე

უკვე მესამე წელი იყო, რაც იმპერატორთან ვმსახურობდი, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ანაზღაურება არ მიმიღია. არაფერს ვითხოვდი და არც არავინ მიხდიდა, იმპერატორმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. თამბაქოს საყიდელი ფულიც კი არ გამაჩნდა. ბოლოს ვამჯობინე, ჩემი ქაშმირის ყელსახვევი გამეყიდა, ვიდრე იმპერატორისგან<sup>1</sup> ფული მეთხოვა. ჩემი ყველა ნაცნობი მეუბნებოდა: „ყველას გვგონია, რომ იმპერატორი ბევრ ფულს გაძლევს. შენ უნდა მოითხოვო“. მაგრამ ვენდობოდი მუსიე ვენარდის,<sup>2</sup> ვინც ჩემი მეგობარი და მფარველი იყო ეგვიპტიდან ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან. მან მირჩია იმპერატორისათვის ფული არასოდეს მეთხოვა: „პირველმა არასდროს ილაპარაკო ფულზე, იმპერატორი დაგჩაგრავს, ასე რომ, ყველაფერი თავის გზაზე იყოს“. ამ კარგ რჩევას დაუფერე და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური მცირე დანახარჯებისთვისაც კი არ მქონდა ფული, მოგებული დავრჩი კიდეც. ჩემი ქაშმირის ყელსახვევი ერთ ნაცნობს მივეცი, რომელიც ზოგჯერ ჩემს მოსანახულებლად მოდიოდა და დამპირდა, რომ თხუთმეტ ლუიდორად გამიყიდდა. მაგრამ ამ არამზადამ<sup>3</sup> მხოლოდ ათი ლუიდორი მომცა, დანარჩენის მოცემას კი სამი დღის შემდეგ შემპირდა. გავიდა სამი დღე, შემდეგ ერთი თვე, მაგრამ იგი აღარც გამოჩენილა. მაშინ გადავწყვიტე, თვითონ მივსულიყავი მასთან. ის ახალ ბინაში გადასულიყო, მაგრამ შვეიცარმა მისი ახალი მისა-

---

რუსულ თარგმანში რედაქტორებმა განაგრძეს „ბონაპარტის“ გამოყენება, თუმცა რუსტამი თავის ხელნაწერში ნაპოლეონს იმპერატორად მოიხსენიებს.

<sup>2</sup> რუსტამის შენიშვნა: ვენარდი იყო იმპერატორის ერთ-ერთი მზარეული.

<sup>3</sup> დედანშია „cachon“ ანუ ღორი.



მართი მომცა, ფეიდოს ქუჩის<sup>1</sup> მახლობლად ცხოვრობდა თურმე. ბევრჯერ მივწერე, მაგრამ პასუხი არც ერთხელ არ მიმიღია. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ფეხით მივედი მასთან. მან ძალიან ცივად მიმილო და ფულის მოცემაზე უარი მითხრა:

- თქვენი არაფერი მმართვეს. ყელსახვევი თხუთმეტ ლუიდორად გავციდე, აქედან ათი თქვენია, ხუთი - ჩემი.

როცა საპყრობილით დავემუქრე, მან უკმეხად მომიგო:

- მოშორდი აქედან, ვერავის შეაშინებ!

ნასვლის წინ ვუთხარი:

- კი, ბატონო, დაიმახსოვრე, ჩვენ ისევ შევხვდებით.

მალე გავიგე, რომ ის სადილობდა სენ-მარტენის კარიბჭესთან მდებარე სამიკიტნოში. მე კარგად ვიცნობდი ამ ადგილს და ერთ დღესაც წავედი შესამონმებლად. სალაროსთან მჯდარმა ოფიცინტმა ქალმა მითხრა, რომ მუსიე ანტუანი<sup>2</sup> ამჟამად იქ იყო. გამიხარდა, იმ წუთასვე წავედი ტიულრის სასახლეში, მოვძებნე გრენადერთა მეთაური, რომელსაც ჯერ კიდევ დიდ კაიროში ვიცნობდი, ორი ჯარისკაცი ვთხოვე და მათთან ერთად დავბრუნდი სამიკიტნოში, სადაც მუსიე ანტუანი სადილობდა. ოფიცინტს ვთხოვე, „გადაეცით მუსიე ანტუანს, რომ ჩამოვიდეს, აქ ერთი პირია, ვისაც მასთან საუბარი სურს“. როდესაც ის გამოჩნდა, გრენადერებს დავაჭერინე და ვუთხარი, რომ ახლავე ციხეში წაიყვანდნენ. მუსიე ანტუანმა მთხოვა არ ვყოფილიყავი ასეთი სასტიკი და შემპირდა, რომ ფულს დაუყოვნებლივ მომცემდა, თუ სახლში გავყვებოდი. გავყვევი სახლში და ჩემი ფული დავიბრუნე, გრენადერებს კი თორმეტი ფრანკი მივეცი სასმელისთვის.

ერთი თვის შემდეგ იმპერატორი პარიზში დაბრუნდა,<sup>3</sup> მონაყო დიდი ალღუმი და მცირე ხნით დედაქალაქში დარჩა. ერთხელ შუალამით, როცა მის კარებს ვდარაჯობდი, ვახშამი მომთხოვა. მისი საჭმელი ყოველთვის გვერდით მქონდა და ლოგინში მივარ-

---

დღევანდელი Rue Feydeau, მდებარეობს Rue de Richelieu-ისა და Rue Réaumur-ის კუთხეში.

რუსტამის შენიშვნა: იგი წარმოშობით ბერძენი იყო.

რუსტამის შენიშვნა: იგი სენ კლუში იმყოფებოდა.

თვი, სადაც დედოფალთან ერთად იყო. მოულოდნელად იმპერატორმა მკითხა:

- რუსტამ, შენ უკვე ალბათ გამდიდრდი, რამდენი გაქვს ფული?  
- დიახ, სირ, თქვენს უდიდებულესობასთან მსახურობის ბედნიერება არის ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრე, - ვუპასუხე მე.

მან შემანწყვეტინა:

- კარგი, ფული თუ დამჭირდება, შეგიძლია მასესხო?

- სირ, ჯიბეში სულ თორმეტი ლუიდორი მაქვს. შემიძლია სულ დაგიტმოთ. - ვუპასუხე მე.

- შეხედე ერთი, მეტი არაფერი გაქვს?

- არა, სირ.

მან გამოკითხვა დამიწყო:

- რამდენს იღებ ხელფასს?

- არაფერი მჭირდება, სირ. არაფერი მაკლია, ძალიან ბედნიერი ვარ.

- შენ ის მითხარი, რამდენს იღებ ჩემთან მსახურში?

არ მსურდა სიმართლის თქმა, მაგრამ დაიწყო სასახლის მმართველის მუსიე ფიშერის ლანძღვა და მითხრა:

- მითხარი, რამდენი გაქვს ხელფასი!

- არაფერი, სირ, არაფერს ვითხოვ, ამიტომ არაფერს მიხდიან,

- გამოვუტყდი.

ეს მისთვის მოულოდნელი იყო.

- როგორ თუ? ორი წელია ჩემთან მსახურობ და აქამდე ფული არ მიგიღია?

- მაპატიეთ, სირ. ეგვიპტიდან ქაშმირის ყელსახვევი წამოვიღე. ამ დღეებში გავეყიდე და თამბაქოს და სხვა წვრილმანების ყიდვა მოვახერხე.

ეს რომ მოისმინა, კვლავ ფიშერის ლანძღვა დაიწყო და მიბრძანა მომეყვანა. რადგან არ შემეძლო იმპერატორის კარების მიტოვება, მის მოსაძებნად მოსამსახურე ბიჭუნა გავაგზავნე. დამინახა თუ არა, ფიშერმა მკითხა: „იმპერატორი კარგ ხასიათზეა? რატომ დამიძახა ასე გვიან?“

„არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, არაფერია სანერვიულო, ის კარგ ხასიათზეა“. - ვუპასუხე მე.

შევიდა თუ არა მუსიე ფიშერი, იმპერატორმა მაშინვე უსაყვედურა მას:

– რატომ არაფერს უხდით რუსტამს იმპერატორის ხაზინიდან? ჩემთან ბევრი ფრანგი მსახურობს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რუსტამი კი ჩემი უანგარო ერთგულია. დღეს ვიგებ, რომ უკვე ორი წელია ხაზინიდან არაფერს იღებს!<sup>1</sup>

ფიშერი გაფითრდა:

– სირ, ბრძანების გარეშე არაფრის გაკეთება არ შემეძლო.

იმპერატორი ნყოფიდან გამოვიდა:

– თქვენ ნამდვილი იდიოტი ბრძანდებით, უნდა შეგეხსენებინათ ჩემთვის! მე ათასი საქმე მაქვს! ახლავე ჩანერეთ რუსტამი ჩემს კამერდინერებში.

მას არაფერი უთქვამს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაუცემელ ხელფასზე, რომელიც არასოდეს ამიღია.

იმ დღიდან, როგორც სხვები, წელიწადში<sup>2</sup> ათას ორას ლივრს ვიღებდი, ცოტა ხანში კი ხელფასი ორიათას ოთხას ლივრამდე გამეზარდა. მალე იმპერატორის სასახლის სამსახურიც ჩამოყალიბდა და პაჟებიც აიყვანეს. ერთხელ ფიშერმა მითხრა:

– რუსტამ, თქვენ აღარ მოემსახურებით იმპერატორს.

გამიკვირდა:

– რატომ? მე მას ჯერ კიდევ ეგვიპტეში ვემსახურებოდი. ნუთუ ჩემით უკმაყოფილოა?

– არა, უბრალოდ, ძველი წესრიგი აღდგება: ამიერიდან თქვენ უნდა გადასცეთ სუფთა ჭურჭელი პაჟებს, ისინი იმპერატორს მიუტანენ და უკვე გამოყენებულ ჭურჭელს კი უკან მოგიტანენ.

ბუნებრივია, არ დავეთანხმე:

– არა, მე ასე მომსახურება არ მსურს. თუ იმპერატორი იკითხავს, რატომ არ ვემსახურები, ჩემს შეხედულებასაც პირადად გავუზიარებ.

---

<sup>1</sup> დედანშია “vous êtes un imbécile”.

<sup>2</sup> დედანშია “1,200 livres par an”, რაც რუსულ რედაქციაში არასწორად ითარგმნა როგორც „თვეში 1,200 ლივრი“.

ასე შევწყვიტე ბონაპარტისათვის საქმლის მიტანა, მაგრამ მას არაფერი უთქვამს ამაზე.

ერთხელ ნევშატელის პრინცმა<sup>1</sup> იმპერატორის ნადირობაში მონაწილეთა სია შეადგინა და მასში არ აღმოჩნდა მესაჭურველე. პრინცმა ერთი ადამიანი შესთავაზა, მაგრამ იმპერატორმა უარი უთხრა: „ეს ადგილი რუსტამს ეკუთვნის. მან ეს საქმე ბუტესთან ისწავლა და ნადირობისას ყოველთვის ჩემს გვერდით იყო. მით უმეტეს, მეტად პატიოსანი ახალგაზრდაა. ეს გაითვალისწინე“.

ამ საუბრის შესახებ, ბუნებრივია, არაფერი ვიცოდი და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მითხრეს. ნევშატელის პრინცი უკვე დიდი ხანი მპირდებოდა, რომ სენ-ჟერმენის ტყეში ნადირობის ნებას დამრთავდა. მთელი დღე მოუთმენლად ველოდი კურდღლებზე ნადირობას. დილით ბერტიეს მსახურმა მომიტანა დიდი კონვერტი. ჩავთვალე, რომ ეს ნადირობის ნებართვა იქნებოდა, მაგრამ კონვერტში აღმოჩნდა მონშობა, რომლითაც მესაჭურველის წოდება მენიჭებოდა, აქვე ბერტიეს მოლოცვის წერილიც იყო.<sup>2</sup> მესაჭურველის თანამდებობა წელიწადში 2,100 ლივრის შემოსავალს იძლეოდა. დაუყოვნებლივ ვეახლე იმპერატორს მადლიერებისა და ღრმა პატივისცემის გამოსახატად. შეხვედრისას შევპირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი მისი უდიდებულესობის მიერ გამოჩენილი სიკეთის გასამართლებლად.

უცებ ნაპოლეონმა გაიხსენა:

– რუსტამ, ეგვიპტეში რომ გარჯუქე დიდებული დაშნა, მას მერე არ მინახავს, თან რატომ აღარ ატარებ?

ვერ დავუმალე:

---

<sup>1</sup> ნევშატელის პრინცი იყო ალექსანდრე ბერტიე, ნაპოლეონის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და საიმედო გენერალი. ბერტიე შეუდარებელი და შეუცვლელი იყო შტაბის მუშაობაში და მის გენერალურ შტაბს (État Major) ხშირად ნაპოლეონის გამარჯვებების სამჭედლოსაც უწოდებდნენ.

რუსტამის შენიშვნა: ასევე დამევალა იმპერატორის სამხედრო აღჭურვილობაზე ზრუნვა.

- სირ, როდესაც ჩვენ ფრეჟიუსში ჩამოვედით, პრინცმა ბერტიემ მთხოვა ის დაშნა და შემპირდა, რომ პარიზში დამიბრუნებდა, მაგრამ არ ვიცი, აქამდე რატომ არ დამიბრუნა.

იმპერატორი აღშფოთდა:

- ეს არ მომწონს. დღესვე იპოვი ბერტიეს და ჩემი სახელით მოსთხოვ დაშნას.

ბერტიემ დაშნა არ დააბრუნა.

- არავითარი დაშნა მე არ მაქვს, ვერც ვხვდები, რაზე მესაუბრები.

სასახლეში დაბრუნებისთანავე მისი პასუხი იმპერატორს მოვახსენე. იმპერატორმა მასთან ხელმეორედ გამგზავნა. „გამიგე, - მითხრა მისმა უდიდებულესობამ, - შენი დაშნის ამბავი. ბერტიეს უთხარი, რომ დაშნას იმპერატორი მოითხოვს“.

იმავე დღეს კვლავ ვენჯიე ნევშატელის პრინცს.

- შენ ფრანგული ხომ გესმის? - მკითხა მან.

- დიახ, მონსინიორ, - ვუპასუხე მე.

- მაშინ გაიგე, რომ იმპერატორთან მოკლე გარიგება დავდე და ის დაშნა სხვაში გავუცვალე.

- ყველაფერი გასაგებია, მონსინიორ, - ვუპასუხე მე.

როდესაც ნაპოლეონმა გაიგო ამ საუბრის შესახებ, მან თავი გაიქნია, „ბერტიე ნამდვილი არამზადაა. არა უშავს, სხვა დაშნას გაჩუქებ“. მან თავის კარისკაცს მუსიე ებერს უბრძანა, იმპერატორის ყველა დაშნა გამოეტანა, მათ შორის საუკეთესო - დამასკოს ფოლადის დაშნა ამოარჩია და მაჩუქა. მადლობა მოვახსენე და ამის შემდეგ ჩემი დაშნა არავისთვის მიმიცია.

რამდენიმე დღის შემდეგ მალმეზონში წავედით და იქ რამდენიმე დღე გავატარეთ. ერთხელ ძილის წინ იმპერატორმა მკითხა:

- რუსტამ, მარშალი ბესიერი ხომ არ გინახავს დღეს?

- არა, სირ, დღეს არ მინახავს!

- აუცილებლად შეხვდი, შენთვის რალაც გადავეცი.

მეორე დღით მარშალმა ბესიერმა მომცა ხუთასი ლივრის ღირებულების სახელმწიფო აქციები და თამ დააყოლა, რომ ეს იმპერატორის პირადი საჩუქარი იყო. როდესაც ჩვენ უკვე სენ-კლუში ვიყავით, იმპერატორმა, რომელიც ორანჟერეაში სეირნობდა, მკითხა:

- რუსტამ, ნახე ბესიერი?  
- დიახ, სირ, ძალიან მაძლიერი ვარ თქვენი. მან ხუთასი ლივრის აქციები მომცა.

ნაპოლეონმა შემანყვეტინა:

- იქ ბევრად მეტი ღირებულების აქციები უნდა ყოფილიყო. ისევ უხერხულ მდგომარეობაში ჩავყარდი:

- მაპატიეთ, სირ, თვლა კარგად ვიცი. ხუთასი ლივრის ოდენობის აქციებია.

- ვერ დავიჯერებ, ნადი ახლავე და მომიტანე აქციები.

ფასიანი ქაღალდები ჩემს ოთახში მქონდა და უმაღვე მოვუტანე. მან გადახედა და თავი გააქნია:

- რა უნდა ვთქვა, მართალი ყოფილხარ.

შემდეგ დაამატა:

- ვბრძანე შენთვის ცხრაასი ლივრის აქციები გამოეყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბესიერმა ოთხასი ლივრის აქციები თავისთვის დაიტოვა. ძალზე ცუდად მოქცეულა.

იმავე დღეს მან გამოიძახა მარშალი ბესიერი და კარგადაც დატუქსა. ბესიერმა იფიქრა, რომ მე დავაბეზლე იმპერატორთან. მაგრამ არაფერში ვიყავი დამნაშავე. ერთ დღესაც, როდესაც გადავეყარე მარშალს, მან მითხრა, „იმპერატორთან ვიყავი და ყველაფერი ვუამბე. ახლა შენ გიბარებსო“. მე ვუპასუხე, „მონსინიორ, არასოდეს არაფერი მითქვამს იმპერატორისათვის, მხოლოდ მაძლობა გადავუხადე ჩემზე ზრუნვისთვის. რაც შეეხება აქციების რაოდენობას, მან თვითონ მკითხა მათზე. ვფიცავ ჩემს ღირსებას, არ დამიჩივლია!“

სამი დღის შემდეგ ბონაპარტმა თავისი პირადი მდივნის<sup>1</sup> ხელით გამომიგზავნა ოთხასი ლივრის ოდენობის აქციები. ასე შეადგინა ჩემი ფასიანი ქაღალდების ღირებულებამ ისევ ცხრაასი ლივრი.

ჩემი საქმეები კარგად მიდიოდა, მაგრამ მაინც არ შემეძლო დამევიწყებინა ჩემი უბედური დედა და და. კონსტანტინოპოლის

---

რუსტამის შენიშვნა: მუსიე მენევალი.

და სანკტ-პეტერბურგის საელჩოებში თოთხმეტამდე წერილი გა-  
ვაგზავნე, მაგრამ პასუხი არ მომსვლია.

ერთხელ, ნადირობისას, მისმა უდიდებულესობამ მკითხა:

– რუსტამ, გაქვს შენი პორტრეტი?

მე ვუპასუხე:

– დიახ, სირ, ბატონმა იზაბემ ჩემი დაკვეთით შექმნა პორტრე-  
ტი.

– კარგია, დღეს მარშალი ბრიუნი კონსტანტინოპოლში მიდის  
ელჩად. შენი პორტრეტი აუცილებლად გაუგზავნე დედაშენს.

მაინცდამაინც არ გამხარებია ამ შემოთავაზების მოსმენა, რად-  
გან იმპერატორმა ბევრჯერ აღმითქვა დედაჩემის საფრანგეთში ჩა-  
მოყვანა. ამიტომ ვკითხე:

– სირ, თუ თქვენს უდიდებულესობას სურს, ჩემი პორტრეტი  
დედაჩემს მიუვიდეს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ უარი  
თქვით მის ჩამოყვანაზე?

მან ამიხსნა:

– ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ჯერ შენი პორტრეტი გავუგ-  
ზავნოთ, შემდეგ კი ვიფიქროთ მის ჩამოყვანაზე.

პარიზში ცხოვრობდა ერთი სომეხი ვაჭარი, რომელსაც სურდა  
ტარტარეთსა<sup>1</sup> და ყირიმში გამგზავრება, იმ ადგილას პოვნა, სადაც  
დედაჩემი და ჩემი და ბოლოს დავტოვე. მაგრამ ამისათვის მან იმ-  
პერატორის მიერ ხელმოწერილი პასპორტი, სამი ათასი ფრანკი და  
ეკიპაჟი მთხოვა. როდესაც ეს ნაპოლეონს გადავეცი, მან მითხრა:

– ეს სომეხი ამ ყველაფერს იმიტომ ითხოვს, რომ თავისი საქო-  
ნელი წაიღოს გასაყიდად. როდესაც თავის საქმეს მოათავებს, და-  
ბრუნდება და გეტყვის, რომ ვერ იპოვა ვერც დედაშენი და ვერც  
შენი და. წინასწარ არაფერს მივცემ, თქვენი მხარე მისთვის კარ-  
გადაა ნაცნობი და უმიშრად შეუძლია იმოგზაუროს. თუ დედაშე-

---

დედანში გამოყენებულია ტერმინი Tartarie, რომელიც ევროპაში, შუა  
საუკუნებიდან მოყოლებული, კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე  
რეგიონების აღსანიშნავად იხმარებოდა. რუსტამის მემუარების რუსულ  
რედაქციაში ეს ტერმინი არასწორად არის ნათარგმნი როგორც „კა-  
ვკასია“.

ნი ცოცხალია, ჩამოიყვანს, თუ გარდაცვლილია - მაშინ მხარის მმართველისგან მისი სიკვდილის რწმუნება უნდა მიიღოს. ამის შემდეგ არა მარტო ხარჯებს დაეუფარავ, ათი ათას ფრანკსაც მივცემ ჯილდოდ.

დაველაპარაკე ჩემს თანამემამულეს და იმპერატორის სიტყვები გადავეცი, მაგრამ ის ვერაფერს შემპირდა. ამიტომ ისევ განვაგრძე დედისათვის წერილების გზავნა, რომლებიც ისევ უპასუხოდ რჩებოდა.

ამ წლებში მონაწილეობა მივიღე იმპერატორის ყველა ლაშქრობაში. მის გვერდით ვიყავი პირველი ავსტრიული, პრუსიული, პოლონური, მეორე ავსტრიული, ესპანური, რუსეთის, დრეზდენის ლაშქრობებში, საფრანგეთში მომხდარ კამპანიაში, იტალიაში ორჯერ მოგზაურობაში, ასევე ვენეციისა და პოლანდიის მოგზაურობებში. პოლანდიაში მგზავრობის დროს ავად გავხდი, მალალი სიცხეები მქონდა, ამიტომ იმპერატორმა თავისი ეტლით გამამგზავრა პარიზში.

ეგვიპტიდან ჩამოსვლიდან შვიდი წლის შემდეგ, გადავწყვიტე ცოლად შემართო დუვილის ქალიშვილი, რომელიც ძალიან ლამაზი და წარჩინებული ოჯახიდან იყო. მის ოჯახს დიდი ხანია ვიცნობდი. ქალიშვილი თქვესმეტი წლის იყო. ყოველდღე მივდიოდი მის სანახავად, მაგრამ წინადადების შეთავაზებას ვერ ვბედავდი. ავსტრიაში პირველ მგზავრობამდე რამდენიმე დღით ადრე სადილზე მივიპატიუე დუვილი [გოგოს მამა], რომელიც დედოფალ ჟოზეფინას პირველ კარისკაცად მსახურობდა და მისი ახლო მეგობარი ლე-პელტიე. დუვილისთვის ქალიშვილის ხელის თხოვნა მსურდა. სადილის შემდეგ ვუთხარი:

- თქვენ ლამაზი ქალიშვილი გყავთ, მეც ახალგაზრდა ვარ. იღბლიანად ვთვლი თავს, რადგან მასზე დაქორწინება მსურს.

ამის შემდეგ მე და პელტიე დიდხანს ველაპარაკეთ დუვილს, რომ დამთანხმებოდა. ბოლოს მითხრა:

- ჩემი ქალიშვილის მოქმედებასა და ხასიათზე შემძლია თავი დავდო; მაგრამ იმპერატორის კეთილგანწყობისა და თანხმობის გარეშე ამას ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარეყოფ.



რადგან ავსტრიაში ნასასვლელად ვემზადებოდით, თავისი ქალიშვილისათვის წერილების მიწერის ნებართვა ვთხოვე. შევპირდი, რომ იმპერატორს დაველაპარაკებოდი. დამშვიდობებისას ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ და გადავკოცინეთ. იმავე საღამოს დუვილი სასახლეში მუშაობდა და მასთან ხელახლა შეხვედრისას, ვუთხარი: „იმპერატორი თავის ოთახშია. ძალიან მსურს, მისი თანხმობა [ავსტრიაში] გამგზავრებამდე მივიღო“. დუვილს უარი არ უთქვამს: „უკეთესს ვერაფერს გირჩევ, ასე სულსაც დაიმშვიდებ“.

იმპერატორის კაბინეტში შევედი. მან მკითხა:

- აბა, რუსტამ, რა გინდა? იარალი ხომ სრულ მზადყოფნაშია?

- დიახ, სირ. მაგრამ მე თქვენს უდიდებულესობასთან სხვა თხოვნა მაქვს.

- მითხარი, რა ხდება?

- თქვენი უდიდებულესობა იცნობს დუვილს, რომელიც დედოფალს ემსახურება. მას ახალგაზრდა, მშვენიერი ქალიშვილი ჰყავს, ოჯახის ერთადერთი შვილი. მინდა მასზე დაქორწინების თანხმობა მომცეთ.

ბონაპარტმა მკითხა:

- ჰმ, ბევრი ფილონე თუ აქვთ?!

პატიოსნად ვუპასუხე:

- ვფიქრობ, რომ არა, მაგრამ, სამაგიეროდ, მაქვს ბედნიერება ვემსახურო თქვენს უდიდებულესობას, ამიტომ დარწმუნებული ვარ, სხვა არაფერი დამჭირდება.

- მაგრამ ჩვენ ხომ რამდენიმე დღეში [ავსტრიაში] მივემგზავრებით, შენ საკმარისი დრო არ გაქვს.

- ჩემთვის საკმარისია თქვენი უდიდებულესობის თანხმობა, დაბრუნების შემდეგ დაექორწინდები.

- მაშინ თანახმა ვარ. რომ დავბრუნდებით, მე თვითონ დაგაქორწინებთ.

---

ნაპოლეონი ხშირად ურევდა ფრანგულ და იტალიურ სიტყვებს. ამ შემთხვევაში გამოყენებულია იტალიური სიტყვა „ფილონი“, რომელიც ნიშნავს ფულს, ვერცხლს.

მეფესავით ბედნიერი, მაშინვე მივედი დუვილთან და ეს დიდებული ამბავი შევატყობინე. მასაც ძალიან გაუხარდა, გადამოცნა.

მეორე დღეს ეს ამბავი დუვილის ცოლსა და ქალიშვილს შევატყობინე, რომლებმაც, რასაკვირველია, ყველაფერი უკვე იცოდნენ. მათ თბილად მიმიღეს. რამდენიმე დღეში კი არმიასთან ერთად [ავსტრიისკენ] გავეშურე. ვიურტემბერგისა და ბავარიის სამეფოების გავლით ვენაში ჩავედით, საიდანაც აუსტერლიცისკენ გავეშურეთ. სწორედ იქ გავიმარჯვეთ გამამწყვეტ ბრძოლაში.

ბრძოლიდან სამი დღის შემდეგ იმპერატორი შეხვდა ავსტრიის იმპერატორს. გავეშურეთ შენბრუნში, ვენიდან ერთ მილში, სადაც ავსტრიის იმპერატორის დიდი სასახლე იდგა.

ერთ დილას მეგობრებთან ერთად ვენაში გავიარე, ვისადილეთ, დრო სამ საათამდე შეუმჩნევლად გავიდა. მოულოდნელად ერთი სასახლის მოსამსახურე დავინახე, რომელიც ცხენზე ამხედრებული მიდიოდა ქუჩაში. ვკითხე, რა იყო ახალი. „დილიდან ახალი არაფერიაო“ – მოკლედ მომიგო მან. მაინც დავუნყე გამოკითხვა, რადგან დილიდან ვენაში ვიმყოფებოდი. მან მოულოდნელად მაცნობა, რომ დილას სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. იმპერატორი ხვალ მიუნხენში მიემგზავრებაო.<sup>1</sup> იმ დღეს ყველაზე ბედნიერ ადამიანად ვგრძნობდი თავს, რადგან მსოფლიოში მშვიდობა სუფევდა, შემძლო პარიზში დაბრუნება და ცოლის პერთვა, როგორც იმპერატორი დამპირდა.

ჯერ მიუნხენში გავჩერდით და რამდენიმე დღის შემდეგ დედოფალიც შეუერთდა იმპერატორს, რომელიც ვიცე-მეფისა და ბავარიის პრინცესის ქორწინებას დაესწრო.<sup>2</sup> დიდებული ზეიმი

---

<sup>1</sup> რუსულ თარგმანში ჩამატებულია წინადადება, „ამასთან დაკავშირებით ავსტრიის მეფე უკვე გავემგზავრა მიუნხენში“. ხელნაწერში რუსტამი მოკლედ აღნიშნავს, „La paix est signée depuis ce malin; il est parti déjà un service pour Munich“. ამასთანავე, ავსტრიის ხელმწიფეს იმპერატორის ტიტული გააჩნდა.

საუბარია ყოზეფინა დე ბოგარნეს შვილის – ეფენის (რომელიც ნაპოლეონმა დანიშნა იტალიის ვიცე-მეფედ 1805 წლის ივნისში და ოფიციალურად იშვილა 1806 წლის იანვარში) და ბავარიის მეფის – მაქსიმელიან I ყოზეფის ქალიშვილის – ოგასტა ამალია ლუდოვიკა ჯორჯიას ქორწინებაზე, რომელიც 1806 წლის 14 იანვარს შედგა.

მოგვიწყვეს, სალამოს ქალაქი საზეიმოდ იყო გაჩირალდნებული. იმპერატორი ხშირად დადიოდა სანადიროდ ძალღებითურთ<sup>1</sup> და მე თოფებს ვუტენიდი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ვურცბურგში წავედით, სადაც იმპერატორისა და დედოფლის პატივსაცემად დიდი მიღება მოაწყვეს.

ერთ დღეს იმპერატორი ვიურტემბერგის მეფესთან<sup>2</sup> ერთად სანადიროდ წავიდა. მან ნადირობისას მეფეს ძვირფასი კარაბინი აჩუქა. ვინაიდან იმპერატორის მესაჭურველე ვიყავი, ამ კარაბინის მეფისათვის მირთმევა სწორედ მე დამევალა.

რამდენიმე დღის შემდეგ პარიზში დავბრუნდით. იმპერატორმა მაშინვე ცოლის შერთვის ნება დამართო, მაგრამ იუსტიციის მინისტრს<sup>3</sup> და პარიზის არქიეპისკოპოსს<sup>4</sup> არ სურდათ ამის გაკეთება, რადგან კათოლიკე ქრისტიანი არ ვიყავი. მე ვარწმუნდებდი მათ: „მე ქართველი ვარ,<sup>5</sup> ხოლო ქართველები ქრისტიანები არიან-მეთქი“, მაგრამ მაინც იძულებული გავხდი, ისევ იმპერატორისათვის მიმეშართა, რომელმაც ორი წერილი მომცა, ერთი იუსტიციის მინისტრისათვის, მეორე კი პარიზის არქიეპისკოპოსისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ, ჩემი დაბრუნებიდან ერთი თვის თავზე, როგორც იქნა, დაექორწინდი. იმპერატორი იმდენად გულუხვი გა-

---

რუსულ თარგმანში დამატებულია „ძალღებით ან ძალღების გარეშე“. 1806 წლის 1 იანვარს ნაპოლეონმა მეფობა უბოძა ვურტემბერგის პერცოგს ფრედერიკ II-ს.

დედანშია „Grand Juge“, რაც საფრანგეთის იუსტიციის მინისტრს (Grand Juge Ministre de la Justice) ნიშნავს. რუსულ თარგმანში ეს თანამდებობა არასწორად არის თარგმნილი როგორც „ნოტარიუსი“. 1802-1813 წწ. საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი იყო კლოდ ამბრუაზ რენიერი, მასას პერცოგი.

პარიზის არქიეპისკოპოსი იყო ჟან ბატისტ დე ბელი-მორანგლი, რომელიც 98 წლის ასაკში გარდაიცვალა 1808 წლის ივნისში.

<sup>5</sup> დედანშია „Je suis géorgien“, ხოლო რუსულ თარგმანში – „მე დიდხანს ეუხსნიდი, რომ საქართველოში დავიბადე.“ რუსტამის მემუარების პირველი თავის გათვალისწინებით, ალბათ მართებულია ამ წინადადების თარგმნა როგორც „საქართველოში დავიბადე“.

მოდგა, რომ ჩვენს საქორწინო კონტრაქტს მოაწერა ხელი და ქორწინების მთელი ხარჯები თავის თავზე აიღო.<sup>1</sup>

იტალიაში პირველი მგზავრობის<sup>2</sup> დროს, როდესაც იმპერატორმა [იტალიის სამეფოს] მეფის გვირგვინი დაიდგა, ისე სწრაფად მივინევდით წინ, რომ ყველა დაიტანჯა უძილობისა და დაღლილობისაგან. მხოლოდ ერთხელ, მცირე ხნით, შეეჩერდით სტუპინჯის სასახლეში,<sup>3</sup> რომელიც ტურინიდან ერთი ლიეს მოშორებით მდებარეობდა. იმპერატორმა რამდენჯერმე ინადირა ირემზე, მე მუდამ მის გვერდით ვიყავი და კარაბინს ვუტენიდი. დედოფალმა სთხოვა იმპერატორს:

– ერთი-ორი დღით აქ დავრჩეთ, რადგან ყველანი დაღლილი ვართ.

მაგრამ იმპერატორი არ დათანხმდა:

– ამ ბოლო დროს თქვენ მეტად ნაზები გახდით. შეხედეთ რუსტამს, დილიდან საღამომდე ჩემს გვერდით მგზავრობს, მაგრამ არ იღლება და მუდამ კმაყოფილად და უშურველად გამოიყურება.

მეორე დილას ალექსანდრიაში ჩავედით, შემოვიარეთ მარენგოს ველი, სადაც [1800 წელს] დიდი ბრძოლა მოხდა. იმპერატორმა ერთი ღამე გაატარა მილანში, მისთვის სპეციალურად გამზადებულ სასახლეში. ჩვენ აქ ერთი თვის შემდეგ დავბრუნდით, მანამ კი პე-

---

<sup>1</sup> რუსტამის ქორწილი 12 თებერვალს შედგა და ნაპოლეონმა იქ 1,341 ფრანკი დახარჯა.

რუსულ თარგმანში ეს ფრაზა არასწორად არის თარგმნილი, როგორც „პირველი იტალიური ლაშქრობა“. იტალიაში ნაპოლეონის პირველი ლაშქრობა ჯერ კიდევ 1796-1797 წწ. მოხდა, ხოლო რუსტამი 1805-1806 პერიოდზე საუბრობს. ამასთან, ფრანგულ ხელნაწერში ცხადად არის დანერილი „voyage“.

სტუპინიჯი არის სარდინიის მეფის – ვიქტორიო ამადეო II-ის მიერ აშენებული დიდებული სასახლე, რომელიც თავდაპირველად სარდინიის მეფეთა ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, მაგრამ 1729 წელს, არქიტექტორ ფილიპო ჯუვარას ხელმძღვანელობით, „სანადირო ქოხად“ (palacina di caccia) გადაიქცა და 137 ოთახს, 17 გალერეას და ჩინებულ პარკს მოიცავს. სასახლე, რომელიც ამჟამად ხელოვნების მუზეუმია, გამოცხადებულია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად.

რიოდულად ვმოგზაურობდით [იტალიის] სამეფოში. შემდეგ ბონა-პარტმა გვირგვინი დაიდგა და მონ სენისა<sup>1</sup> და ლიონის გავლით დაებრუნდით ფონტენბლოში. ჩვენ [იმპერატორიც და მისი ამა-ლა] პირველები ჩავედით, ხოლო დანარჩენი ეტლები და მხედრები მნიშვნელოვნად ჩამოგვრჩნენ, მათ მხოლოდ ერთი დღის შემდეგ მოახერხეს ნამონევა.

ჯერ კიდევ მამლუქთა იმ ესკადრონში ვირიცხებოდი, რომელიც იმპერატორის გვარდიის ნაწილი იყო.<sup>2</sup> ცოლის მოყვანის შემდეგ სამხედრო სამსახურის დატოვება მსურდა, მაგრამ სამხედრო ანაზღაურების მიღების გამო ვაყოვნებდი. თუმცა სამი წლის განმავლობაში არაფერი მიმიღია. ამის გამო რამდენჯერმე მივწერე ბატონ [პიერ] მერას, მამლუქთა ესკადრონის კვარტირმეისტერს, მაგრამ ჩემი თხოვნა უპასუხოდ დარჩა. როდესაც მეოთხეჯერ მოვიტხოვე ანაზღაურება, გავაფრთხილე, რომ თუ არ გადამიხდიდნენ, იმპერატორს ვეტყოდი. მუქარამ გაჭრა, რადგან მერამ თავის პოლკოვნიკს, ბარონ დელეტრის, ესკადრონის უფროსს წარუდგინა ჩემი განცხადება. პოლკოვნიკმა [დელეტრიმ] მოკლედ მიპასუხა – ჩემი განცხადების ბოლოს რამდენიმე სიტყვა მიანერა: „ხელქვეითი ვალდებულაა, დაემორჩილოს თავის მეთაურს. თქვენ შესახებ იმპერატორს მოვახსენებ“. მე დაუყოვნებლივ ვუპასუხე: „იმპერატორს წერილს რომ მისწერო, პირადად მე გამომიგზავნეთ, დღე და ღამ მის გვერდით ვიმყოფები და, გპირდებით, უშუალოდ მას გადავცემ“. პასუხი ამ შეთავაზებაზე არ მიმიღია.

---

<sup>1</sup> მონ სენისი (Mont Cenis) საფრანგეთსა და იტალიას შორის მდებარე უღელტეხილია (ზღვის დონიდან 2083 მ.), სადაც ნაპოლეონი 1803 წლიდან გზატკეცილს აშენებდა. XIX საუკუნეში მონ სენისი საფრანგეთიდან იტალიაში მგზავრობის ძირითადი გზა იყო.

რუსული თარგმანის რედაქტორებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს. „იმპერატორის გვარდია“ ნათარგმნია როგორც „იმპერატორის დაცვის სამსახური“, ხოლო მამლუქთა ესკადრონი აღწერილია, როგორც გვარდიის „ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი“, თუმცა დედანში ამაზე არაფერი წერია. ამასთან, მამლუქთა ესკადრონი, თავისი სიძლიერიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ვერანაირად ვერ იქნებოდა გვარდიის უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფი.

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი მერა დილით ადრე სამოქალაქო ტანსაცმლით პირადად გამოცხადდა სენ კლუში, ჩემს სახლში. ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც იგი ჩემს წინ დაჯდა და დაიწყო გულახდილი საუბარი:

- თქვენი წერილი მივიღე, მაგრამ არ მომეწონა თქვენი საუბრის ტონი.

- შესაძლებელია, ძალიან გაბრაზებული ვიყავი, რადგან უკვე მეოთხეჯერ გწერდით. თქვენ რომ მესამე წერილზე მაინც გეპასუხათ, მეოთხე წერილი ასეთი უხეში არ იქნებოდა. მხოლოდ ორი დღის წინ მივიღე თქვენგან ერთადერთი წერილი, რომელსაც დიდი ხანი ველოდი. წერილში მუსიე დელატრეს ხელით ეწერა: ხელქვეითი ვალდებულია დაემორჩილოს თავის მეთაურსო. თქვენ გგონიათ, მისი მუქარა შემაშინებს? არა, უმჯობესია, მან ასეთი მოსაზრებები თავიდან ამოიგდოს, მასთან არავითარი საქმე არ მაქვს. ჩემი მეთაური თვით იმპერატორია, სხვას არავის ვცნობ. თუ კიდევ მივიღებ ასეთ მუქარებს, დაუყოვნებლივ ვაცნობებ იმპერატორს, თუ რას ვფიქრობ მუსიე დელეტრესა და თქვენზე. უკვე სამი წელია, არაფერი მითხოვია. არ მესმის, რატომ არ მიხდით მამლუქის ანაზღაურებას?

- ოფიცრის წოდება მივიღე და თქვენი ფული ცხენების საყიდლად დავხარჯე.

- საქმე ხომ მხოლოდ ფული არ არის. თქვენი მხრიდან, ცოტა არ იყოს, უნამუსობა იყო, რომ ჩემს არც ერთ წერილს არ უპასუხეთ.

ამ დროს ჩემმა ცოლმა, რომელიც იქვე იდგა, საუბრის თემის შეცვლა გადაწყვიტა, რომ ჩვენი საუბარი დავით არ დასრულებულიყო. მივუთითე, არ ჩარეულიყო საქმეში, რომელიც მას არ ეხებოდა. როდესაც გავიდა, მერას დავუბრუნდი:

- რა უფლება გაქვთ, არ გადამიხადოთ მამლუქის ანაზღაურება ამდენი ხნის განმავლობაში? ახლა ჩემთან ბრძანდებით და სანამ არ გადამიხდით დავალიანებას, აქედან ფეხს ვერ გაადგამთ. თუ უარს იტყვით, ვეტყვი გვარდიელებს, რომ დაგაპატიმრონ, თქვენი დანახარჯების შესახებ კი მარშალ ბესიერს შევატყობინებ (იგი უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა).

მერამ უკან დაიხია:

– კარგი, ახლა მხოლოდ სამასი ფრანკი მაქვს, გთხოვთ, აიღოთ, დანარჩენს მოგცემთ მოგვიანებით, როდესაც ფული მექნება.

მე ვუპასუხე:

– არავითარ შემთხვევაში. მე ავიღებ ამ სამას ფრანკს თუ თქვენ მომცემთ გვარდიის ეგერთა კვარტიმეისტერის მიერ დამტკიცებულ ხელწერილს ვალის გადახდის თაობაზე. ამ ხელწერილში გათვალისწინებული იქნება, რომ თქვენ ყოველთვიურად, ვალის სრულ დაფარვამდე, მე ან მაღამ რუსტამს გადმოგვცემთ ას ფრანკს.

როდესაც ვალი მთლიანად დაფარეს და მთელი თანხა ჩემს ხელთ იყო, მხოლოდ მაშინ წარვუდგინე მარშალ ბესიერს ჩემი სამსახურიდან დათხოვნის განცხადება. მისი თანხმობის შემდეგ განცხადებას ხელი მოაწერეს იმპერატორის გვარდიის პოლკოვნიკებმა, გენერლებმა და მარშლებმა. ჩემი ცოლი გახარებული იყო იმით, რომ სამხედრო სამსახურიდან წამოვედი. ამის შემდეგ მე აღარაფერი მესაქმებოდა მამლუქთა ესკადრონში.

იმავე წელს ალჟირის დეიმმა იმპერატორს გამოუგზავნა რამდენიმე ცხენი, წყვილი მოჩუქურთმებული დამბაჩა და ძვირფასი მარჯნით მორთული თოფი.<sup>1</sup> ეს ყველაფერი იმპერატორის პირად მისაღებში ელაგა. მინდოდა კაბინეტში შევსულიყავი და დამელაგებინა ეს ნივთები, მაგრამ ბატონმა ებერმა, იმპერატორის პირველმა კამერდინერმა, მითხრა: „იმპერატორის ნებართვის გარეშე არ უნდა შევდიოდეთ მის ოთახში“. იმავე დღეს, როდესაც იმპერატორს კაბინეტამდე ვაცილებდი, მან მისაღებში დალაგებულ იარაღს ჩაუარა. მე ვკითხე:

– სირ, თქვენი უდიდებულესობა თანახმაა, რომ ეს იარაღი შევიტანო თქვენს კაბინეტში და დავალაგო?

ის შეჩერდა:

– აბა მაჩვენე, რა იარაღია?

მან დაკვირვებით დაათვალიერა თოფი და მითხრა:

---

რუსულ თარგმანში ნახსენებია „კარაბინები“, მაგრამ დედანში რუსტამი საუბრობს მხოლოდ ერთ თოფზე, *canardière*, რომელიც წარმოადგენდა ფრინველებზე სანადირო გრძელლულიან თოფს.

- კარგია, ნაილე თოფი, გჩუქნი, და დამბაჩებიც გაიყოლე, ერთ-ნაირებია. ყველაფერი შენს ოთახში შეიტანე.

ჩემი ცოლი ორსულობის მეშვიდე თვეში იყო, როდესაც პრუსიულ და პოლონურ ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად გავემგზავრე. ეს კამპანიები თერთმეტი თვე გაგრძელდა. პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლა იენასთან გაიმართა, სადაც იმპერატორმა მთელი პრუსიული არმია გააცამტვერა. ბრძოლის დაწყებამდე, ღამით, იმპერატორმა გადანყვიტა ორი მარშლის, ბორგეზეს პრინცის, სასახლის მმართველის დიუროკის და ჩემი თანხლებით (მე მას არასოდეს ვტოვებდი) ნასულიყო წინა პოზიციებზე. მან მოიარა მარცხენა ფლანგი და შემდეგ მარჯვენა ფლანგის გუშაგების მონახულება მოისურვა. როგორც კი მივუახლოვდით მათ, გუშაგებმა მოულოდნელად ცეცხლი გაგვიხსნეს, ვინაიდან მტრები ვეგონეთ. იმპერატორს ყველა მხრიდან შემოვეხვეით, რომ ტყვია არ მოხვედროდა და ავყვირდით: „შენყვიტეთ სროლა, ფრანგები ვართ!“ ცოტა ხანში ცეცხლი შეწყდა და მთელები და უვნებლები, ჩვენს რიგებს დავუბრუნდით.

იმპერატორი დასაძინებლად მდელიოზე დანვა. მე მივეცი ღამის ჩაჩი და გადავაფარე ლაბადა, რომელიც ყოველთვის თან დამქონდა და თივისაგან კარავში ხანოლი მოვუნყვე. ბრძოლა დილის შვიდ საათზე დაიწყო, ღრუბლიანი და ტენიანი დღე იყო, არაფერი ჩანდა, ათი საათისთვის კი ნისლი გაიფანტა და მშვენიერი ამინდი დადგა. ბრძოლის დღე ნაპოლეონმა იენაში გაატარა. მეორე დილას გაათავისუფლა ყველა ტყვე და განუცხადა მათ: „მე საქსონელებს არ ვებრძვი!“ ამასთანავე პრუსიელების საფრანგეთის სიღრმეში გაგზავნაც ბრძანა.

რამდენიმე დღის შემდეგ იმპერატორი, თავისი გვარდიის თანხლებით, ბერლინში შევიდა და ღამე [პრუსიის] მეფის სასახლეში გაატარა. ამის შემდეგ იგი, პოზნანის გავლით, ვარშავისკენ გაეშურა. რალაც დროის განმავლობაში ამ პოლონურ ქალაქში დავრჩით, შემდეგ პულტუსკისკენ გავემართეთ, სადაც ბრძოლა გავუმართეთ



რუსებს, დავამარცხეთ ისინი და ხელთ ჩავიგდეთ ბევრი ტყვე და ზარბაზანი.<sup>1</sup>

სასტიკი ზამთარი იყო, ჯარისკაცები ნუნუნებდნენ სიცივეზე, თუმცა ყინვა არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც შემდგომ რუსეთში გამოვცადეთ. [პოლონეთში ყოფნისას] მივიღე ნერილი სიდვდრისაგან, რომელიც იუნყებოდა, რომ ჩემმა ცოლმა ვაჟი გააჩინა. სიხარულისაგან ვტიროდი და მეფესავით ბედნიერი ვიყავი. მაშინვე შევატყობინე იმპერატორს, რომ ჩემმა მეუღლემ ბიჭი გააჩინა. მან თქვა: „მშვენიერია, ერთი მამლუქით მეტი მეყოლება. იმედი მაქვს, შენი ღირსეული მემკვიდრე იქნება“.

ცოტა ხანში ეილაუსკენ დავიძარი, სადაც კიდევ ერთი გამარჯვება მოვიპოვეთ. მტერს ნავართვით ოცდახუთი ქვემეხი და არც ისე ბევრი ტყვე, მაგრამ, ამავე დროს, გაცილებით დიდი დანაკარგი განვიცადეთ.<sup>2</sup> ბრძოლის ველზე დაცემული უამრავი დაჭრილი დიდ თოვლში იყო ჩაფლული. ბევრ ადგილას მხოლოდ

---

<sup>1</sup> პულტუსკის ბრძოლა 1806 წლის 26 დეკემბერს მოხდა, მაგრამ მასში პირადად ნაპოლეონს არ მიუღია მონაწილეობა. საფრანგეთის მარშალი ლანი, დაახლოებით 25,000 კაციანი კორპუსით, შეეგება რუსეთის არმიას (დაახლოებით 35,000 კაცი), რომელსაც გენერალ ლეეინ ბენიგსენი მეთაურობდა. ბრძოლა მეტად სისხლისმღვრელი გამოდგა და ვერცერთ მხარეს ვერ მოუტანა სანადელი გამარჯვება; ბრძოლის შემდეგ ორივე მხარემ გამარჯვება გამოაცხადა, თუმცა რუსული ჯარი იძულებული გახდა, უკან დახეულიყო. ფრანგებმა შვიდი, ხოლო რუსებმა – ხუთი-ექვსი ათასი ადამიანი დაკარგეს.

<sup>2</sup> ეილაუსთან ბრძოლა 7-8 თებერვალს მოხდა. ის ნაპოლეონის ომებიდან ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი შეტაკება იყო. ფრანგულმა ჯარმა, იმპერატორ ნაპოლეონის უშუალო ხელმძღვანელობით, ძლიერი იერიში მიიტანა დაბა პრეისიშ ეილაუსთან განლაგებულ რუსულ ჯარზე (ბენიგსენის მეთაურობით) და რუსების მარცხენა ფლანგზე მიღწეული წარმატების მიუხედავად, ვერ შეძლო მათი დამარცხება. ბრძოლა მეტად რთულ პირობებში (დიდთოვლიანობა, ქარბუქი, ყინვები) წარიმართა და ორივე მხარემ მძიმე დანაკარგი (მთლიანობაში 40,000 კაცამდე) განიცადა. ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა, რადგან ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა, თუმცა რუსული ჯარის უკან დახევამ მისცა ნაპოლეონს სამუალება ეილაუსაკუთარ გამარჯვებად გამოეცხადებინა.

მათი თავები მოჩანდა. ბრძოლისას ყველა აუცილებელი სალაშქრო ნივთი თან მქონდა. სალაშქრო ჩანთაში მედო ერთი ბოთლი არაყი, რომელსაც ჩვენს დაჭრილებს ვაძლევდი, რომ ამ სიცივეში ცოტა გონს მოსულიყვნენ. ეილაუს ბრძოლაში გაყინვას გადავრჩი, რაშიც მიშველა ბატონმა ბონგარმა, ნევშატელის პრინცის ადიუტანტმა.<sup>1</sup> რამდენიმე დღიანი უძილობის შემდეგ გადაღლილი ცხენის ლაგამს მაგრად მოვეჭიდე და თავი ჩავქინდრე, რომ ცოტა დამესვენა, ზარბაზნების გრუხუნის მიუხედავად, ჩემდა შეუმჩნევლად ჩამეძინა და შუა ნელამდე თოვლში ჩავეფალი. ბატონმა ბონგარმა შეამჩნია ეს, ჩემთან მოირბინა და დამიყვირა: „შე უბედურო, რას აკეთებ?! ახლავე გამოფხიზლდი, თორემ გაიყინები!“

ამ დროს იმპერატორი ცხენზე შეჯდა, მეც მიყვევი. ბატონი ტორნერი, იმპერატორის კარისკაცი, გამოგვედევნა. მან ვერ გაბედა ახლოს მოსვლა – გარშემო ჭურვების ნამსხვრევები და ტყვიები ცვიოდა. ამ აურზაურმა მისი ცხენი დააფეთა და ტორნერი თოვლზე, ისე, როგორც ლეიბზე, დაეცა. მან ამომძახა: „ბატონო რუსტამ, ცხენზე შეჯდომის თავი აღარ მაქვს და შტაბში ვბრუნდები! გვეედრებით, იმპერატორს შეატყობინოთ, რომ ცხენიდან ჩამოვვარდი და ველარ გავყვები“. ყველამ ხმამაღლა გადაიხარხარა. იმპერატორს არც უკითხავს ტორნერის ამბავი და არც მე მითქვამს მისთვის არაფერი.

ბრძოლიდან რამდენიმე დღეში ოსტროდაში<sup>2</sup> გავეშურეთ, ჯარი დავაბანაკეთ და რამდენიმე დღით გავჩერდით იქ. ერთ საღამოს იმპერატორი ნევშატელის პრინცთან, სასახლის მმართველ დიუროკთან და სხვებთან ერთად ბანქოს თამაშობდა. მან ცოტაოდენი ფული მოიგო, შემდეგ თავისთან მიხმო და გულუხვად დამასაჩუქრა ხუთასი ფრანკით: „აი, ეს წილი შენი იყოსო“. ამის შემდეგ იმპე-

<sup>1</sup> ეოზეფ ბართელემი კლერი, ბონგარის ბარონი (1762-1833).

<sup>2</sup> ქალაქი ჩრდილოეთ პოლონეთში, ვარმინო-მაზურის საეოვეოდოში.

რატორმა თავისი შტაბი ფინკენშტიინში<sup>1</sup> გადაიყვანა, სადაც გაზაფხულამდე ვისვენებდით.<sup>2</sup>

ამ დროს იმპერატორთან ერთად ხშირად დავდიოდი დანციგში, მარიენვერდერში და მარიენბურგში. ყველა მშვიდობაზე საუბრობდა, რამაც, რა თქმა უნდა, ძალიან გამახარა. იმედი მქონდა, რომ შინ დავბრუნდებოდი და ოჯახური ბედნიერებით დავტკბებოდი. უკვე ათი თვე გასულიყო, რაც ჩემი მეუღლე არ მენახა, თუმცა იმპერატორის ფოსტის მეშვეობით თითქმის ყოველდღე ვიღებდი მისგან ახალ ამბებსა და ცნობებს. ეს მაინც ვერ მამშვიდებდა, მთელი ათი თვე ოჯახურ კერას მოშორება ძნელი იყო.

ერთ დღეს გამოცხადდა მარშალ ნეის ადიუტანტი და შეგვატყობინა, რომ რუსებმა ორმოცი ათასიანი არმიით ნეის კორპუსის პოზიციებს შემოუტიეს, და რომ მარშალს ბრძოლით დაუხვევია უკან თხუთმეტი ლიეს მანძილზე, მაგრამ არც ერთი ჯარისკაცი და ზარბაზანი არ დაუქარგავს. მომდევნო ორი დღის განმავლობაში იმპერატორი თავის არმიას შეტევისთვის ამზადებდა და შემდეგ ნინა ხაზზე გაეშურა, რომ, როგორც ყოველთვის, პირადად ეხელმძღვანელა ბრძოლისათვის. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც იგი მარშალ ნეის შტაბში ჩავიდა და სიცილით ჰკითხა მას: „ღირსეულო ბატონო მარშალო, როგორ მიეცით რუსებს ნება, ჩვენთვის უკან დაეხვეინებინათ?“ ნეიმ გაფიცხებით უპასუხა: „ღირსებას ვფიცავ, სირ, ეს ჩემი ბრალი არ იყო! მათ მოულოდნელად შემოგვიტიეს ბევრად უპირატესი ჯარებით, მე კი იმ დროისათვის მცირე ძალები გამაჩნდა“. ჩემს მზერას არ გამოპარვია, რომ მარ-

---

<sup>1</sup> დღევანდელი პოლონური ქალაქის - კამენეცის გერმანული სახელწოდება. ნაპოლეონი გაჩერდა ფინკენშტიინის სასახლეში, რომელიც პრუსიის ფელდმარშალ ალბრეხტ კონრად რეინჰოლდ ფინკ ფონ ფინკენშტიინმა ააშენა მე-18 საუკუნის დასაწყისში. სასახლე თითქმის მთლიანად განადგურდა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, როდესაც ნითელმა არმიამ მას ცეცხლი ნაუკიდა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ რუსტამი არაფერს ამბობს ფინკენშტიინში საფრანგეთსა და ირანს შორის 4 მაისს ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით ნაპოლეონმა ცნო ირანის ზეგავლენა საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე.

შალს თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა, იგი, რა თქმა უნდა, გაშმაგებული იყო, რომ უკან დახევა მოუნია. ვახშმის დროს ნაპოლეონმა იგი დაამშვიდა, „ისეთი არაფერი მომხდარა, ყველაფერს გამოვასწორებთ“.

მეორე დღეს ჩვენი ჯარის ერთეულებმა ყველა მხრიდან შეუტიეს მტერს და ეილაუს გავლით, სადაც ზამთარში დიდი ბრძოლა გადავიხადეთ, უკუვაგდეთ ფრიდლანდისკენ. მთელ კავალერიას<sup>1</sup> მეთაურობდა პრინცი მიურატი, რომელიც უკვე იმპერატორის ნაცვალის ტიტულს ატარებდა. ფრიდლანდთან რუსების პირისპირ აღმოვჩნდით, რომლებიც მდინარის სანაპიროზე განლაგებულიყვნენ და შეტევისთვის ემზადებოდნენ. მეორე დღეს იმპერატორმა მთავარი ძალები ტყეში განალაგა, ხოლო მსუბუქი ქვეითი ჯარის მცირე დანაყოფებს<sup>2</sup> მტერზე იერიშის მიტანა უბრძანა. მტრის განლაგების სისტემის დადგენისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციების დაკავების მიზნით, ჩვენი მსუბუქი ქვეითი ჯარი დილის შვიდიდან სამ საათამდე იერიშებს აწყობდა. როდესაც იმპერატორმა დაინახა, რომ მონინაალმდევე მდგრად იცავდა პოზიციებს, გადანყვიტა ძლიერი იერიში მიეტანა მთელ პოზიციაზე. მან ასევე უბრძანა მარშალ ნეის, ერთი დივიზიით შეეტია ხიდისათვის, რომელიც ქალაქის უკან მდებარეობდა, ხოლო კიდევ ორი დივიზია მას მარჯვენა ფლანგზე დაუჭერდა მხარს. მარშალმა თავი დაუკრა ნაპოლეონს: „მესმის, სირ, ახლავე შევასრულებთ თქვენი უდიდებულესობის ბრძანებას. ვეცდებით, იმედი არ გაგიცრუოთ“. ამხედრებული ნეი წინ გაუძღვა თავის დივიზიას, ბრძოლით გაიკაფა გზა ქალაქში და მივიდა ხიდთან, რომელსაც მისი ბრძანებით ცეცხლი ნაუკიდეს. რუსეთის არმია ორ ნაწილად გაყოფილი აღმოჩნდა და მარშალმა ნეიმ მათი მარცხენა ფლანგი თითქმის

---

რუსულ თარგმანში არასწორად არის ნათქვამი, რომ მიურატი „დრაგუნებს“ მეთაურობდა. დედანი საერთოდ არ ახსენებს დრაგუნებს.

საუბარია „tirailleurs“ ანუ ქვეითი ჯარისკაცებზე, რომლებიც ბრძოლის დროს ძირითადი საბრძოლო ხაზის წინ ე. წ. ღია წესით (მიმოფანტვით) იკავებდნენ პოზიციებს. მათი მიზანი იყო დამიზნებით გაეხსნათ ცეცხლი მონინაალმდეგის ჯარისათვის.

სრულებით გაანადგურა. სანამ ნეის დივიზია<sup>1</sup> ხიდთან იბრძოდა, დანარჩენმა ორმა დივიზიამ მტერს მარჯვენა ფლანგზე შეუტია. მტერმა ხიდისაკენ უკანდახევა დაიწყო, მაგრამ ხიდი უკვე ინვოდა. რუსებმა გადანყვიტეს, მდინარე ცურვით გადაელახათ, სადაც ჯარის სამი მეოთხედი დაიხრჩო, ხოლო საბრძოლო აღჭურვილობის და ზარბაზნების დიდი ნაწილი ჩვენი ნადავლი გახდა.<sup>2</sup>

ეს იყო სრული გამარჯვება. ნაპოლეონმა გამოიძახა ნეი, გადაეხვია და უთხრა: „ყველაფერი შესანიშნავად იყო, ბატონო მარშალო, თქვენით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბრძოლა თქვენ მოი-

---

რუსულ თარგმანში, გაუგებარი მიზეზების გამო, ნახსენებია „ცხენოსანთა დივიზია“.

სამწუხაროდ, ფრიდლანდის ბრძოლის აღწერისას რუსტამი უამრავ შეცდომას უშვებს, რაც მით უფრო გასაკვირია, რომ იგი ბრძოლის თვითმხილველი იყო და შემდგომში ამ ბრძოლის შესახებ დანერული მასალების გაცნობაც შეეძლო. ფრიდლანდის ბრძოლა 1807 წლის 14 ივნისს მოხდა, როდესაც რუსეთის ჯარის მხედართმთავარმა ლეონტი ბენიგსენმა შეცდომა დაუშვა და არსებული სამხედრო ვითარების გაუთვალისწინებლად, თავისი ჯარი მდინარე ალეს დასავლეთ ნაპირზე განალაგა, სადაც ნაპოლეონის არმია იყო განლაგებული. ბენიგსენი იმედოვნებდა, რომ ადვილად დაამარცხებდა ფრიდლანდის მახლობლად მყოფ მარშალ ლანის კორპუსს და შემდეგ შეძლებდა რუსეთისკენ უკან დახევას. ბრძოლა დილით ადრე დაიწყო, როდესაც რუსეთის ჯარმა იერიში მიიტანა ლანის კორპუსზე. ლანმა მედგრად დაიცვა თავისი პოზიციები და რუსების თითქმის 2,5 უპირატესობის მიუხედავად, შუადღემდე შეაჩერა მტრის წინსვლა. ამასობაში, ნაპოლეონმა შეიტყო ფრიდლანდთან შეტაკების შესახებ და სასწრაფოდ გაეშურა მთელი ჯარითურთ. დღის მეორე ნახევარში ნაპოლეონმა ძლიერი იერიში ნამოიწყო ბენიგსენის პოზიციებზე. ფრანგულმა არტილერიამ, გენერალ სენარმონის ხელმძღვანელობით, დიდი როლი ითამაშა რუსების დამარცხებაში. სწორედ არტილერიამ (და არა ნეის კორპუსმა) დააზიანა მდინარე ალეზე არსებული ხიდები, რითაც რუსებს უკან დასახევი გზა გადაუჭრა. ამავე დროს, რუსტამი ტყუის, როდესაც აცხადებს, რომ ნეიმ ერთი დივიზიითურთ მდინარემდე გაიკაფა გზა და რუსული არმიის მთელი მარცხენა ფლანგი გაანადგურა. რუსეთის მარცხენა ფლანგს გენერალი პეტრე ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ფრანგთა არაერთი იერიში მოიგერია და, მძიმე დანაკარგების მიუხედავად, თავისი ჯარის დიდი ნაწილი მდინარეზე გადაიყვანა.

გეთ". ნეიმ უპასუხა: „სირ, ჩვენ ფრანგები ვართ და ყოველთვის ვიმარჯვებთ“.<sup>1</sup>

სალამოთი ბონაპარტიმა ბრძანა თავისი შტაბის ფრიდლანდში გადატანა. მომდევნო დღეს მან ბრძოლის ველი მოინახულა, შემდეგ კი გაეშურა პრინც მიურატთან, დაბა ტილზიტიდან ორი ლიეს მოშორებით მყოფ მოწინავე რაზმებთან. იმპერატორმა ლამეც იქვე გაათია, მოწინავე ჯარების მიერ დაკავებულ ადგილობრივ ფერმაში. მეორე დღეს მიურატმა შეატყობინა, რომ მტერი ბრძოლისათვის ემზადებოდა და რომ ხუთი თუ ექვსი ათასი ყალმუხი და თათარი ისრებს ისროდა. ნაპოლეონმა მოკლედ მიუგო: „ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს“. მან კირასირთა ერთ დივიზიას უბრძანა, ლაბადები ჩაეცვათ, რომ კირასები<sup>2</sup> დაეფარათ. ისრები ვერ ხვრეტდა კირასებს.<sup>3</sup> დივიზია ბრძოლის ველზე გამოვიდა, პრინც მიურატის წინამძღოლობით შეტევაზე გადავიდა და მტერს კუდიტ ქვა ასროლინა. მან მოწინააღმდეგეს მისდია ტილზიტამდე, სადაც მტერმა მდინარე ნემანზე ხიდი დანვა. საჭირო გახდა მისი აღდგენა.

ამის შემდეგ იმპერატორთან საზავო წინადადებით მოცხადდა ერთი რუსი პრინცი. იმპერატორმა თბილად მიიღო იგი, მაგრამ მასთან ბევრი არ უსაუბრია და თქვა: „მოლაპარაკებას მხოლოდ რუსეთის იმპერატორთან<sup>4</sup> ვანარმოებ!“. პრინცი იმ დღესვე და-

---

<sup>1</sup> რუსტამის შენიშვნა: „იმ დღეს, როდესაც იმპერატორი ბესიერის მამულქთან – მირზასთან ერთად რუკაზე სამხედრო პოზიციებს სწავლობდა, ტყეში წავედი ველური მყაუნას [l'oiseille sauvage] საჭმელად. მოულოდნელად მტრის მიერ ნასროლი ყუმბარა ჩემს ახლობლად აფეთქდა და კინალამ შემინირა“.

კირასა (ლათ. coriaceus) გულისხმობს ფოლადისგან დამზადებულ ჯავმანს, რომელიც ცხენოსნის მკერდს და მუცელს იცავდა.

<sup>3</sup> რუსული თარგმანი კვლავ არასწორია: „მან უბრძანა მთელს დივიზიას, ჩაეცვა ჯაჭვის პერანგები. ხოლო ზემოდან, შენიღბვის მიზნით, ლაბადები, რის შედეგად ვერანაირი ისრები ვერ ავნებდნენ ჩვენს მეომრებს“.

რუსულ თარგმანში „რუსეთის იმპერატორის“ ნაცვლად, ყველგან გამოყენებულია „რუსეთის მეფე“, რაც არასწორია, რადგან 1721 წლიდან მოყოლებული, რუსეთის მბრძანებლები იმპერატორის ტიტულს ატარებდნენ.

ბრუნდა რუსეთის იმპერატორთან, ჩვენ კი ტილზიტის მახლობლად გავათენეთ ღამე. მეორე დღეს ქალაქში იმპერატორისათვის ახალი რეზიდენცია მოამზადეს.

ფრანგულ და რუსულ არმიებს მდინარე ნემანი ჰყოფდა. ყველგან სიმშვიდემ დაისადგურა. იმპერატორმა ბრძანა, სხვადასხვა ფერის გირლანდებით მოერთოთ დიდი სამდინარო ბორანი, სადაც იგი რუსეთის იმპერატორის მიღებას აპირებდა. ორივე იმპერატორი მოპირდაპირე ნაპირებიდან ბორანისკენ გაემგზავრა. როდესაც ისინი პატარა ნაევბით მივიდნენ ბორანთან და ერთმანეთს შეხვდნენ, მთელმა ჯარმა რამდენჯერმე დაიქუხა: „გაუმარჯოს იმპერატორ ნაპოლეონს!“

მეორე დღეს, შუადღისას, რუსეთის იმპერატორი ჩავიდა ტილზიტში, სადაც მას რეზიდენცია მოუნყვეს. იმპერატორმა [ნაპოლეონმა] მისთვის ნემანის ნაპირზე მშვენიერი არაბული ბედაური გაგზავნა, ჩვენი შევსხედით ცხენებზე და მასთან შესახვედრად წავედით. ჩვენი გვარდიის ცხენოსანი და ქვეითი ჯარი საპატიო ყარაულად იდგა ქუჩაზე, სადაც იმპერატორებს უნდა ეცხოვრათ. ნემანის ნაპირზე რუსეთის იმპერატორი ცხენზე შეჯდა და, ფრანგთა იმპერატორთან ერთად, საპატიო ყარაული მოინახულა და ძალიან კმაყოფილიც დარჩა. იმპერატორი რიგრიგობით წარუდგენდა მათ: „აი, ჩემი ცხენოსანი გრენადერები, ესენი ცხენოსანი ეგერები, ისინი კი დრაგუნები არიან, და ა. შ.“

როდესაც ჩვენ მივუახლოვდით შენობას, რომელიც რუსეთის იმპერატორს მოუმზადეს, ფრანგთა იმპერატორმა ხელით უჩვენა:

– აი, თქვენი რეზიდენცია, თქვენო უდიდებულესობავ.

მაგრამ რუსეთის იმპერატორმა უპასუხა:

– სირ, ნება მომეცით, ქუჩის ბოლომდე გამოგყვეთ, დავტკბე თქვენი გვარდიელების ცქერით, რომლებითაც აღფრთოვანებული ვარ.

იმპერატორებმა ქუჩის ბოლომდე გაისეირნეს და დაბრუნებულებმა ფრანგთა იმპერატორის რეზიდენციაში ისადილეს.

ორი დღის შემდეგ ტილზიტში ჩამოვიდნენ პრუსიის მეფე [ფრიდრიხ ვილჰელმ III] და დედოფალი [ლუიზა]. ისინი მენისქვილის სახლში მოენყვინენ და რუსეთის იმპერატორთან ერთად ყოველდღე

სტუმრად დადიოდნენ იმპერატორთან და იქ სადილობდნენ. ერთხელ სადილზე იმპერატორმა ნაპოლეონმა უთხრა პრუსიის მეფეს:

– ვფიქრობ, რომ თქვენი უდიდებულესობა უკვე ველარ იტანს ომს, იმიტომ, რომ არ გაქვთ საფუძველი კმაყოფილი იყოთ ომის შედეგით.<sup>1</sup>

თავდახრილმა მეფემ უპასუხა:

– დიახ, სირ, თქვენმა უდიდებულესობამ ჩემზე უკეთ იცის ეს.

პრუსიის დედოფალი ხშირად დადიოდა იმპერატორის სანახავად. ერთხელ როდესაც მან ბერძნული სტილის ვარცხნილობა გაიკეთა, იმპერატორმა უთხრა:

– თქვენი უდიდებულესობა დღეს თურქულ ვარცხნილობას ატარებს. დედოფალმა უპასუხა:

– ბოდიში მომიხადეთ, სირ, მე რუსტამის მსგავს ვარცხნილობას ვატარებ – მე ამ დროს იმპერატორის გვერდით ვიდექი და მან შემომხედა.

როდესაც ტილზიტში ყოფნისას პრუსიის დედოფალი<sup>2</sup> იმპერატორს წარუდგინეს, მან ის პატარა სალონში მიიღო. მიღება ერთ საათამდე გაგრძელდა. ჩანს, ამ შეხვედრის დროს დედოფალმა ბევრი იტირა, რადგან ოთახიდან გამოსვლისას მისი სახე ჯერ კიდევ

---

<sup>1</sup> 1806 წელს, საფრანგეთთან ომის დროს, პრუსიამ სასტიკი დამარცხება განიცადა და ფრანგთა ოკუპაციის ქვეშ მოექცა.

დედოფალი ლუიზა სახელგანთქმული იყო როგორც სილამაზით, ასევე მეომრული შემართებით და მეფეზე ზეგავლენით. 1805-1806 წწ. იგი წინამძღოლობდა პრუსიის კართან არსებულ მილიტარისტულ ჯგუფს, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა პრუსიის მეფის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადებაში. ომის დაწყებისას ლუიზა თან გაყვა პრუსიულ არმიას, მაგრამ ოქტომბერში იენა-აუერშტადთან განცდილი სასტიკი დამარცხების შემდეგ, იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო. ტილზიტში ყოფნისას იგი ყველანაირად ცდილობდა, ნაპოლეონთან დაზავება პრუსიისათვის სასარგებლო პირობებით მომხდარიყო. ბევრი პრუსიელი მას აღმერთებდა და „ეროვნული სათნოების სულად“ იხსენიებდა, ხოლო შემართების და მეომრული სულისკვეთების გამო ნაპოლეონი მას „პრუსიის ერთადერთ მამაკაცად“ მოიხსენიებდა. ლუიზა 34 წლის ასაკში 1810 წლის ივლისში გარდაიცვალა.



სველი იყო, ხოლო თვალები დასიებული ჰქონდა. ცოტა ხანში იმპერატორს შეატყობინეს, რომ ვახშამი მზად იყო. მაგიდასთან დასხდომამდე მან ნევეშატელის პრინცს უთხრა: „მოკლედ, ბერტიე, პრუსიის კოხტა დედოფალი მეტად ლამაზად ტირის. მას ჰგონია, რომ მე აქ მისი მშვენიერი თვალების გამო გამოვცხადდი“.

მეორე დღეს იმპერატორი ალექსანდრე, პრუსიის მეფე-დედოფალი და დიდი მთავარი კონსტანტინე<sup>1</sup> კვლავ იმპერატორთან ერთად სადილობდნენ. ამჯერად მე პირადად ნაპოლეონს ვემსახურებოდი. პრუსიის დედოფალი და იმპერატორი ალექსანდრე ისე დაყინებით შემომყურებდნენ, რომ ნაპოლეონმა ალექსანდრეს უთხრა:

– სირ, იცით თუ არა, რომ რუსტამი თქვენი ქვეშევრდომი იყო!

მეფეს გაუკვირდა:

– ეს როგორ?

– დიახ, ვინაიდან იგი საქართველოდან არის, საქართველო კი თქვენს სამფლობელოში შევიდა,<sup>2</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ რუსტამი თქვენი ქვეშევრდომია.

ამ დღის შემდეგ ჩემს დანახვაზე ალექსანდრეს ყოველთვის ეღიმებოდა.

ტილზიტში ჩვენი ყოფნისას მუდმივი მხიარულება სუფევდა. საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორები ყოველდღე ათვალეირებდნენ ფრანგული არმიის კორპუსებს, მათ შორის გვარდიას. ჩვენი ჯარი ამ დროისათვის მეტად მრავალრიცხოვანი იყო და 140,000-მდე კაცს ითვლიდა. ყველა გამოცდილი და გამობრძმედილი მეომარი იყო. ყოველ საღამოს ორივე იმპერატორი ხელიხელგაყრილი სეირნობდა ქუჩებში. რამდენიმე დღის შემდეგ [ფრანგთა] იმპერატორის გვარდიამ რუსეთის იმპერატორის გვარდია დიდ ნადიმზე დაპატიჟა. ვარშავიდან, დანცინგიდან და ელბინ-

---

<sup>1</sup> რუსეთის იმპერატორის – პავლეს შვილი და იმპერატორ ალექსანდრეს ძმა.

1801 წლის იანვარში იმპერატორმა პავლემ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა, ხოლო იმპერატორმა ალექსანდრემ ბაგრატიონთა დინასტიის ოჯახის წევრთა გადასახლება წამოიწყო. ამავე დროს, რუსეთი დასავლეთ საქართველოს დაპყრობას ცდილობდა და 1810 წლისათვის სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის შემოერთება შეძლო.

გიდან ჩამოიტანეს მრავალფეროვანი კერძები და დიდი ოდენობით ღვინო. სუფრები უშუალოდ ქალაქის ქუჩებში იყო გაშლილი. სადილის დანყებისას პირველად რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო შეისვა. ცხელი კერძები რომ შემოიტანეს, 600 ზარბაზნის ხმამ შეარყია ზეცა. ნადიმის შემდეგ ფრანგი და რუსი ჯარისკაცები მეტად გამხიარულებულები იყვნენ, მათგან სამი მეოთხედი – ძლიერ მთვრალი. ფრანგები რუსულ მუნდირებს ატარებდნენ, რუსები კი ფრანგულ ქუდებს. ჯარისკაცები ქალაქის ქუჩებში ცეკვავდნენ, ხოლო იმპერატორის რეზიდენციის წინ თუ მოხვდებოდნენ, ცალცალკე თუ ჯგუფურად, მთელი ძაღლონით გაჰყვიროდნენ: „იმპერატორებს გაუმარჯოთ!“

ერთმა რუსმა გრენადერმა<sup>1</sup> ძალზე ბევრი დალია, სულ ბარბაცებდა და ბოლოს დაეცა. ფრანგმა გრენადერმა იგი ფეხზე წამოაყენა და უთხრა: „შენ რა მთლად ჩვენნაირად დადიხარო“. ამ სიტყვების მოსმენისას ყველა იქ მყოფს გაეცინა.

ერთ დილას, როდესაც იმპერატორმა ჩაცმა დაასრულა, შევამჩნიე, რომ საპატიო ლეგიონის ორდენი მის მუნდირზე კარგად არ იყო დამაგრებული. გასწორება მოვიწოდებ, მაგრამ მან ნება არ დამართო: „თავი დაანებე, განზარახ გავიკეთე ასე“. ცხენებზე შევეჯექით და რუსეთის იმპერატორთან შესახვედრად წავედით. როდესაც რუსეთის იმპერატორის თანხლებით გამოვედით გარეთ, იმპერატორმა [ნაპოლეონმა] გასასვლელთან სააღლუმოდ მდგარ რუს გრენადერთა ასეული დაინახა და მიუახლოვდა. ფრანგთა იმპერატორმა რუსეთის იმპერატორს უთხრა:

– ნება მომეცით, სირ, ჩემი საპატიო ლეგიონის ორდენი თქვენს ერთ-ერთ საუკეთესო გრენადერს გადავცე!

მან უპასუხა:

– რა თქმა უნდა, სირ, ის ძლიერ გაიხარებს!

გამოიყვანეს ყველაზე გამოცდილი ჯარისკაცი.<sup>2</sup> იმპერატორმა მოიხსნა ორდენი და რუს მეომარს გაუკეთა, რომელიც ძალიან

---

<sup>1</sup> რუსულ თარგმანში შეცდომით არის მითითებული „არტილერისტი“.

<sup>2</sup> ეს პატივი ერგო ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის გრენადერს ა. ლაზარევს. იმავე საღამოს იმპერატორმა ალექსანდრემ სამხედროს ორდენის წარჩინების მედლით დააჯილდოვა ფრანგი ჯარისკაცი.

ბედნიერი იყო. მან ბონაპარტს ხელზე აკოცა და ყველა ჯარისკაც-მა ერთხმად შესძახა: „გაუმარჯოს დიად ნაპოლეონს!“ ამის შემდეგ შინ დავბრუნდით.

მეორე დღეს დავტოვეთ ტილზიტი, გავიარეთ პოზნანი, გლოგაუ და ჩავედით დრეზდენში. საქსონიის მეფე [ფრიდრიხ ავგუსტუსი] ჩვენთან შესახვედრად მოვიდა, რათა საფრანგეთის იმპერატორს მისალმებოდა. დრეზდენში იმპერატორმა ხუთი დღე გაატარა და ეს დრო მხიარულ ნვეულებებში გავიდა. მთელი ამ დროის განმავლობაში სასახლის მსახურები მზად იყვნენ პარიზში გასამგზავრებად. ყველა ცდილობდა, კორტიეჟში თავისი ადგილი დაეჭირა. მე კი ვერ ვიპოვე ადგილი, რადგან ლაშქრობის დროს იმპერატორს ცხენზე ამხედრებული ვახლდი. ამიტომ იმპერატორის მეჯინიბეს<sup>1</sup> ვთხოვე, ადგილი გამოეძებნა ჩემთვის. მან მიპასუხა: „იმპერატორს სურს, მასთან ერთად იყოთ და მის წინ იმგზავროთ (ჩემთვის საგანგებოდ მოამზადეს მცირე კაბრიოლეტი)<sup>2</sup>, მაგრამ თუ იმპერატორი დაგრთავთ ნებას, შემოძლია, ჩემს ეტლში მოგათავსოთ“. იმპერატორს ვკითხე ამის თაობაზე და მან მოკლედ მიპასუხა:

– ჩემთან ერთად, კაბრიოლეტით იმოგზაურებ.

მე გამოვეუტყდი:

– სირ, ძალიან დავიღალე, ლაშქრობების დროს ცხენიდან არ გადმოვსულვარ. პარიზამდე გზა გრძელია და, ვშიშობ, რომ ამ მგზავრობას ვერ გადავიტან.

იმპერატორს გაუკვირდა:

– რისი თქმა გინდა ამით? შენი ადგილი მუდამ ჩემს გვერდით არის და არ უნდა დამტოვო. მაგრამ თუ ძალიან დაიღლები, შეგიძლია, საფოსტო ეტლში გადახვიდე, სადგურებზე მათ აუცილებლად ნახავ.

---

Grand Ecuyer-ის თანამდებობა ეკავა გენერალ არმანდ-ოგუსტენ-ლუი დე კოლენკურს, მომავალში საფრანგეთის ელჩს რუსეთში და ნაპოლეონის ერთ-ერთ საუკეთესო დიპლომატს.

რუსტამისათვის იყო მომზადებული *cabriolet*, მცირე ზომის, ორბორბლიანი, არც ისე კომფორტაბელური ეტლი. იმპერატორის მეჯინიბე კი მოგზაურობდა *berline*-ით, რომელიც დიდი ზომის, ოთხბორბლიანი და ბევრად უფრო კომფორტული ეტლი იყო.

მეორე დღესვე პარიზისკენ გავემგზავრეთ. ერთი სული მქონდა, როდის ჩავიდოდი და ვნახავდი მეუღლეს, მე ხომ მთელი წელი არ მენახა არც ის და არც შვილი, რომელსაც უკვე შვიდი თვე შეუსრულდა. დღე და ღამე ვმგზავრობდით და ხუთ დღეში დრეზდენიდან სენ-კლუში ჩავედით. მეხუთე დღის დილის შვიდ საათზე, როდესაც უკვე გავიარეთ ბულონის ტყე, იმპერატორმა მოულოდნელად მითხრა:

– რუსტამ, შეხედე, შეხედე, შენი ცოლი შენს შესახვედრად მოსულა! გაიხედე, ნუთუ ვერ ხედავ მას?

მაშინვე მივხვდი, რომ იმპერატორი ხუმრობდა, მაგრამ მაინც მივიხედ-მოვიხედე გარშემო და ვთქვი:

– ბოდიში, სირ, ჩემი ცოლი ჯერ კიდევ სანოლში იქნება, ჩემს ახალდაბადებულ ვაჟთან ერთად.

იმპერატორის დაბრუნების აღსანიშნავად სენ-კლუს ხიდზე ტრიუმფალური თალი ააშენეს, მაგრამ რადგან იმპერატორი ძალიან სწრაფად, ამალის გარეშე მგზავრობდა, ვერ მოასწრეს ხიდზე ბარიერის აწევაც კი. ჩვენ შემოვუარეთ მას და, როგორც იქნა, სასახლეში მივედით. ჯერ კიდევ ყველას ეძინა. იმპერატორი ეტილიდან გადმოხტა, სწრაფად აირბინა კიბეზე და დედოფლის მოსანახულებლად წავიდა. მე კი სხვა არაფერი გამხარებია ისე, როგორც შინ გაქცევა და ჩემი მეუღლის ნახვა, რომელიც დამხვდა დიდი სიყვარულითა და სითბოთი, რაც ასე მაკლდა თერთმეტი თვის განმავლობაში.

მეორე დღეს მინდოდა წავსულიყავი სენ-ჟერმენ-ან-ლეის დე-პარტამენტში, სადაც ჩემი შვილი და მისი ძიძა იყვნენ. მაგრამ ცოლმა არ დამრთო ნება: „არ ღირს, საყვარელო, გზა დაგღლის, ხვალ წავიდეთ“. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ რა საჩუქარი მომიმზადა მან. ჩვენი ვაჟი და მისი ძიძა ჩემს ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე ჰყოლია ჩამოყვანილი ჩვენი მეგობრის – ლე-პელტიეს სახლში, რომელიც პორტ-ჟონში, სენ-კლუს სასახლიდან არც ისე შორს მდებარეობდა. იმავე დღეს ჩემმა ცოლმა მითხრა: „მადამ პელტიე ავად არის და წავიდეთ, მოვინახულოთ“. როდესაც ლე პელტიესთან მივედით, ძალიან გამიკვირდა, ის ქალბატონი სრულიად ჯანმრთელი რომ დავინახე, მაგრამ არაფერი ვთქვი. ეზოში,

ნაბლის ჩრდილში ვისხედით, როცა ძიძამ ჩემი შვილი მომიყვანა. იმდენად მომეწონა ეს ბიჭუნა, რომ ცოლს ვუთხარი: „ღმერთო ჩემო, რა საყვარელი ბავშვია და რა ლამაზი!“ ბავშვის სახეს დავაკვირდი და ნაცნობი ნაკვთები რომ შევნიშნე, წამოვიყვირე: „ნაძლევს დავდებ, ეს ჩემი შვილია, ჩემი სახე და თვალები აქვს!“ ყველა იცინოდა, მე კი ბავშვი გულზე ძლიერ მივიხუტე. მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რა მშვენიერი საჩუქარი მომიმზადა ჩემმა მეუღლემ.

## თავი მეოთხე

მუსიე კორვიზარი ორი ან სამი დღის განმავლობაში ესწრებოდა მისი უდიდებულესობის დილის ტუალეტს. ერთხელ, როგორც კი აუნყეს, რომ კორვიზარი მოვიდა, იმპერატორმა ბრძანა მაშინვე შემოეშვათ და ასე მიესალმა მას: „დილა მშვიდობისა, დიდო თაღლითო [grand charlatan]! ბევრი ადამიანი გაისტუმრე დღეს იმქვეყნად?“

– არც ისე ბევრი, სირ, – მიუგო ექიმმა.

– კორვიზარ, დიდხანს ვერ ვიცოცხლებ, ბოლო ხუთი-ექვსი წელია, სხეულის სისუსტეს ვგრძნობ, – უთხრა იმპერატორმა. რადგან ის ამის შესახებ მეტად მხიარულად ლაპარაკობდა, ექიმმა შეაწყვეტინა:

– სირ, მე რისთვის ვარ თქვენს გვერდით, თუ არა მსგავსი საფრთხის თავიდან ასარიდებლად?

მისმა უდიდებულესობამ კორვიზარს ყურზე მოჰკიდა ხელი და სიცილით უთხრა:

– კორვიზარ, შენ მართლა გჯერა ამის? გჯერა, რომ თქვენ მოგინელებთ?

– არა მარტო მე, სირ, არამედ ბევრ სხვასაც.

იმპერატორმა თემა შეცვალა:

– კარგი, შარლატანო, გეყოფა ამაზე საუბარი. მითხარით, რა გიჭირავთ ხელში?

– ეს ჩემი ხელჯოხია, სირ.

– მეტად მახინჯი და შეუხედავი რამ არის. რატომ ატარებს თქვენისთანა პიროვნება ასეთი მახინჯ ხელჯოხს?

– სირ, ეს საკმაოდ ძვირი ხელჯოხია, რომელიც მეტად სარფიანად ვიყიდე.

– მითხარით, კორვიზარ, რამდენი გადაიხადეთ მასში?

– ათას ხუთასი ფრანკი, სირ, არც ისე ძვირი.

- ღმერთო ჩემო, ათას ხუთასი ფრანკი? აბა, მომანოდეთ ეგ სიმახინჯე.

იმპერატორმა ხელში აიღო ხელჯოხი, დაკვირვებით დაათვალიერა და უცებ მასზე ჟან-ჟაკ რუსოს მოოქროვილი პორტრეტი დაინახა.

- კორვიზარ, ეს ჟან-ჟაკ რუსოს ეკუთვნოდა? სად იშოვეთ? ეჭვგარეშეა, რომ ეს თქვენი რომელიმე პაციენტის საჩუქარი იქნება! შესანიშნავი სახსოვარია.

- მაპატიეთ, სირ, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ათას ხუთასი ფრანკი გადავიხადე.

- სულ ერთია, კორვიზარ. ეს არ არის მისი ნამდვილი ფასი. ხელჯოხი დიდ ადამიანს ეკუთვნოდა, რომელიც კორვიზარივით დიდი შარლატანი იყო.

როდესაც ექიმს გაელიმა, მისმა უდიდებულესობამ გაიმეორა:

- არ ვხუმრობ, კორვიზარ. ჟან-ჟაკი მართლაც დიდი ადამიანი იყო, ბევრი სიკეთე გააკეთა.

იმპერატორმა ისევ ნაავლო კორვიზარს ყურზე ხელი:

- ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ გინდათ ჟან-ჟაკს ჰგავდეთ! ჩაფიქრებულმა, მან მოულოდნელად იკითხა:

- კორვიზარ, პარიზში ბევრი ავადმყოფია?

- ახლა არც ისე ბევრი, სირ.

- გუშინ დილით რამდენი ფული იშოვნეთ?

- არ დამითვლია, სირ.

- თქვენ სულ ცოტა, ორასი ფრანკი გამოიმუშავეთ, არა?

- არა მგონია, სირ.

- კი, მაგრამ თქვენ ხომ ყოველი პაციენტისგან ოც ფრანკს იღებთ?

- მაპატიეთ, სირ, მაგრამ დაწესებული ფასები არ მაქვს. ყოფილა შემთხვევები, რომ სამი ფრანკიც ამიღია.

მისი უდიდებულესობა კმაყოფილი დარჩა:

- შექების ღირსი ხართ, კარგი ადამიანი ყოფილხართ.

ამ ლაპარაკში ნაპოლეონმა ჩაიცვა, სენ-ჟერმენის ტყეში სანადიროდ წასასვლელად მოემზადა.

- როგორ ფიქრობთ, კორვიზარ, კარგი ამინდია სანადიროდ?

- დიახ, სირ, მშვენიერი ამინდია.  
- სანადიროდ დადიხართ ხოლმე?  
- დიახ, სირ, ხანდახან დავდივარ.  
- და ამასობაში თქვენი ავადმყოფები, ყურადღების გარეშე დარჩენილები, იხოცებიან, არა?! სად ნადირობთ ხოლმე, კორვიზარ?

- შატუში, სირ, მონტებელოს ჰერცოგის მამულში.  
- დღეს ჩემთან ერთად ნამოდით სანადიროდ, მინდა ვნახო, როგორ ნადირობთ.

კორვიზარმა უარი უთხრა:

- ეს ჩემთვის დიდი პატივია, სირ, მაგრამ თოფი თან არა მაქვს.  
- ჩვენ მოგცემთ თოფს. რუსტამ, ხომ მიხედავ ამ საქმეს?  
- თქვენი უდიდებულესობის იარაღს ვერ გამოვიყენებ, სირ, - უპასუხა კორვიზარმა.

- რატომ, შარლატანო?

- ცაცია ვარ.

- ეს არაფერს ნიშნავს, ძალიან მინდა, რომ ჩემთან იყოთ. ვნუხვარ, რომ უკვე გვიანაა, თქვენი თოფის მოსატანად გავგზავნოთ ვინმე.

კორვიზარი ჩაჯდა მეჯინიბეთუხუცესის<sup>1</sup> ეტლში და ყველასთან ერთად სენ-ჟერმენში ნამოვიდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ის იმპერატორთან ერთად სანადიროდ წავიდა. როგორც აღვნიშნე, კორვიზარი ხშირად მოდიოდა იმპერატორის დილის ტუალეტის დროს. ერთ დღეს საუბარი შეეხო ბატონ ბურიენს.<sup>2</sup> იმპერატორმა შესთავაზა:

---

<sup>1</sup> დედანშია *Grand Écuyer*; რუსულ თარგმანში არასწორადაა ნახსენები „უფროსი ეგერი“.

<sup>2</sup> ლუი ანტუან ფოველე დე ბურიენი ახალგაზრდა ბონაპარტთან ერთად სწავლობდა ბრიენის სამხედრო სკოლაში, სადაც ისინი დამეგობრდნენ. საზღვარგარეთ მოკლე დიპლომატიური სამსახურის შემდეგ ბურიენი საფრანგეთში დაბრუნდა რევოლუციის დროს და ბონაპარტთან ერთად მსახურობდა იტალიასა და ეგვიპტეში. 1802 წლამდე იგი ბონაპარტის პირად მდივნად მუშაობდა, მაგრამ ფულის მოპარვაში ამხილეს, რის გამოც ნაპოლეონმა გაათავისუფლა თანამდებობიდან. ნაპოლეო-



- ნაძლევს ჩამოვდივარ, კორვიზარ, რომ თუ ბურიენს მარტო დავტოვებთ ტიულრის ბაღში, ის აუცილებლად იპოვის იქ ფულს.<sup>1</sup> იგი მეტად გაქნილი პიროვნებაა.

ტიულრის სასახლეში იმპერატორის მიერ დაკავებული ოთახები სასახლის ბაღისკენ გადიოდა. ერთხელ, როდესაც ნაპოლეონმა ჩაცმა დაასრულა, მოახსენეს უმცროსი იმპერატორის<sup>2</sup> მოსვლის შესახებ. იმპერატორმა ბრძანა, შემოეშვათ, გადაეხვია მას და გადაკოცნა. ისინი ორ ფანჯარას შორის იდგნენ. იმპერატორმა ბაღზე ანიშნა და ჰკითხა:

- ვისი ბაღია?

- ბიძაჩემის.

მისმა უდიდებულესობამ ყურზე მოჰკიდა ხელი და უთხრა:

- ჩემს შემდეგ ეს ბაღი შენ დაგრჩება! ვფიქრობ, არ გიტოვებ ცუდ მემკვიდრეობას.

ერთხელ [1813 წელს] დრეზდენის ლაშქრობის დროს იმპერატორი მუსიე მარეს ესაუბრებოდა ბავარიის მეფის [მაქსიმილიან I] შესახებ. ის ბასანოს პერცოგს ეუბნებოდა: „როდესაც მიუნხენში [ბავარიის დედაქალაქი] მივალთ, იქ ქვას ქვაზე არ დავტოვებ“.<sup>3</sup>

---

ნის დამარცხების და გადასახლების შემდეგ ბურიენმა გამოსცა მრავალტომიანი მემუარები, სადაც მეტად კრიტიკულად აფასებდა ნაპოლეონს. მაგრამ ეს ნაშრომი ბურიენის მიერ კი არ იყო დანერილი, არამედ, სასჯელის სანაცვლოდ, იგი დათანხმდა თავისი სახელი მიეცა სხვის მიერ დანერილი ნამუშევრისათვის.

რუსტამის შენიშვნა: მან მართლაც იპოვა იქ პატარა საცავი.

<sup>1</sup> საუბარია ნაპოლეონ ლუი შარლ ბონაპარტზე, იმპერატორ ნაპოლეონის ძმის - ლუისა და პორტენზია დე ბოგარნეს შვილზე. რადგან საკუთარი შვილი არ ჰყავდა, ნაპოლეონმა თავისი ძმისშვილი პორტენცოურ მემკვიდრედ გამოაცხადა. პატარა ნაპოლეონ ლუი შარლი მხოლოდ ხუთი წლის იყო, როდესაც 1807 წლის მაისში ავადმყოფობისგან გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა დიდი ზეგავლენა იქონია ნაპოლეონის გადანაცვლებებზე, განქორწინებულიყო ჟოზეფინაზე და ეპოვა ახალი მეუღლე, რომელიც მას მემკვიდრეს გაუჩენდა.

ეს საუბარი ალბათ ლაიპციგის ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე შედგა. ბავარიის მეფე მაქსიმილიანი ნაპოლეონის მოკავშირე იყო, მაგრამ 1813 წლის 8 ოქტომბერს ხელი მოაწერა რიდის ხელშეკრულე-

[1814 წლის თებერვალში] მონტეროსთან ბრძოლის წინა დღეს გენერალ გიოს, რომელიც გვარდიის კავალერიის დივიზიას (და მსუბუქი არტილერიის ბატარეას) მეთაურობდა, მოულოდნელად თავს დაესხნენ. მან ბევრი ქვემეხი დაკარგა. რამდენიმე საათის შემდეგ იმპერატორმა შეიტყო ამის შესახებ და მაშინვე ბრძანა, მასთან მოეყვანათ. როდესაც გიო მის წინაშე წარდგა, იმპერატორმა რისხვა ვერ შეიკავა და მისი შერცხვენა დაიწყო მთელი შტაბის ოფიცრების წინაშე: „ბატონო გენერალო, ჩემი ქვემეხები თქვენ მოგანდეთ. რა ბედი ენია მათ? შეგიძლიათ საკუთარი ცოლის ნამუსის ახდა დაუშვათ, რაც მე სავსებით არ მაძარდებს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოთ ჩემი ზარბაზნები!“ ამის თქმისას განრისხებულმა იმპერატორმა ქუდი მოიგლიჯა თავიდან და მიწაზე დააგდო. გენერალს უნდოდა თავის გასამართლებლად რაღაც ეთქვა, მაგრამ იმპერატორმა არ მოუსმინა: „შენწყვიტეთ, მუსიე, თქვენ ნამდვილი ლაჩარი ბრძანდებით!“

იმპერატორს პატარა და მოხდენილი ხელ-ფეხი ჰქონდა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ პარიზელ ლამაზმანებსაც კი შეშურდებოდათ ასეთი ხელები. მისი სხეული თითქოს ქანდაკებასავით იყო გამოძერწილი. ყოველ დილას იღებდა აბაზანას და ტანსაცმელს დღეში ორჯერ იცვლიდა. ჩვეულებრივ, ის გვარდიის ეგერის [chasseur de la Garde] ფორმას ატარებდა, ხოლო ოფიციალური წვეულებების და აღლუმების დროს – გრენადერის ფორმას. ლაშქრობასა თუ პარიზში ყოფნისას მას ყოველთვის ეცვა წყვილი თეთრი წინდა, აბრეშუმის საცვეთები, ტილოს თეთრეული, მაუდის ყილეტი, ჰოლანდიური ტილოს პერანგი (საცვალი და ყილეტი თვალისმომჭრელად თეთრი იყო), ყელსახვევი და შავი აბრეშუმის საყელო. როგორც აღვნიშნე, ზემოდან გვარდიის ეგერის ან გრენადერის ფორმას მოისხამდა ხოლმე. მგზავრობის დროს იშვიათად დადიოდა ფეხსაცმლით და ჩექმებს ამჯობინებდა. სასახლეში იგი

---

ბას, რომლის მიხედვითაც დათანხმდა თავისი სამეფოს ხელშეუხებლობის პირობით მოკავშირეთა მხარეს გადასულიყო. ბავარიის მეფის გადაწყვეტილებამ, ბუნებრივია, დიდი ზეგავლენა მოახდინა გერმანიაში გამართულ სამხედრო მოქმედებებზე.

მუდამ ფეხსაცმელს ატარებდა (მოოქროვილი თასმებით), ჩექმებს კი მხოლოდ ნადირობისას იყენებდა.

ლავინი, იმპერატორის ყველაზე მოხუცი მეჯინიბე, ცხრა შვილის მამა იყო. [ასაკის გამო] იგი პენსიაზე გაუშვეს ექვსასი ფრანკით, რაც მას ოჯახის სარჩენად არ ყოფნიდა. რადგან მე ახლოს ვიყავი ლავინისთან და მისი ერთი შვილის ნათლიაც გახლდით, ვურჩიე, მისი უდიდებულესობისთვის მიენერა თხოვნა. მინდოდა უანგარო დახმარება გამენია მისთვის და სრულიად არ მიფიქრია, რომ ამით ვანყენინებდი მუსიე კოლენკურს [საჯინიბოს უფროსს]. აუცილებელი ქალაქები ჩვენს კომპენში გამგზავრებამდე მომიტანეს. დილის ტუალეტის დროს ეს საბუთები იმპერატორს წარვუდგინე და ვთხოვე, რამე დახმარება გაენია სანყალი ლავინისათვის. მან ნაიკითხა თხოვნა და დაუყოვნებლივ კოლენკურის მოსაყვანად გამგზავნა. კოლენკური უფროს ოფიცრებთან ერთად იმპერატორის მოსაცდელში იმყოფებოდა. როდესაც მოვახსენე, რომ კოლენკური მოვიდა, მიბრძანა შემომეშვა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე საყვედურით შეხვდა მას:

- კოლენკურ, რატომ არ ეკიდებით სათანადო ყურადღებით თქვენთვის მონდობილ საქმეს?! ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ ეგვიპტისა და იტალიის ლაშქრობებისას მემსახურებოდა და ჩემი სასახლის უხუცესი მსახურია, კარებს მიღმა დარჩა და თქვენ მას მხოლოდ ექვსასი ფრანკის ოდენობის პენსია დაუნიშნეთ. ეჭვი არ მეპარება, მის ნაცვლად ალბათ რომელიმე თქვენი მსახური მოანყვეთ!

კოლენკურმა თავის გამართლება სცადა, მაგრამ იმპერატორმა ზურგი შეაქცია და მომიბრუნდა:

- ეს კაცი ზედმეტად ალგზნებულია! რუსტამ, შენ წერა თუ შეგიძლია?

- ცუდად, სირ.

- საკმარისია! დღესვე მისწერ ლავინის, რომ მის პენსიას ვზრდი ათას ორას ლივრამდე ჩემი ხაზინიდან და, ამავედროულად, ვნიშნავ უფროს მეჯინიბედ ვერსალში. ამის შემდეგ იგი კიდევ ორი ათას ოთხას ფრანკს მიიღებს.

[ჩემი ღვანლის მიუხედავად,] მთელი ამ წლების განმავლობაში ლავინიმ მხოლოდ ერთხელ მომინახულა...

ახლოს ვიყავი აგრეთვე მუსიე ბიზუართან, საფრანგეთის ბანკის განყოფილების გამგესთან. ერთხელ მე და ჩემი ოჯახი მასთან სტუმრად ვიყავით. მოწვეულებს შორის იყო ვინმე მორიზო, ყოფილი ქირურგი და შვეიცარიელთა დაცვის წევრი. ის უკვე სამოცდათვრამეტი წლის და თითქმის ყრუ იყო, არც პენსიას იღებდა და არც საარსებო ფული გააჩნდა. ბიზუარმა თქვა: „ბატონო მორიზო, თუ რუსტამი გიშუამდგომლებს, იმპერატორი რაიმეს მოიმოქმედებს შენთვის“. ამ სიტყვებზე მოხუცი ისე აღელდა, რომ სიხარულისგან ტირილი დაიწყო. არაფერს შეეპირებოვარ, მხოლოდ ვთხოვე მუსიე ბიზუარს დაეწერა განცხადება მორიზოს სახელით. მინდოდა რამით დავხმარებოდი ყოფილ ქირურგს, მოხუცისათვის კეთილი საქმე გამეკეთებინა. ეს ქალაქი დიდი ხანი დამქონდა თან, რომ მაშინ წარმედგინა მისი უდიდებულესობისათვის, როდესაც კარგ ხასიათზე იქნებოდა. იყო დღეები, როცა ვერავინ ბედავდა მასთან საუბარს. ერთ დილას, აბაზანის შემდეგ, იმპერატორს მოახსენეს, რომ კორვიზარი მოსულიყო. მან შემოსვლის ნება დართო და, ჩვეულებრივ, დაიწყო ხუმრობები:

– აი შარლატანიც მოსულა! აბა, მომახსენე პარიზის ახალ-ახალი ჭორები.

იმპერატორი თან ღიღინებდა და თან იცვამდა. მე ხელსაყრელი მომენტი შევარჩიე და მოხუცი მორიზოსათვის სამასი ლივრის ოდენობის პენსია ვთხოვე. იმპერატორმა მითხრა:

– რაო, სამასი ფრანკი? ალბათ მხოლოდ ერთჯერად დახმარებას გულისხმობ?

– არა, სირ, ყოველწლიურს. ეს არც ისეთი დიდი შესანიშნავია, ბატონი მორიზო კი უკვე სამოცდათვრამეტი წლისაა. – იქვე მდგარმა მუსიე კორვიზარმაც მხარი დამიჭირა, ამან იმპერატორი გააკვირვა:

– თქვენც იცნობთ მას? – პასუხისთვის არ დაუცდია, გაიღიმა – აჰ, რა თქმა უნდა, ყველა შარლატანი იცნობს ერთმანეთს!

ბუნებრივია, იმპერატორი ამ გამონათქვამს მხოლოდ კორვიზარის სამასხარაოდ ამბობდა.

[1809 წლის გაზაფხულზე] მისი უდიდებულესობა შონბრუნის [სასახლეში განლაგებულ] შტაბში იყო. მუსიე ლანფრანკი, ვენის სახელგანთქმული ექიმი, ხშირად მოდიოდა მასთან და ისინი ერთად მთელ საათს ატარებდნენ, სანამ მისი უდიდებულესობა აბაზანას ღებულობდა და დილის ტუალეტს ასრულებდა. იმპერატორი დიდად აფასებდა მის ნიჭს და გამოცდილებას. ერთხელ კორვიზარიც მიიწვიეს შონბრუნში. იმპერატორი არ ავადმყოფობდა, უბრალოდ ზამთარ-ზაფხულ მსუბუქად ახველებდა. შონბრუნში ჩასვლისას კორვიზარი ესწრებოდა იმპერატორს დილის ტუალეტსა და დაძინებას. სამი დღის შემდეგ მან საფრანგეთში დაბრუნება მოისურვა. იმპერატორი გაოცდა:

– როგორ, დაბრუნება გსურთ?! უკვე მოიწყინეთ?  
– არა, სირ, მაგრამ შონბრუნს პარიზში ყოფნას ვარჩევ.  
– დარჩით ჩემთან, მალე დიდი ბრძოლა გველის, საკუთარი თვალთ ნახავთ, რა არის ომი.

– დიდად გმადლობთ, სირ, მაგრამ მე ასეთი რამით არ ვარ გატაცებული.

– შე არამზადავ, – [განრისხდა იმპერატორი] – პარიზში მიიჩქარი, რომ უფრო სწრაფად გაგზავნო საფლავებში უბედური ავადმყოფები?

მეორე დილას ექიმი პარიზისკენ გაემგზავრა.

იმპერატორმა<sup>1</sup> მთელი მისი იარაღის მოვლა მომანდო. დამხმარე მსახურიც კი მყავდა, რომელიც ნმენდდა და ალაგებდა იარაღს და მგზავრობებშიც მოგვეყვებოდა. ყოველთვის ვდებდით იმპერატორის უნაგირში ერთ წყვილ დამბაჩას, რათა მგზავრობისას იმპერატორს ფრინველებისათვის, სურვილისამებრ, ესროლა. მაგრამ ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ ნჯღრევის გამო პისტოლეტები არ ისროლა, რაშიც იმპერატორი მე მადანაშაულებდა.

---

ამ მონაკვეთიდან დაწყებული, ხელნაწერი სხვა ხელით არის დაწერილი. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ რუსტამი შესაძლოა სხვას კარნახობდა თავის მოგონებებს.

სასახლის შეიარაღებ, მუსიე ლე პაჟმა გამოიგონა [დამცავი] ჩახმახი, რომელიც დამიზნებამდე უნდა გადაგენიათ. მის უდიდებულესობას ვაცნობე ამ გამოგონების შესახებ და აუფხსენი, თუ რა მოსახერხებელი მოწყობილობა იყო. ეს მართლაც ძალიან გონივრულ გამოგონებად მიიჩნია. ამ დროს ბერლინში ვიყავით. ერთ დილას საუზმის შემდეგ მისი უდიდებულესობა ცხენზე შეჯდა, რომ თავის შტაბთან ერთად არემარე მოენახულებინა. მალე გაშლილ მინდორს მივუახლოვდით, სადაც ყვავები დაფრინავდნენ. იმპერატორი სწრაფად გაიჭრა წინ, ამოიღო პისტოლეტი და გაისროლა. მაგრამ რადგან ჩახმახი არ ჰქონდა გადანეული, არ გაისროლა. მან ბრაზიანად მოისროლა პისტოლეტი და მათრახით გამომეკიდა. ოფიცრებს შორის ვიდექი, მაგრამ როცა ასე გაბრაზებული დავინახე, გავიქეცი, ხოლო ის გამომედევნა. როდესაც მივხვდი, რომ დევნას არ წყვეტდა, გაეჩერდი. მან უკანასკნელი სიტყვებით დამინყო ლანძღვა. მინდოდა ამეხსნა, რატომ არ გაისროლა პისტოლეტმა, მაგრამ შებრუნდა, მივიდა მაღალი ჩინის ოფიცრებთან და თავის გამართლება დაიწყო: „ამ გარეწარი რუსტამის გამო ერთი ფრინველის მოკვლაც კი ვერ მოვახერხე“. ამასობაში მინიდან პისტოლეტი ავიღე და ჰაერში გავისროლე, რომ უდანაშაულობაში დამერწმუნებინა. მეჯინიბეთუხუცესმა [კოლენკურმა] გამოსცადა პისტოლეტი და თქვა, რომ იარაღი კარგად იყო გამართული. რადგან ძალიან აღელვებული ვიყავი, გენერალი [უან] რაპი მოვიდა ჩემთან და რამდენიმე დამამშვიდებელი სიტყვა მითხრა: „არ ინერვიულო, ჩემო რუსტამ, შენ თვითონაც იცი, როგორი ფეთქებადია იმპერატორი, სამაგიეროდ შენ დიდად გაფასებს“. მეორე დღეს იმპერატორმა მომამხაზა:

– ჩემო მსუქანო გარეწარო, მომავალში ხომ გაუფრთხილდები იარაღს?

– მე ყოველთვის ვუფრთხილდები იარაღს და არასოდეს მეზარება ჩემი მოვალეობის შესრულება, სირ. – მას პასუხი არ გაუცია, მაგრამ ამის შემდეგ ყოველთვის იყენებდა ჩახმახს.

მიუხედავად იმისა, რომ მეჯინიბეთუხუცესმა [კოლენკურმა] იცოდა ჩემი უდანაშაულობის შესახებ, მაინც სცადა, ეს პატარა ინციდენტი მნიშვნელოვან შემთხვევად ექცია და იარაღის მზადყოფნა-

ზე პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას მოითხოვდა. ბუნებრივია, დავინტერესდი, რატომ იყო ასეთი მკაცრი. თუ ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ჩემი დამხმარე უფრო ყურადღებიანი ყოფილიყო, აზრი არ ჰქონდა, რადგან იგი ძალიან კარგად განვრთნილ-დარჩეული პირი იყო. მივედი და პირდაპირ ვუთხარი: „პერცოგო, თუ თქვენ გადაწყვეტთ, რომ ვინმემ ეს ჯარიმა უნდა გადაიხადოს, ეს მე ვიქნები“. ამის შემდეგ კოლენკური მოსვენებას არ აძლევდა ჩემს დამხმარეს, რომელიც ვერაფერს მიხვდა და ჩემთან მოდიოდა, რომ ეკითხა თუ რა უნდოდა იმას. მე დავამშვიდე სანყალი, ავუხსენი: თუ შეცდომას ექნება ადგილი, ჩემი ბრალი იქნება. სანამ იმპერატორს პისტოლეტს მივანოდებთ, მას საბოლოოდ მე შევამონმებ-მეთქი. ერთხელ კიდევ მომინია ვიჩენცის პერცოგთან [კოლენკურთან]<sup>1</sup> მისვლა და შეხსენება, რომ ჩემი თანაშემწისთვის ჯარიმის მოთხოვნა დიდი უსამართლობა იყო. საქმე ამით დამთავრდა.

იმპერატორმა ვენეციაში გამგზავრება გადაწყვიტა. მან თან რამდენიმე ადამიანი წაიყვანა, რადგან [იტალიის] ვიცე-მეფის პერსონალი, ფაქტობრივად, თავისი ხალხიც იყო. იმპერატორთან ერთად ეტლში, რომელშიც რვა ცხენი იყო შებმული, იჯდა მხოლოდ მარშალი დიუროკი.

[რამდენიმე დღეში] მივედით მონ-სენის მთის<sup>2</sup> ძირას. ძალიან ცუდი ამინდი იდგა. მისმა უდიდებულესობამ გზის გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ თხუთმეტი წუთის შემდეგ ძლიერი ქარბუქი [ouragan] და ქარი ამოვარდა, თოვლის დიდი ნამქერი ჩამოწვა. ქარბუქი ცხენებს თვალებს ფანტელებით უვსებდა. ისინი თოვლში ეფლობოდნენ და ვერ მოძრაობდნენ. ამიტომ გაჩერება მოგვინია. ამ უმოქმედობით გაღიზიანებული იმპერატორი დიუროკთან ერთად კარეტიდან გადმოვიდა და ეტლი უკან ჩამოიტოვა. ჩვენ გზა ფეხით

<sup>1</sup> რუსულ თარგმანში არასწორადაა ნახსენები ვისანსის მარკიზი.

<sup>2</sup> მონ სენისი (Mont Cenis) არის საფრანგეთსა და იტალიას შორის მდებარე უღელტეხილი (ზღვის დონიდან 2083 მ.), სადაც 1803 წლიდან ნაპოლეონი აშენებდა გზატკეცილს. XIX საუკუნეში მონ სენისი საფრანგეთიდან იტალიაში მგზავრობის ძირითად გზას წარმოადგენდა.

განეაგრძეთ, როგორმე ქოხამდე უნდა მიგვეღწია, რომელიც ჩვენგან მოკლე მანძილზე გზასთან იდგა. ქარიშხალი ისე გაძლიერდა, რომ იმპერატორი ლამის გაიგუდა, ძლივს სუნთქავდა. დიუროკიც კი, რომელიც დიდი და ძლიერი აღნაგობის იყო, გაჭირვებით მოდიოდა ძლიერ ქარში. მე მისი უდიდებულესობა ხელში ავიყვანე (რა თქმა უნდა, ბავშვივით ხელში არ ამიყვანია, მისი ფეხები მინას არ მოსცილებია) და მთელი ჩემი ძალ-ღონით ვეხმარებოდი სიარულში. ბოლოს, დიდი წვალეების შემდეგ, მივალწიეთ ქოხამდე, სადაც ვილაც გლეხი არაყს ყიდდა. იმპერატორი შევიდა ქოხში, სადაც სუსტი ცეცხლი გიზგიზებდა და კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა:

– მისმინე, დიუროკ, ორივემ უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენი ბეჩავი რუსტამი მეტად ძლიერი და ვაჟკაცი ყმანვილია.

შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და მკითხა:

– ახლა რა ვქნათ, ჩემო მსუქანო ბიჭო?

– უღელტეხილამდე უნდა მივიდეთ, სირ. – ვუპასუხე. – მონასტერი არც ისე შორსაა აქედან.

შემდეგ დავინყე საკაცისათვის ფიცრების ძებნა. კუთხეში კიბე ეგდო, ის მინაზე დავდე, შევაგროვე გამხმარი ტოტები, შევკარი წრიულად, მსხვილი თოკით მაგრად მივაბი კიბის საფეხურებს და გადავაფარე ჩემი ლაბადა. ამას ვაკეთებდი იმპერატორის წინაშე, რომელიც ჩემი მოხერხებული მოქმედების შემყურე, კმაყოფილებას ვერ მალავდა:

– ესე იგი, ჩემო მსუქანავ, უთუოდ გავემგზავრებით?

შევახსენე, რომ ბრილიანტი<sup>1</sup> ეტლში დარჩა, ამიტომ მის მოსატანად წასვლა მოვისურვე.

---

საუბარია სახელგანთქმულ „რეგენტის“ ბრილიანტზე, რომელიც ვილიამ ორლენელმა 1717 წელს შეიძინა საფრანგეთის სამეფო დინასტიისათვის. 1701 წელს ინდოეთში აღმოჩენილი აღმასი თავდაპირველად 410 კარატს იწონიდა, მაგრამ დამუშავების შემდეგ მისი წონა 141 კარატს შეადგენდა. ევროპაში მალულად ჩამოტანილი ქვა საფრანგეთის რეგენტმა ვილიამ ორლენელმა შეიძინა (აქედან მოდის ქვის სახელწოდებაც) და საფრანგეთის მეფეს, ლუი XV-ს აჩუქა. რევოლუციის დროს საფრანგეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, დაეგირავებინა ეს აღმასი, მაგრამ ნაპოლეონმა გამოისყიდა და თითქმის



- მართალი ხარ, - დამთანხმდა იგი. უკან დავბრუნდი და მალე სიხარულით შევნიშნე, რომ ამინდი გამოდიოდა. ეტილიდან ალმასი ნამოვიღე და დავბრუნდი თუ არა, იმპერატორს მივეცი. ყუთში ჩადებული ბრილიანტი იმ საკაცეზე დავდეთ, რომელზეც მისი უდიდებულესობა იწვა. ქოხში მყოფ ორ გლეხს დავუძახე და დავაჭერინე საკაცის ბოლოები, მე კი მის შუა ნაწილს ვიჭერდი, რომ შეკრული ტოტები არ გამომძვრალიყო. ასე მივედით მონასტრამდე, სადაც ღირსეულმა ბერებმა სიხარულით მიიღეს იმპერატორი. მას მათთვის ბევრი სიკეთე ჰქონდა გაკეთებული.

სენაკებში ღამე გავათენეთ, დილის ათი საათისათვის კი ეტილებიც ჩამოვიდა. იმპერატორს დილის ტუალეტის დასრულებაში დავეხმარე. საუზმის შემდეგ მთხოვა, დამემახსოვრებინა ამ ორი გლეხის ვინაობა. რადგან მათაც მონასტერში გაათენეს ღამე, ვუთხარი, რომ ისინიც იქ იყვნენ და მათ მოსაყვანად წავედი. იმპერატორი სასახლის მმართველთან [დიუროკთან] ერთად ოთახში იყო, როდესაც გლეხები წარუდგინეს. მათი სახელები იკითხა და თქვა: „თავგანწირული და ძლიერი ხალხი ხართ. დიუროკ, მიეცით მათ ჯილდო ექვსასი და სამასი ფრანკი“.

მილანისკენ გზა განვაგრძეთ. როგორც კი ქალაქში შევედით, იმპერატორმა მთელს სასახლის კარს უამბო, რა თავდადებით გადავიყვანე მონ-სენის გადასასვლელზე. უსაზღვროდ მაღლიერი ჩანდა იმით, რაც ძალიან ბუნებრივი იყო ჩემთვის. ჩემს ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა, ვისაც კი ამის ძალა შესწევდა. სასახლის მსახურები და კარისკაცები მაქებდნენ და მადიდებდნენ. მუსიე ფიშერმა ისიც კი გადამჩურჩულა, „იმპერატორი იმდენად კმაყოფილია შენით, რომ ეჭვი არ მეპარება, დაგაჯილდოვებსო“. „სიხარულით მივიღებ! - [განეუცხადე მე], მაგრამ არასოდეს მოვიტხოვ“. მით უმეტეს ღრმა შინაგან კმაყოფილებას ვგრძნობდი და ჩემს მგზავრობას არავითარ ფულში არ გავცვლიდი.

ვენეციაში გავემგზავრეთ, სადაც გავატარეთ რამდენიმე დღე და ისევ მილანში დავბრუნდით. გზაზე ნამოგვეწია მაცნე და იმ-

---

განუყრელად ატარებდა თან. ამჟამად ინახება ლუერში, საფრანგეთის სამეფო საგანძურში.

პერატორს პარიზიდან ფოსტა გადასცა. რამდენიმე წუთის შემდეგ იმპერატორმა გაალო ეტლის ფანჯარა და გამოომინოდა ჩემი ცოლის მიერ მოწერილი წერილი, რომელიც უკვე გახსნილი იყო.

- აიღე რუსტამ, ეს შენი ცოლისგანაა.

გავიღიმე და წერილი გამოვართვი, იმპერატორმა კი მითხრა:

- ცოლი ვენეციურ ოქროს ძეგლს გთხოვს.

როდესაც მილანში ჩავედით და ეტლიდან გადმოვდიოდით, იმპერატორმა მითხრა:

- თუ შინ ვენეციური ძეგლის გარეშე დაბრუნდები, სახლში არ შეგიშვებენ.

- გაირდებით, სირ, ნაენწყდები თუ არა სადმე, მაშინვე ვიყიდი,  
- ვუპასუხე მე.

ვიცე-მეფემ [ეჟენმა] თქვა:

- რუსტამ, ძეგლს მე ვაჩუქებ შენს ცოლს.

მეორე დღეს თავისთან დამიბარა და ჩემი ცოლისათვის ოქროს ძეგლი გადმომცა. ჩემი მეუღლის წერილებს იმპერატორის მაცნეს საშუალებით ვიღებდი. ეს პრივილეგია მუსიე დე ლავალეტმა<sup>1</sup> მომანიჭა და იმპერატორი ამის წინააღმდეგი არასოდეს ყოფილა.

იმპერატორის ჩევეა, გაეხსნა ჩემი წერილები, ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლო გამოდგა ჩემთვის. ერთი ნაცნობი პოლკოვნიკი, რომელსაც რაღაც გაუგებრობის გამო წოდება ჩამოართვეს, ჯერ კიდევ პარიზში მთხოვდა, იმპერატორისათვის გადამეცა მისი წერილები. იმპერატორი რამდენჯერმე დამპირდა, რომ მიხედავდა ამ საკითხს, მაგრამ შემდეგ არაფერს აკეთებდა; მეგონა, რომ სამხედრო მინისტრის ანგარიშს ელოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ესპანეთში ვიყავით, ცოლისგან წერილი მივიღე, რომელშიც პოლკოვნიკის წერილიც იყო ჩადებული. ის წუხდა, რომ საქმე ინელებოდა და მთხოვდა, როდესაც იმპერატორი კარგ ხასიათზე იქნებოდა, მაგალითად, როდესაც მღეროდა, არ გამეშვა შესაძლებლობა და დავლაპარაკებოდი. იმპერატორმა ფოსტა ღამით მიიღო. ჩვენ იმჟამად მადრიდის მახლო-

---

<sup>1</sup>1802 წლიდან ლავალეტი იმპერიული ფოსტის გენერალურ დირექტორად მუშაობდა.

ბლად მდებარე მამულში ვიმყოფებოდით. მცირე ხნის შემდეგ მან დამიძახა:

– რუსტამ, მენევალს<sup>1</sup> დაუძახე!

მენევალი მოვიდა, მე კი მეორე ოთახში გავედი, სადაც, ჩვეულებრივ, მეძინა. მენევალი მოგვიანებით გამოვიდა იმპერატორის ოთახიდან და მომანოდა ჩემი მეუღლის ნერილი, რომელიც ისევ გახსნილი იყო. მომდევნო დილას, ჩაცმისას, იმპერატორმა მკითხა:

– რუსტამ, ვინ არის ის პოლკოვნიკი?

მოკლედ ვუამბე მასზე და გავახსენე, რომ პარიზში ბევრჯერ შევატყობინე მასზე და ვთხოვე მისი სამსახურში აღდგენა. დავარწმუნე იმპერატორი, რომ შემეძლო პოლკოვნიკის უდანაშაულობის თავდებობა და თუ მას სამხედრო ნოდებას დაუბრუნებდნენ, ჩვენს არმიას კიდევ ერთი მამაცი ოფიცერი შეემატებოდა. მისმა უდიდებულესობამ აღმიტყუა, როგორც კი დედაქალაქში დავბრუნდებოდით, მაშინვე მიხედავდა ამ საქმეს. მართლაც, პარიზში ამ საქმის გახსენება მისთვის აღარ დამჭირებია. გენერალმა დრუომ, რომელსაც რამდენჯერმე ვთხოვე პოლკოვნიკის საქმის შესახებ, შემატყობინა, რომ სამხედრო საბჭოს იმავე დღესვე საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა პოლკოვნიკის საქმე. სალამოს იმპერატორმა მითხრა: „აღბათ ბედნიერი ხარ, რუსტამ, შენს მეგობარს ნოდება აღუდგინეს“.

ამის შესახებ უკვე ვიცოდი, გენერალმა სხდომის დარბაზიდან გამოსვლისას შემატყობინა.

ერთხელ მგზავრობის დროს იმპერატორი ეტლში ჩაჯდა, რომ მარშალ ნეის კორპუსის მოსანახულებლად წასულიყო. ჩვენთან ერთად მოდიოდა ბერტიე, ნევშატელის პრინცი. როცა დავაპირე ჩვეული ადგილის დაკავება, იმპერატორმა მითხრა: „რუსტამ, შენ ცხენით წამოდი, შენი ადგილი კი მიურატს დაუთმე“. მთელი დღე ვიმგზავრეთ და ადგილამდე მხოლოდ გვიან ღამით მივედით.

მალმეზონში ყოფნისას, ერთ დილას, იმპერატორი თავის ტულეტს ასრულებდა, როდესაც ფანჯრიდან, რომელიც სასახლის წინ მდებარე არხზე გადიოდა, დაინახა გედების გუნდი. მან მაშინვე თა-

<sup>1</sup> კლოდ ფრანსუა მენევალი იმპერატორის პირადი მდივანი იყო.

ვისი თოფი მომთხოვა და მივუტანე თუ არა, გედებს ესროლა. დედოფალი თავის ოთახში იცვამდა. როდესაც სროლის ხმა გაიგო, ლამის პერანგით და შალით გამოვარდა ოთახიდან და ჩვენთან მოვიდა:

- ბონაპარტი, გემუდარები, არ დახოცო ჩემი გედები!

მისი უდიდებულესობა გაჯიუტდა:

- ყოზეფინა, ხელს ნუ მიშლი, მაცალე, გავერთო.

დედოფალმა ხელი მომკიდა და მთხოვა:

- რუსტამ, არ დაუტენო კარაბინი.

ამ დროს იმპერატორმა გამომძახა:

- მომანოდე თოფი.

დაინახა თუ არა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, დედოფალმა ხელიდან გამომტაცა იარაღი და ოთახიდან გავიდა. იმპერატორმა გიჟივით გადაიხარხარა.

იმავე პერიოდში იმპერატორი სანადიროდ წავიდა ბიუტარში. მას უყვარდა ხეტიალი სენ-კუკუფის ტყეში, სადაც ძალიან ღრმა ტბა იყო. ტბაზე წავით გასვლა ისურვა და დამიძახა: „რუსტამ, მოამზადე წავი“. ეს წავი ქალაქ შავრის საჩუქარი იყო. პატარა წავში ჩავექეი და მენიჩბემ წავისკენ წამიყვანა. როდესაც მივუახლოვდით, ნაჩქარევად მოვინდომე გადმოსვლა, წავი ავაქანავე და წყალში ჩავევარდი. სწრაფად ჩავიძირე და ტალახიანი ფსკერიც კი ვიგრძენი ფეხქვეშ. მთელი ძალის მოკრებით მოვახერხე ტბის ზედაპირზე ამოსვლა. იმპერატორმა გადმომძახა:

- რუსტამ, ცურვა იცი?

- არა! - დავუყვირე მე.

მან ნადირობის მონაწილეებს გადახედა და თქვა:

- ვინც კარგად ცურავს, სწრაფად მიემშველოს რუსტამს!

უკანასკნელი ძალის მოკრებით წავს ჩავეჭიდე და მასზე ავცოცდი. იქიდან დავინახე, როგორ ირეოდნენ ნაპირზე მონადირეები, რომ ჩემს საშველად გამოეცურათ. [დაბრუნებისას] იმპერატორმა გაკვირვებით შემომხედა:

- როგორ, ცურვა არ იცი? აუცილებლად ისწავლე. ახლა კი ნადი სასახლეში და გამოიცვალე.

ძალიან მალე ვისწავლე ცურვა, მაგრამ ერთხელ, ვარჯიშის დროს, ტბაში დედოფლის ნაჩუქარი ბრილიანტის სამკერდე დაკვარგე.

სასახლის კარზე ბანქოს ხშირად არ თამაშობდნენ. თავად იმპერატორი ფულზე იშვიათად თამაშობდა. მახსოვს, ეილაუსთან ბრძოლის შემდეგ,<sup>1</sup> დაბა ოსტეროდეში ყოფინასა, ერთობოდა ბანქოს თამაშით მიურატთან, ბერტიესთან, დიუროკთან და ბესიერთან ერთად. მე გვერდით ოთახში ვიყავი. მან რამდენჯერმე დამიძახა. მივედი თუ არა, ოქროს მონეტების გროვა მომანოდა: „აილე, ეს ჩემი მოგებულიდანაა“. იქ ექვსასი ფრანკი იყო. მეორე დღეს კიდევ ექვსასი, ხოლო ერთი დღის შემდეგ შვიდასი ფრანკი მომცა. იმპერატორს ძალიან ახარებდა მოგება,<sup>2</sup> თუმცა ფულზე იშვიათად თამაშობდა. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მას ბანქოს თამაშისას მივუსწარი, თუმცა შემდგომში რამბულიეში<sup>3</sup> ყოფინასა მისგან კიდევ ოთხასი ფრანკი მივიღე. მახსოვს, კეთილმოსურნე დედოფალი მეძებდა, რომ უშუალოდ გადმოეცა ფული.

ჩვენ ფონტენბლოში ვიყავით. ყველა ამბობდა, რომ მისი უდიდებულესობა ემზადებოდა კუნძულ ელბაზე წასასვლელად. იმპერატორი ძალზე მონყენილი იყო და თითქმის არ ლაპარაკობდა. ერთხელ სხვათა თანდასწრებით და საქმიანი ტონით მკითხეს, განზრახული მქონდა თუ არა იმპერატორთან ერთად წასვლა. ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი მისი უდიდებულესობის აზრი, ამიტომ არ შემეძლო საბოლოო პასუხის გაცემა. თვითონაც მსურდა ამ ამბის დაზუსტება. მაგრამ იქვე გამაგებინეს, რომ კუნძულზე იმპერატორს არ დასჭირდებოდა მამლუქი და თუ მაინც წავიდოდი, უნდა დაეკმაყოფილებულიყავი დერეფნის სამსახურით. შევედავე და ვთქვი, რომ სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, იმ მოვალეობას შევასრულებდი, რასაც ადრე ვაკეთებდი და, იმპერატორის გარდა, სხვა ბატონს არ ვცნობდი, ვემორჩილებოდი მხოლოდ სასახლის მარშლის ბრძანებებს.

საუბარი უსიამოვნო გახდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლაპარაკში ჩაერია ერთი მაღალი თანამდებობის პირი და კატეგო-

---

ეილაუსთან ბრძოლა 1807 წლის 8 თებერვალს მოხდა.

ნაპოლეონი ცნობილი იყო თავისი აზარტით, მაგრამ ამავე დროს მოტყუებაც უყვარდა.

პარიზის მახლობლად მდებარე შუა საუკუნეების სასახლე.

რიულად გამოძიებადა, რომ ამიერიდან მას ვეკუთვნოდი და ვალდებული ვიყავი მისი განკარგულებები შემესრულებინა. ვუპასუხე, რომ არასოდეს ვყოფილვარ ვინმეს საკუთრება ჩემი თავის გარდა, ხოლო ჩემი სამსახური იმპერატორთან იყო უანგარო და არავისთან ვაპირებდი ჩემი გეგმების გაზიარებას. ძალიან აღელვებული ვიყავი, არასოდეს მიგრძენია თავი ასე დამცირებულად. გრაფმა ბერტრანმა დამიძახა და დამახასიათებელი რბილი ტონით გულისხმიერად მკითხა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. სხვა დროს საქმიანსა და გაბედულს ყოყმანი არ მიყვარდა, ამ შემთხვევაში ცოტა ხნის წინ მომხდარი უსიამოვნო საუბრის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, მოვახერხე მხოლოდ ნამელულლულებინა, რომ მინდოდა წასვლა, მაგრამ მანამდე აუცილებლად უნდა გავსაუბრებოდი მის უდიდებულესობას.

წინა დღეს ჩემს მეუღლეს მივწერე, რომ შეიძლებოდა მასთან გამოთხოვების გარეშე წავსულიყავი კუნძულ ელბაზე და ასეთ შემთხვევაში, კუნძულზე ჩასვლისას, ყველაფერს დაწვრილებით მივწერდი, პირად საქმეებს მოვავგარებდი და შემდეგ ბავშვებთან ერთად ჩემთან ჩავიყვანდი. შევპირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი, რათა გამგზავრებამდე მომენახულებინა ის. როგორც კი დრო გამოვნახე, მაშინვე ვთხოვე იმპერატორს, ოჯახის სანახავად წასვლის ნება დაერთო. ის მაშინვე დამთანხმდა, მაგრამ რადგან მონყენილი იყო, მასთან ჩემს შესახებ საუბარი ვერ გავბედე. ასე რომ, მან ვერაფერი შეიტყო იმ უსიამოვნო და მძიმე საუბრის შესახებ.

სასახლიდან დილით ადრე წამოვედი და სწრაფად ჩავედი პარიზში. ცოლმა მითხრა, რომ წერილი გამომიგზავნა, რომელშიც ეთანხმებოდა ჩემს გადაწყვეტილებას. მისთვის ძნელი იყო მშობლებთან განშორება, მაგრამ სურდა გავყოლოდი იმპერატორს და მზად იყო ბავშვებთან ერთად ჩამოსულიყო ელბაზე. ეს შეხვედრის დროსაც აღმითქვა, მაგრამ მირჩევდა ფონტენბლოში დაბრუნებისას იმპერატორისათვის გულწრფელად მეთქვა მომხდარი ინციდენტის შესახებ. ის გრძნობდა, რომ ჩემი ხასიათის გამო მე ვერ ავიტანდი კიდევ ერთხელ ასეთ დამცირებას. ავუხსენი მეუღლეს, რომ მის უდიდებულესობას ვერ შევანუხებდი ჩემი პირადი შეკითხვებით, მას ისე-

დაც ნერვები ჰქონდა მოშლილი. ამიტომ გადაეწყვიტე ნავსულიყავი რისკზე და ელბაზე მოლაპარაკების გარეშე გავყოლოდი იმპერატორს. თუ ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი და შემანუხებდნენ, ადგილობრივ ვაჭრებს ვთხოვდი იტალიაში გადაყვანას, საიდანაც ადვილად დავბრუნდებოდი საფრანგეთში. ცოლმა არ მოინონა ეს გეგმა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ თუ ელბაზე მოვხვდებოდი, იქიდან გამოსვლას ვერ მოვახერხებდი. ვუმტკიცებდი, რომ ვერავინ მაიძულებდა იქ ცხოვრებას, სადაც არ მინდოდა.

შინ სულ ორი დღე გავატარე. ამ დროისათვის ჩვენმა ადვოკატმა ბატონმა ფუშემ საბუთები მოამზადა, რომელთა თანახმად ჩემს მეუღლეს იმ დროის განმავლობაში, რაც მე ელბაზე ვიქნებოდი, ოჯახის განკარგვის უფლებამოსილება<sup>1</sup> მიენიჭა. ამის შემდეგ დავბრუნდი ფონტენბლოში.

სასახლეში გვიან საღამოთი მივედი, ყველას ძალიან გაუკვირდა ჩემი დაბრუნება, მათ შორის იმპერატორსაც, რომელსაც უთხრეს, რომ სამუდამოდ გავეცალე. ჩემს დანახვაზე მან მხოლოდ თქვა: „დაბრუნდი, რუსტამ?“

ჩემი მეუღლის ნერილის ძებნა დავიწყე, რომლის შესახებ თითქოს არავინ იცოდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა გამანდო, რომ არავინ ფიქრობდა ჩემს დაბრუნებას და ამიტომ ნერილი გახსნეს და ჰოფმარშალს გადასცეს. როგორც უკვე ვთქვი, ნერილში არაფერი იყო ისეთი, რომ ჩემ წინააღმდეგ გამოეყენებინათ, რადგან ჩემმა ცოლმა მოინონა აზრი ელბაზე წასვლის შესახებ. იმ დღეს სასახლეში გავრცელდა ჭორი, რომ იმპერატორი თვითმკვლევლობას აპირებდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს და მისი საძინებლის კარებთან ვიდექი. ამ მითქმა-მოთქმამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ შემფოთებული ვაკვირდებოდი იმპერატორის სახის გამომეტყველებას. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც დილით ადრე, გაღვიძებისას, იმპერატორმა თავისი პისტოლეტები მომთხოვა. რადგან იმპერატორის იარაღზე ვიყავი პასუხისმგებელი, სხვა დროს სწრაფად ვასრულებდი მის ბრძანებას, მაგრამ არსებულ ვითარება-

---

<sup>1</sup>ნაპოლეონის კოდექსის მიხედვით, ცოლს არ გააჩნდა საოჯახო საქმეების განკარგვის უფლება და ამისათვის ქმრის ნებართვა სჭირდებოდა.

ში გადავწყვიტე, არ შემესრულებინა. რა თქმა უნდა, ღიად უარის თქმა არ შემეძლო, ამიტომ გადავწყვიტე, პირდაპირ ნეკუპატელის პრინციდან ნავსულიყავი, ჩემი შემოფოთების მიზეზი გამეზიარებინა და მისთვის ასეთ საბედისწერო დროს იმპერატორის ბრძანების შეუსრულებლობის ნებართვა მეთხოვა. პრინციმა მოკლედ მიპასუხა: „ეს მე არ შეხება“ და მიმატოვა.

ერთ-ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელთან ურთიერთობასაც ვერიდებოდი, ასევე გამაფრთხილა იმპერატორის შესაძლო თვითმკვლელობაზე. ვუპასუხე, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. „თქვენი მდგომარეობა ყველაზე რთულია. – განაგრძო მან. – ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს უბედური შემთხვევა ღამით მოხდეს, საზოგადოების გადარწმუნება ადვილი არ იქნება, რომ თქვენ არ ხართ მოსყიდული უცხო ხელისუფლების მიერ და იმპერატორი თქვენი ხელით არ მომკვდარა“.

როცა ეს წარმოვიდგინე, იმედი გადამეწურა და გაქცევა დავაპირე. ყოველი შემთხვევისათვის, მის უდიდებულესობას დაუფტოვე წერილი, რომელშიც ვაცნობებდი, რომ იძულებული ვიყავი დამეტოვებინა იგი, მაგრამ მზად ვიქნებოდი პირველივე გამოძახებაზე დავბრუნებულიყავი. შემდეგ ერთ პიროვნებას ვთხოვე იმპერატორისათვის გადაეცა ეს წერილი, მაგრამ მან თხოვნა არ შემისრულა. შესაძლებელია იმის გამო, რომ წერილი ცოტა არ იყოს სასაცილო გამოვიდა, რადგან ფრანგული კარგად არ ვიცოდი და თან ალელვებული და თავგზააბნეული ვიყავი. მაგრამ იმპერატორი ალბათ მაინც გაიგებდა ჩემს გულისწინადაც.

ღლის პირველ საათზე წამოვედი ფონტენბლოდან და სალამოს პარიზში ჩავედი. ჩემი ალელვებული ოჯახი მაშინვე შემომხვია. ისინი ჩემზე ნერვიულობდნენ და რაიმე ცნობას ელოდნენ. ტყუილად მამშვიდებდა მეუღლე: „იმპერატორს არაფერი მოუვა. ჩვენ მზად ვიქნებით და როგორც კი გამოგვიძახებს, წავალთ“.

ამ პერიოდში გრაფმა არტუამ<sup>1</sup> ჩემთან ორი ადამიანი გამოგზავნა, რომელთაც მომთხოვეს ახსნა-განმარტება ბრილიანტების

---

<sup>1</sup> საფრანგეთის მეფის, ლუი XVI-ს ძმა და მომავალი მეფე შარლ X, რომელიც გამოირჩეოდა თავისი რეაქციულობით.



შესახებ, რომლებიც, იმპერატორის განკარგულების მიხედვით, ავიღე მუსიე ბუილერისგან.<sup>1</sup>

რადგან ზუსტად შევასრულე ბრძანება, არ დავბნეულვარ და ამ ბატონებს მოვუყევი, როგორ მივედი მისი უდიდებულესობის მოთხოვნით მთავარ ხაზინადართან, გამოვართვი ბრილიანტები და მაშინვე იმპერატორის კაბინეტში წავიღე. იმპერატორმა ბრილიანტების მაგიდაზე დალაგება მიბრძანა. ამის შემდეგ რა მოხდა, არც კი ვიცოდი. რამდენიმე დღის მერე შევიტყე, რომ იმპერატორმა ფონტენბლო დატოვა.

ადრეც ვთქვი, რომ იმპერატორს ჩემი წერილი არ მიუღია, მაგრამ როდესაც გავიგე მისი თამხლები პირების სახელები, დავმშვიდდი, არც ერთი მათგანი არ მიმუხთლებდა, ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ. ამიტომ გადავწყვიტე, წავსადგურში მისი უდიდებულესობის ეკიპაჟს შევერთებოდი. დრო რომ არ დაგვეკარგა, ჩემი მეუღლე ეკიპაჟის ასაყვანად სენ-ჟერმენის გარეუბანში, უახლოეს საფოსტო სადგურში წავიდა. იქ მას შეხვდა ერთი ნაცნობი კარისკაცი, რომელმაც უთხრა: „არა მგონია, ცხენების აყვანა შეძლოთ, მეც ამაოდ ვცდილობ ცხენების შოვნას და ბიძასთან წასვლას ფონტენბლოში“. მიუხედავად ამისა, ჩემი მეუღლე სადგურის მუშაკებს დაჟინებით სთხოვდა დახმარებას. არაფერმა გაჭრა. მას აუხსნეს: „მადამ, არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ ყველაზე გავლენიანი ბატონებიც კი“. როდესაც ჩემი მეუღლე შინ ცარიელი დაბრუნდა, სასონარკვეთილებაში ჩავვარდი, მაგრამ თავი იმით დავიმშვიდე, რომ ცხენები რომც მეშოვნა, გამგზავრებას ვერ შევძლებდი – მგზავრობის მონმობები არ მქონდა.

მაღე ახალი საზრუნავი გამიჩნდა. პოლიციის უფროსმა, რომელსაც ვიცნობდი, მიჩნია, დამეტოვებინა პარიზი მეფის [ლუი XVIII-ის] დაბრუნებამდე. ის ფიქრობდა, რომ ჩემი მხრიდან მეტად გონივრული იქნებოდა სადმე პროვინციაში წყნარად მეცხოვრა და არა პარიზში, განდეგნის მოლოდინში. ეს ჩემთვის მეტად მოულოდნელი სიახლე იყო. თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ ვინმესთვის საშიშ პიროვნებას წარმოვადგენდი. პოლიციელმა ამიხსნა, რომ პარიზში

---

<sup>1</sup> ბუილერი იყო სამეფო ხაზინის უფროსი (trésorier général de la Couronne).

ეჭვის თვალთ მიყურებდნენ და ჩემი ოჯახიც, რომელიც უზომოდ მიყვარდა, მემუდარებოდა მოვშორებოდი ამ ხიფათს. არ შევნი-  
ნალმდეგებივარ და პარიზში მეფის შემოსვლამდე დროში<sup>1</sup> გავე-  
მგზავრე, სადაც მომდევნო ოთხი თვე დავყავი. პარიზიდან გამგ-  
ზავრებიდან ორი თვის თავზე ჩემი ოჯახი პოლიციის მინისტრთან  
გამოცხადდა ჩემი პარიზში დაბრუნების ან პერიოდულად ჩასვლის  
უფლების სათხოვნელად. მინისტრმა თანხმობა მხოლოდ ორი თვის  
შემდეგ მოგვცა.

[1811 წელს] დედოფლის [მარია ლუიზას<sup>2</sup>] მშობიარობიდან  
რამდენიმე დღით ადრე<sup>3</sup> იმპერატორი ლამლამობით მიბარებდა  
და ცნობებისათვის მაგზავნიდა დედოფლის გარემოცვასთან. ამ-  
ბებს დედოფლის სეფექალებისაგან ვიგებდი და დაუყოვნებლივ  
გადავცემდი მის უდიდებულესობას. მშობიარობამდე მცირე ხნით  
ადრე იმპერატორი ლამით თვითონ მივიდა ცოლთან და მასთან ერ-  
თად ოთახში გაისეირნა. დედოფალი იმპერატორს ხელზე ეყრდნო-  
ბოდა, რადგან უკვე სუსტი ტკივილები ჰქონდა დანყებული. დილის  
ექვსი საათისთვის იგი ცოტა დამშვიდდა და ჩაეძინა. იმპერატორი  
თავის ოთახში დაბრუნდა და დამიძახა:

– რუსტამ, მზადაა წყალი აბაზანისთვის?

– დიახ, სირ.

იმპერატორი აბაზანაში ჩავიდა და საჭმელი მოითხოვა. ნახევარ-  
რი საათის შემდეგ მას შეატყობინეს მუსიე დიუბუას<sup>4</sup> მოსვლის შე-  
სახებ.

---

<sup>1</sup> ქალაქი დრო (Dreux) პარიზიდან დასავლეთით, 80 კილომეტრის მო-  
შორებით მდებარეობს. რუსულ თარგმანში შეცდომით არის ნახსენები  
ქალაქი ტრუა.

<sup>2</sup> 1809 წელს ნაპოლეონი დაშორდა თავის მეუღლეს ჟოზეფინას და მომ-  
დევნო წლის გაზაფხულზე ცოლად შეირთო ავსტრიის იმპერატორის  
18 წლის ქალიშვილი მარია ლუდოვიკა ლეოპოლდინა ფრანცისკა ტერ-  
ეზა ჟოზეფა ლუსია (ცნობილია მარია ლუიზას სახელით), რომელთა-  
ანაც მას შეეძინა ვაჟი ნაპოლეონ ფრანსუა ჟოზეფ შარლ ბონაპარტი.  
მარია ლუიზამ იმშობიარა 1811 წლის 20 მარტს.

დიუბუა დედოფლის მთავარი მეან-ქირურგი იყო.

- ბოლოს და ბოლოს მოხვედით, დიუბუა! - გაუხარდა მის უდიდებულესობას, - რა ამბებია, დღეს დასრულდება ყველაფერი?

- დიახ, სირ, მშობიარობა დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ მე მინდა ვთხოვო თქვენს უდიდებულესობას, რომ არ დაესწროს მას.

- კი მაგრამ, რატომ, დიუბუა?

- იმიტომ, რომ თქვენი იქ ყოფნა ამაღელვებს.

- მე თქვენ ხელს არ შეგიშლით. მსურს, რომ ისე მიიღოთ ეს მშობიარობა, როგორც ჩვეულებრივი გლეხის ქალისა, მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ.

- წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, თქვენი უდიდებულესობავ, რომ ბავშვის მდგომარეობა არ მომწონს.

იმპერატორმა დეტალურად აახსნევინა, რომ გაეგო, თუ რას ნიშნავდა ეს და ჰკითხა:

- ასეთ შემთხვევაში რისი გაკეთება შეგიძლიათ?

- სირ, იძულებული გავხდები [საკეისრო] გაკვეთას მივმართო.

- ღმერთო ჩემო, - აღელდა იმპერატორი, - ეს საშიში არ არის?

- ვერაფერს ვიზამთ, უნდა გადავარჩინოთ ბავშვიც და დედაც.

- უკიდურეს შემთხვევაში, დიუბუა, პირველ რიგში, დედა გადაარჩინეთ. გთხოვთ, იჩქარეთ, მეც ახლავე მოვალ.

ექიმი ისევ დაეშვა კიბეზე დედოფლის ოთახისაკენ. მისი უდიდებულესობა აჩქარებით გამოვიდა აბაზანიდან, ჩაიცვა და გაემართა თავის მეუღლესთან. მეც გავყევი, ძალიან მაინტერესებდა, თუ რა ხდებოდა ქვემოთ. მაგრამ ცოლის ოთახში იმპერატორი მარტო შევიდა. ყველა მაღალი ჩინის ოფიცერი მთავარ სასტუმრო ოთახში გახლდათ. კარი ფართოდ იყო გაღებული. ვითარება სადღესასწაულოს ნააგავდა. სასტუმრო ოთახის გვერდით მდებარე ბუდუარში ვიყავი, რომლის კარიც ღია იყო.

ბოლოს შუქზე ახალადდაბადებული გამოჩნდა. იმპერატორმა ჰკითხა მონტესკიეს გრაფის ცოლს,<sup>1</sup> რომელსაც ბავშვი მოჰყავდა: „მადამ მონტესკიე, აბა, რას იტყვი?“ მან უპასუხა: „ერთი ნუთით

---

ლუი შარლოტ ლე ტელიერ დე ლუვუა-ცურტანვო დე მონმირალს, მონტესკიე-ფეზენზაის გრაფის ცოლს იმპერატორის შვილების აღმზრდელის თანამდებობა ეკავა.

მოიცადეთ, სირ, ახლავე გაცნობებით“. მაგრამ მისმა უდიდებულესობამ არ მოიცადა, ორივე ხელით აიყვანა შვილი და ყველას დაანახა. შემდეგ სწრაფად შევიდა სასტუმრო ოთახში და თქვა: „ბატონებო, ბრძანეთ, რომ ზარბაზნიდან ორასჯერ გაისროლონ!“

იმპერატორს ძალიან უყვარდა ბავშვები, ხშირად მეკითხებოდა ჩემი შვილის ამბებს. ერთხელ ბავშვი მის კაბინეტში მივიყვანე, დედოფალიც იქ იყო, მან გაიღიმა და თქვა: „რა მშვენიერი მემკვიდრეა!“ ამ დროს ჩემი შვილი [აშილი] ოთხი წლისა იყო, ის ყველას შენობით ელაპარაკებოდა და მოკლებული იყო ამ მორიდებას. იმპერატორმა ხელში აიყვანა და თაროზე დასვა, სადაც მან მაშინვე დაიწყო თამაში ორდენებით. თან ეკითხებოდა.

– ასეთ ნივთებს მხოლოდ იმათ აძლევენ, ვინც ნასწავლია, – უთხრა იმპერატორმა, – შენ ალბათ ქკვიანი ბიჭუნა ხარ?

მისმა უდიდებულესობამ ბავშვს თვალეში ჩახედა.

– აბა, თვალეში შემომხედე, როგორც ვხედავ, ცელქი ხარ.

მე უხერხულად ვგრძნობდი თავს, რომ ბავშვი იმპერატორთან შენობით ლაპარაკობდა, ამიტომ ვანიშნებდი, შეენყვიტა. მისმა უდიდებულესობამ შეამჩნია ეს, ზურგი შემაქცია და საუბარი განაგრძო:

– ლოცულობ?

– დიახ, ყოველდღე. – უპასუხა ჩემმა შვილმა.

– რა გქვია?

– მე აშილ რუსტამი. შენ?

იძულებული გავხდი, მივსულიყავი და მეთქვა:

– ეს ჩვენი იმპერატორია.

ჩემმა შვილმა ეს თავისებურად გაიგო:

– აჰ, ესე იგი, შენ ის პიროვნება ხარ, მამაჩემთან ერთად რომ ყოველდღე სანადიროდ დადის?

იმპერატორმა გაკვირვებით შემომხედა:

– ნუთუ მართლა ვერ მცნობს?

მე გამართლება დავიწყე:

– ბავშვს თქვენ ყოველთვის სანადირო ტანსაცმელით უნახიხართ, ამიტომ მუნდირში ვერ გიცნოთ.

ნაპოლეონმა სიყვარულით მოჰკიდა ყურზე ხელი აშლის, თმები აუჩეჩა. ბიჭი ძალიან გამხიარულდა და უნდოდა ლაპარაკი განეგრძო, მაგრამ იმპერატორმა უთხრა:

– ახლა სასაუბროდ მივდივარ, მოგვიანებით კიდევ მესტუმრე.

[როგორც წესი], მეძინა იმპერატორის საძინებელი ოთახის წინ მდებარე მოსაცდელში, სადაც ჩემთვის ყოველდღამე შლიდნენ პატარა სანოლს. თუ არსებობდა შეთქმულების საშიშროება, იმპერატორის კარის წინ ვნებობდი. ერთ ღამეს მისმა უდიდებულესობამ არ მოინდომა ჩემი ზარით გამოძახება, კარი გააღო და პირდაპირ ჩემს სანოლს დაეჯახა. მერე ყველაფერს მიხვდა და გაეცინა. მეორე დღეს ყველას უყვებოდა: „მტრები ჩემს საძინებელში რომც შემოიჭრნენ, რუსტამი ამაში დამნაშავე არ იქნება. ის იმპერატორის კარს თავისი სანოლით იცავს“. მაგრამ ვიმეორებ, რომ ასე მხოლოდ საგანგაშო დღეებში ვიქცეოდი, ისე კი შუა ოთახში მეძინა მანამ, სანამ სასახლის მარშალმა ოთახში ფართო გარდერობი [armoire] არ დაადგმევინა, რომელშიც ჩემი სანოლიც იყო მოთავსებული.

ასეთი ცვლილებები სენ-კლუშიც მოხდა. იქ ჩვენი მორიგი გაჩერებისას სასახლის მარშალმა შეამჩნია, რომ ლოგინიანი გარდერობის დადგმა უფრო შესაფერისი და მოხერხებული იქნებოდა. ამის შემდეგ ჩემს საკუთარ სანოლში მეძინა. ერთხელ მისი უდიდებულესობა ღამით გამოვიდა ჩემს დასაძახებლად და როდესაც ჩემი სანოლის კარებთან ვერ მიპოვა, მთელი ოთახი მოიარა, რომ მოვეძებნე. ბოლოს დაინახა გარდერობი, რომელშიც ჩემი სანოლი იდგა. გაბრაზებულმა გამოსალვიძებლად ძლიერად შემარყია. მოულოდნელობისგან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა და თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ბოროტმოქმედები დაესხნენ იმპერატორის საძინებელს. იმ წამსვე წამოვხტი მათ დასაჭერად, მაგრამ უცებ მივხვდი ვინ იყო ჩემ წინ და ძალიან შემრცხვა. სირცხვილის გრძნობა მით უფრო გამომწვავდა, როცა იმპერატორმა შენიშვნა მომცა: „ესე იგი, ასე იცავ იმპერატორის სიცოცხლეს, ყველასგან მიტოვებული ვარ!“ მე ის საძინებლის კარამდე მივაცილე, ავუხსენი, რატომ არ მეძინა იქ, სადაც ის ელოდა. მაგრამ მას არაფრის გაგონება არ სურდა. დილას გაიხსენა ღამით მომხდარი და კარგა ხანს იცინა იმაზე, თუ როგორ გავფითრდი შიშისგან. „ეს მართლაც ასე იყო, სირ. – გა-

მოუტყდი მე. – ახლაც კი მაყრუოლებს იმ მომენტის გახსენებაზე. მეგონა, რომ ვილაც ბოროტმოქმედი შემოიჭრა ოთახში და თქვენს საძინებელში შესვლას ცდილობდა. იმიტომ ნამოვხტი, რომ თქვენ დამეცავით“. ნაპოლეონმა მომხდარის შესახებ უოზეფინას უამბო, რომელიც ყოველთვის მიცავდა: „სანყალი რუსტამი, ის შენი ერთგულია, შენ კი ნუხელ ასე მნარედ დასცინე“. დედოფალს ძალიან უყვარდა იმპერატორი და დიდ სიმპათიას იჩენდა ყველასადმი, ვინც მას ერთგულად ემსახურებოდა. იგი იცავდა ასეთ ხალხს, ეხმარებოდა უსამართლობის აღკვეთაში და ამშვიდებდა იმპერატორს, რომელიც ცნობილი იყო თავისი ფეთქებადი ხასიათით. დედოფალმა რამდენჯერმე მეც მიხსნა დიდი უსიამოვნებისაგან.

მიუხედავად ამისა, ვილაც-ვილაცებმა მაინც მოახერხეს ალღუმებში ჩემი მონანილეობისათვის ხელის შეშლა. მართალია, მსგავსი ცერემონიებისთვის არავითარი სარგებლობა არ მომქონდა და ეს, ასე ვთქვათ, ჩემი საპატიო სამსახური იყო, მაგრამ რადგან მრავალი წლის განმავლობაში იმპერატორს ყველგან თან დავყვებოდი, მსურდა ჩემი უფლებები დამეცვა. ამიტომ იძულებული გავხდი იმპერატორისთვის მეთქვა, რომ მჩაგრავდნენ და ალღუმის დროს მასთან ერთად ცხენზე ამხედრებას მიშლიდნენ. მან მოკლედ მიპასუხა: „ნურავის მოუსმენ და მუდამ ჩემ გვერდით იყავი“. ამ შემთხვევის შემდეგ მან მკაცრი ბრძანება გასცა და ამით ჩვენი შიდა უთანხმოება უნდა დასრულებულიყო. მაგრამ მოკლე ხანში შემატყობინეს, რომ სასახლის ცხენების დიდი ნაწილი ავად გახდა და ამიტომ [იმპერატორთან ერთად ჩემი მგზავრობით] მხოლოდ ტყუილუბრალოდ გავანამებდი მათ. ამის შემდეგ გადავწყვიტე, შევრიგებოდი ბედს და აღარ შემენუხებინა იმპერატორი ჩივილით. იმედი მქონდა, რომ თვითონ შეამჩნევდა ჩემს იქ არყოფნას, მაგრამ მან ამაზე თვალი დახუჭა და მეც აღარ წამომიწყია საუბარი ამის შესახებ.

მოგვიანებით [ჩემმა მტრებმა] სცადეს იმპერატორის კორონაციის დროსაც დავემცირებინე, მაგრამ არ გამოუვიდათ. მისმა უდიდებულესობამ ჩემთვის ორი მშვენიერი საზეიმო მამლუქის მუნდირი შეუკვეთა. ერთიმეორეზე უძვირფასესი ტანისამოსი სხვადასხვა ნაჭრისგან იყო შეკერილი. ერთხელ მან დიდ სალონში დამიძახა და მაღალი თანამდებობის პირების თანდასწრებით

აღმასებით მორთული ხანჯალი მაჩუქა. ყველა მეუბნებოდა, რომ აუცილებლად უნდა დამეკავებინა ადგილი იმპერატორის ამაღლაში. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ჩემს მოსაშორებლად ათასგვარ მიზეზს იგონებდნენ. ისე ვიყავი დარწმუნებული აღლუმზე ჩემ მონანილეობაში, რომ ერთხელ მუსიე კოლენკურთან წავედი, რათა ჩემი ცხენი მენახა. მაგრამ კოლენკურმა განაცხადა, რომ ჩემთვის ცხენი არ იყო გათვალისწინებული და მიზეზის გასარკვევად უნდა მივსულიყავი მთავარ ცერემონიისტერთან.<sup>1</sup> ამ უკანასკნელმა განმიცხადა, რომ ჩემთვის ადგილი არ იყო გათვალისწინებული და ამ საკითხზე თავად იმპერატორთან უნდა მივსულიყავი. მისი თქმით, ცერემონიის მონანილეთა ადგილები თვით იმპერატორმა გაანანილა. სადილის დროს შესაბამისი მომენტი გამოვიყენე და იმპერატორს ვთხოვე, რომ ჩემთვის მის ამაღლაში მონანილეობის ნება დაერთო. იმპერატორმა მიპასუხა, რომ ასეთი სურვილი მასაც ჰქონდა. მითხრა, მივსულიყავი კოლენკურთან და კარგი ბედაური ამერჩია. მაგრამ კოლენკური ისევ თავისაზე იდგა და უარს აცხადებდა იმპერატორის ამაღლაში ჩემთვის ადგილის მოძებნაზე. რადგან აღარ მინდოდა მისი უდიდებულესობის კვლავ შეწუხება, ამიტომ გადავწყვიტე დედოფლისთვის მეთხოვა დახმარება. იგი დიდსულოვნად დამთანხმდა, რომ დაელაპარაკებოდა თავის ქმარს და მიბრძანა, სადილის შემდეგ სასტუმრო ოთახში დავლოდებოდი. იმ დროს, როდესაც მისი უდიდებულესობა ყავას მიირთმევდა, მოულოდნელად გამოვცხადდი მასთან.

– აბა? – მკითხა იმპერატორმა – რა განუხებს?

დედოფალი ჩაერია:

– ჩვენი საბრალო რუსტამი ძალიან დამწუხრებულია, რადგან ნებას არ აძლევენ თან გახლდეს ნოტრ-დამში. ხიფათის დროს ის ყოველთვის შენს გვერდით იყო, ამიტომ ღირსია გაიზიაროს შენი დიდების წუთებიც.

იმპერატორი მკვეთრად შემობრუნდა ჩემსკენ:

– გაქვს მამლუქის ლამაზი ფორმა?

---

<sup>1</sup> მთავარი ცერემონიისტერის (grand maitre des cérémonies) თანამდებობა ეკავა ლუი-ფილიპ დე სეგიურს.

გავახსენე, რომ ორი მშვენიერი ფორმა მქონდა.

- ნადი, გამოეწყვე და დამენახე.

მე ნავედი და რამდენიმე წუთში მის თვალწინ მზესავით სახენათელი და თვალისმომჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი წარვდექი. მან და დედოფალმა ჩემი ტანსაცმელი დიდებულად ჩათვალეს და მუსიე კოლენკურს დაუძახეს, რომ ჩემთვის ცხენი შეერჩია. კოლენკურმა აღნიშნა, რომ დადგენილი წესის მიხედვით, კორონაციის ცერემონიაში ჩემთვის არ იყო გათვალისწინებული ადგილი, რადგან მამლუქები არასოდეს მონაწილეობდნენ [საფრანგეთის] სამეფო კორტიჟებში. იმპერატორმა უპასუხა: „ამიერიდან ის ყველგან იქნება [ჩემ გვერდით]“. ამრიგად მეორე დღეს მქონდა ბედნიერება იმპერატორი ნოტრ-დამის საკათედრო ტაძრამდე მიმეცილებინა. ამასთან, მეტად ბედნიერი ვიყავი, რომ ამდენი დაბრკოლების გადალახვა მოვახერხე.

იმპერატორის გარდერობში მსახურობდა ბიჭი სახელად ჟოზეფი, რომელსაც იმპერატორის ფეხსაცმელებისა და ჩექმების დასარბილებლად სამი დღის განმავლობაში მათი ტარება ევალებოდა. 1811 წელი იდგა. იმპერატორი პარიზში იმყოფებოდა. ერთ დილას, როცა ექიმისა და მთავარი კარისკაცის თანხლებით დილის ტუალეტი დაასრულა, ოთახში ხარაზი ჟაკი შემოვიდა. იმპერატორმა დიდხანს არ აცდევინა:

- მოდით, აიღეთ ზომები.

- ახლავე, სირ, გარნმუნებთ, კმაყოფილი დარჩებით.

- რამდენი უნდა გადავიხადო ფახსაცმელებში?

- თორმეტი ფრანკი, სირ, არაა ძვირი.

- როგორ არაა ძვირი, ასეთი პატარა ზომისათვის ძალიან ძვირიცაა.

- სირ, სხვები ცამეტ ფრანკს იღებენ, მაგრამ თქვენი კეთილგანწყობა რომ შევინარჩუნო, თორმეტს გამოგართმევთ.

როდესაც ხარაზი წავიდა, მისმა უდიდებულესობამ იკითხა: „რა ერქვა ამ ახალგაზრდას? ჭკმმარიტი ფრანგია“. როდესაც ფეხსაცმელი დამზადდა, აღმოჩნდა, რომ იმპერატორს უჭერდა და გარდერობის მსახურ ჟაკს მოუწია დროებით მათი ტარება.



სმორგონი დათვების მოთვინიერებით განთქმული პოლონური ქალაქია. რუსეთიდან უკან დახევის დროს იქ გავჩერდით. სასტიკი ყინვები იყო, ყინულითა და თოვლით დაფარულ გზებზე სიარული თითქმის შეუძლებელი გახდა. მისი უდიდებულესობა მსხვილ ჯოხზე დაყრდნობილი მიაბიჯებდა. სმორგონში მისვლამდე ერთი საათით ადრე იმპერატორმა მითხრა: „რუსტამ, მოამზადე ჩემი ეკიპაჟი, მალე გავემგზავრებით. მოძებნე მენევალი და გამოართვი, რაც კი ფული დარჩა“. მუსიე მენევალმა გადმომცა სამოცი ათასი ფრანკი ოქროთი, რომელიც მისი უდიდებულესობის საჭიროებისთვის იყო გამოყოფილი.<sup>1</sup> ეს თანხა სამ ნანილად გავყავი, პირველი შეკვრაში დავმალე, მეორე ტკბილეულობის მოვარაყებულ ყუთში, ხოლო მესამე – ფარული ძირის მქონე საცავეებში შევინახე. შემდეგ ყველაფერი ეს მოვათავსე ჩანთაში, რომლის გასაღებს მე პირადად ვდარაჯობდი. მგზავრობისას მეჯინიბეთუხუცესი [კოლენკური] ცხენების ხარჯებს იხდიდა, მე სურსათს ვყიდულობდი, თუმცა ჭამა ვერ მოვახერხეთ, რადგან ყველაფერი გაიყინა, ღვინიანი ბოთლები კი ყინვისგან გასკდა.

ჩვენი მოულოდნელი გამგზავრება განგაშს იწვევდა და ყველა ცდილობდა ჩემგან გაეგოთ, რას ფიქრობდა და საუბრობდა იმპერატორი. ბოლოს სალამოს ცხრა საათისთვის გრენადერთა სამი ასეულის თანხლებით გავემგზავრეთ. მისი უდიდებულესობის ეკიპაჟში იჯდა მეჯინიბეთუხუცესი [კოლენკური], ხოლო სასახლის

---

